

# ლიბერაცია

№ 15 / 23 დეკემბერი 2009 - 5 იანვარი 2010

- საჩვენებელი აცტონომია **გვ. 12**  
ძალაში მართვის მეთოდის მოღონები **გვ. 14**  
VS: გებისა და ოფშორული კომპანიები **გვ. 06**  
საპროცესო მორიგეობიდან გარიგებამდე **გვ. 28**  
მარპ გაღენი თავისუფლების აქტის შესახებ **გვ. 24**  
ეკლესიის საპატიო მემკვიდრეობა **გვ. 31**  
რუსეთი – გაყინული გზავნილები **გვ. 18**  
ბალაფშის უკირობო გამარჯვება **გვ. 22**  
„ორთა რამ მიშას შესახებ“ **გვ. 47**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



**ლიბერაციის რომელიც ვერ გაცდა ლიბერაციი **გვ. 08****

# თბილისი მრავალი ქვეყნის რჩეული ღვინო



⊗ 1 ღვინის ეპსონრტიორი  
კომპანია 2009 წლის\*

**TBILVINO**



ფოტო ლევან გაგაუაძე

## ცოდვები:

- 02 რედაქტორი  
04 მოკლედ  
06 ორი აზრი  
უნდა ფლობდეს თუ არა  
ოფშირული კომპანია  
მედალორგანზაცვას?  
კახი ყურადშვილი V.S. თამარ  
გურჩიანი  
**პოლიტიკა**  
08 ლიდერი, რომელიც ვერ  
გახდა ლიდერი  
12 თვითმმართველობის  
ხარისხი აჭარის  
ავტონომიაში  
საჩვენებელი ავტონომია  
14 ქუთაისის მერი  
მერვე მერის მომლოდინში  
16 საკონსტიტუციო კომისია  
მეორე რესპუბლიკის მეორე  
ცდა  
18 რესეტი და მსოფლიო  
გაყინული გზავნილები

- 22 კონფლიქტები  
ბალაფშის უპირობო  
გამარჯვება  
**ეკონომიკა**  
24 ინტერვიუ  
„ეკონომიკური  
თავისუფლება“ ქართულად  
მარკ მალენი  
26 ახალი ბორცვები  
2009-2010 – მძიმე  
საბორცველო მემკვიდრეობა



- ადამიანის უფლებები და**  
**სამართალი**  
28 საპროცესო მორიგებიდან  
გარიგბაძე

- 31 კითხვები ეკლესიას და  
ხელისუფლებას  
ეკლესის საბჭოთა წარსული  
**საზოგადოება**  
34 განათლების ხელობედი  
37 კოპენბაგნის კლიმატის  
ცვლილების კონფერენცია  
„14 დღე, რომლის შემდეგაც  
ისტორია ჩვენ თაობას  
შეაფასებს“  
39 კლიმატის ცვლილება  
უიმედო კოსენპაგენი  
41 ახალი ტექნოლოგიები  
ინტერნეტ-ომი  
44 ჯანდაცვა  
„ზღვარს გამოიტანა“ დარჩენილები  
45 ჯანდაცვა  
სამოქმედო გეგმა გრაფიკის  
გარეშე  
47 ინტერვიუ  
ცოტა რამ საქართველოს  
შესახებ  
ნინო კირთაძე

- 49 რეცენზია ნინო კირთაძის  
ფილმზე „ცოტა რამ  
საქართველოს შესახებ“  
„ცოტა რამ მიშას შესახებ“  
**საუპრები ლიპერალიზმზე**  
51 ვამბობთ ლიბერალს,  
ვგულისხმობთ  
ნეოლიბერალს

## გარეკანები:

ლიდერი, რომელიც ვერ გახდა  
ლიდერი  
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

 **OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION**  
ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი  
„ლია საზოგადოება - სესიონების“  
მხარდაჭერით.



ტყუილია, როცა საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ კონსტრუქციული ოპოზიცია სჭირდება.

ასეთი ოპოზიცია მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას სჭირდება, რომელსაც არ ეშინა ა მხონენტებთან სატელევიზიო დებატების, მზადაა, მათთან ერთად ქალაქის ბიუჯეტი დაგეგმოს ან საარჩევნო პროგრამაში შეეჯიბროს. როცა მთავარი კითხვა, რომელიც ხელისუფლებას აწუხებს, არის – „უნდა ცხოვრობდეს თუ არა თბილისის მერის ოჯახი ნიუ-იორქში“ – ასეთ ხელისუფლებას კონსტრუქციული ოპოზიცია ვერ ეყოლება.

წინასაარჩევნო კამპანია, რომელსაც ახლა ვადევნებთ თვალს, ერთ-ერთი ყველაზე აგრძესიული და უსარისხო მათ შორის, რაც აქმდე ყოფილა.

გულწრფელად გაუგებარია, რაშია საქმე. რეალურად, ხელისუფლება წინასაარჩევნო სამოთხეში იმყოფება. საგაზაფხულო კრიზისი წარმატებით დაძლია, რეიტინგი იმპოზიციაზე მაღალი აქვს, ადმინისტრაციული რესურსი – ძლიერი, სამი ნაციონალური ტელევიზია – ჯიბეში, საკან № 5 მარხვაზეა გასული, ოპოზიცია – სუსტი და დაქუცმაცებული. ყველა ბედნიერია, მათ შორის ისინიც, ვინც ერთ დროს ხელისუფლებამ „ჩარეცხა“. მაგალითად, ჯანსულ ჩარკვანმა ერთ-ერთ საგაზირო ინტერვიუში თქვა, – თუ გიგი უგულავა მართლა დაუბრუნებს „მწერალთა კავშირს“ შენობას, მაშინ იგი მერად უნდა ავირჩიოთ.

მიუხედავად ამ საყოველთაო ჰარმონიისა და ეროვნული თანხმობისა, Real-TV მაინც საჭირო გახდა, თანაც იმ პოლიტიკური ძალის ჩასაძირად, რომელიც ხელისუფლებასთან დიალოგზე თანახმაა და ბრძოლას არჩევნების გზით აპირებს. ერთგვარი მესიჯია, რომელიც ჯერჯერობით ასე იკითხება: წამოხვალთ არჩევნებზე? – თქვენ ბალშიც ვიპოვით მოჭიკვიკე ციყვებს.

არა, აშკარად, პოლიტიკურ ექსტრემისტებთან ბრძოლა ხელისუფლებას გაცილებით უფრო ელეგანტურად გამოსდის.

მოგვწერეთ,  
სოფო ბუკია,  
კავკასიისა და კონფლიქტების  
განყოფილების რედაქტორი  
**sopho.bukia@liberali.ge**

**რეალიტონი:** მთავარი რედაქტორი შორენა შევრდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფარშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტების სიუჟეტი / უფრონაიოსტური გამოიძიება ბესა კურტმანძი / საზოგადოება თამაზ ბაბუაძე / აღაშვილი და სამართლაონ ნინო ბექეშვილი / ახალი იმპერატორი ნათა ახალშვილი რედაქტორი: ფილო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნილე ლორისქეფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სიოთძე / კორექტორი ნინო სიოთძე / რედაქტორი შალვა ჩუბინიძე / რედაქტორი შალვა ჩუბინიძე / რედაქტორი შენგალიძე

გამოცემებისას: შენ „ლობრიალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სავარაუდო: „ლობრიალი“ სამართლებრივი და/ან მთავრობის მიმმართული მინისტრის, მენეჯერის, სტრატეგიულის.

უფრონაიოსტური გამოიქვეყნებულ მასალების ნინობრივი და/ან მთავრობის გამოიყენება რედაქტორის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

პერსონალი: სტამბა „სუზანა“. მისამართი: თბილისი, ნერეთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

მიმღება: 5000 ლარი. გამოიძიები ირ კვარაპ ერთხელ. პირველი ნოტერი გამოცემულია 2009 ნოემბრის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

ISSN 1987-7528



TELIANI VALLEY



ზურაბ  
მდუშავ  
წელი!





## სასალხო დამსველის ანგარიში პარლამენტის სწორად მიიღო

ახალი სახალხო დამცველის პირველი ანგარიში, რომელიც 2009 წლის პირველ ნახევარს მოიცავდა, პარლამენტმა ცნობად მიიღო. ანგარიშს პარლამენტი დაბალოებით სამი საათი უსმინდა. ტულუშმა სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, მედიის თავისუფლებაზეც ილაპარაკა. მისი თქმით, „საქართველოში არსებობს თავისუფალი მედია-საშუალებები, მაგრამ არსებობს მედიისას შუალებები, რომლებიც საფუძლიან ეჭვს ბადებები“. თუმცა დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

ომშუდმენმა თავის ანგარიში მოითხოვა პატიმრების ტელევიზორებით უზრუნველყოფა. ამ საკითხზე ტულუშმისა და უმრავლესობის აზრი განსხვავებული აღმოჩნდა. ამავე სხდომაზე გაირკა, რომ შესაძლოა, პარლამენტი 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშსაც მოუბრუნდეს და პლენარულ სხდომაზე მოსმინოს, რადგან სასალხო დამცველის მოხსენება აქმდე სათანადოდ

არ განხილულა. „თუმცა ეს შეთანხმების საგანია“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მოხსენების დასრულების შემდეგ უმრავლესობის წარმომადგენელმა პეტრე ცისკარიშვილმა ომშუდმენის ანგარიშს დაუბალანსებელი უწოდა და აღნიშნა, რომ მასში ხელისუფლების არც ერთი მიღწეუა ნახენები არ იყო. მაგალითად, სასჯელალსრულების დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, გიორგი ახვლედიანის აზრით, პარლამენტმა „ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაუსვას წერტილი სახალხო დამცველის ანგარიშის მხოლოდ ცნობად მიღების ფაქტს“. მან საკანონმდებლო ირგანოს მოუწოდა, რომ „ომშუდმენის მოხსენებში ნახენები საკითხის გამოკვლევა პარლამენტმა კომპეტენტურ ირგანოებს დაავალოს“.

## სამუშაო საბჭოს წევრები აირჩივეს

პარლამენტის საშემოდეგომო სესიის ბოლო სხდომაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეცნიერებრივ საბჭოს წევრები აირჩივეს.

15-წევრიან საბჭოში შვიდი ვაკანსია შეივსო. არჩეულ კანდიდატებს შორის, „მედია კლუბის“ სამი წევრი მოხვდა: ნინო დანელა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმითა ინსტიტუტის პროგრამის კოორდინატორი და მედია მკელევარი, ლიკა ჩახუნაშვილი – კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის დეკანი და „ლიტერალის“ რედაქტორი შორენ შავერდაშვილი.

„მედია კლუბის“ კანდიდატების გარდა, საბჭოს წევრები განდნენ ქრისტიან-დემოკრატების მიერ წარდგენილი ნოდარ სარჯველაქე, დროებით უმუშევარი ემზარ გოგუაძე, „რუსთავი 2“-ის ყოფილი წამყვანი გიგა ნასარიძე და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ერთ-ერთი სამმართველოს კონსულტანტი ავთანდილ ანთიძე.

პრეზიდენტმა სულ 21 კანდიდატი წარადგინა. ისინი თითო ვაკანსიისთვის სამეცნიერებად იყენები დაჯუფუებული. კენჭი ყველა კანდიდატს სათანადოდ ეყარა.

## ჰამარბერბის უზღვებო ვიზიტი სხივების მინიჭები


ცხინვალში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას პამარბერგის ბოლო ვაზიტი უშედეგო აღმოჩნდა. ერგნეობი მობრუნებულმა კომისარმა განაცხადა, რომ დეფექტო რესპუბლიკის დედაქალაქში აღარ ჩავა და მოლაპარაკებებს მხოლოდ ტელეფონით გააგრძელებს. მისი თქმით, „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არავინ გააკეთოს ან გადასცეს უპასუხისმგებლი განცხადებები მედიით, რადგან ახლა მოლაპარაკები გადამწყვეტ ეტაპზეა“. კოკოითიმ პამარბერგისთვის მიცემული პირობა დაარღვია და პატიმრისაბი მყოფი ტირქის მოზარდები არ გაათვისეთლა. მას 10-დღიანი ვადა ჰქონდა შეწყალების აქტის გამოსაშებარება. ეს ვადა 12 დეკემბერს ამიონურა, მაგრამ ვიქტორ ბუჩუკური და ლევან ხმიადშევილი კვლავ პატიმრისაბი რჩებან. კოკოითი ამის მიზეზად საქართველოს ხელისუფლების „უპასუხისმგებლი“ განცხადებებს ასახელებს და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლების ზეწოლის გამო, შეწყალების უფლებას არ გამოიყენებს. დე ფაქტო ხელისუფლება ორივე მხარეს დაკავებული პირების გაცელას ითხოვს პრინციპით – „ყველა ყველაზე“. მათი მოთხოვნა უგზოუკლოდ დაკარგულთა მოძიებაცაა.

ცხინვალის წნობით, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი რუსთავის კავკასიის უკვლებ დაკაველი იმის დროს უგზოუკლოდ დაკარგული ისი მოქალაქეების საქმის შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნას გეგმავს.

## „ვარსკვლავების აკადემიის“ შეხობის საქმი გრძელდება

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ჩამონაცვე-  
ვის შედეგად გარდაცვლილი წიგა გელაშვილის ოჯახმა 18 დეკემ-  
ბერს, გამოძიების თავიდან წირმობის მოთხოვნით, პროკურა-  
ტურაში განცხადება შეიტანა. ადვოკატები მერაბ ჩიქოვანი და  
გაგი მოსიაშვილი განმარტავენ, რომ საქმეში არის დანაშაულის  
ნიშნები, რომელიც კონკრეტულ პირთა სისხლის სამართლებრივ  
პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. „სასამართლო სხდომაზე კი  
არ მოგვეცა საშუალება, მსჯელობა ყოფილიყო ჩვენ მიერ ნარდ-  
გენილ შუამდგომლობებზე. გამოძიების მიერ დაშვებული კანონ-  
დარღვევების გამო, მთავარ პროკურორს გამოძიების თავიდან  
დაწყებას ვთხოვთ“, – ამბობს მერაბ ჩიქოვანი.

სანდრო ეულის ქუჩაზე მომხდარი უბედური შემთხვევის სა-  
სამართლო განხილვა 12 ოქტომბერს საპროცესო შეთანხმებით  
დასრულდა. ბრალდებულს, სამშენებლო კომპანია „არტ-იქსის“  
სამუშაოთა მნარმოებელს, დავით გვასალის 2 წლის ვადით პი-  
რობითი თავისუფლების აღკვეთა მიესავა, ფულადი ჯარიმის  
გარეშე. დალუპულის ოჯახის და მათი ადგიყატების განცხა-  
დებით, გამოძიებამ გააქვთა ყველაფერი, რათა „არტ-იქსის“ და  
„რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელებისთვის პასუხისმგებლობა აე-  
რიდებინა. მათი თქმით, ამის მიზეზი ის არის, რომ სამშენებლო  
კომპანიის მფლობელთა და მმართველთა შორის დავით კეზე-  
რაშვილის მუსლინე და გიგა ბოკერიას ცოლის და არიან.



### რიცხვები

**2380** ლარი ჯდება დღე-ლამის განმავლობაში თბილისის  
საასალნო განათება.

**1** მილიარდი დოლარის ინვესტირებას გეგმავს თურქეთი საქა-  
რთველოში ჰესების მშენებლობაში.

**68** ჟურნალისტი მოკლეს მსოფლიოში 2009 წელს.

**179** მილიონი აშშ დოლარი ვალი აქცეს საქართველოს  
მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასო-  
ციაციის.

**567** ლარია ბიზნესექტორში საშუალო ყოველთვიური ხელ-  
ფასი 2009 წლის მესამე კვარტალში.

### ციტაციები



„მე არ ვფიქრობ, რომ უზარმაზარი რუსეთის ფედერაცია  
უნდა თვლიდეს, თითქოს პატარა საქართველოდან  
საფრთხე ემუქრება და მოვუნდებდი რუსეთს  
უზრუნველყოს მშვიდობაზე თანამშრომლობა ყველა  
მეზობელთან“.

**ანდრეს ფოგ რამუსენი**

**16 დეკემბერი, რადიო „ეხო მოსკვი“**

„ეს სფერო [განათლების] ჩვენი ქვეყნისთვის  
სტრატეგიულია. არ გვაქვს ნავთობი, გაზი; რაც გვაქვს,  
ეს არის ჩვენი ინტელექტუალური რესურსი. აქედან  
გამომდინარე, განათლება არის ცველაზე მნიშვნელოვანი  
სფერო. თვითონ სფერო არის ძალიან დიდი, მარტო  
სკოლაა 2462, აქედან 2179 – საჯარო; გარდა ამისა –  
624 560 მოსწავლე და 79 866 მასწავლებელი. ამხელა  
რესურსების, ამხელა სფეროს მართვა მართლაც  
ურთიერთებისა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის  
სფერო, რომელიც ეხება თითოეულ ოჯახს, თითოეულ  
ადამიანს“.

**დიმიტრი შაშვინი**

**18 დეკემბერი, გაზეთი „24 საათი“**

„განვითარებად დემოკრატიაში რეპორტიორების  
დაშინება, მთავრობის მიერ თავისუფალი პრესის  
შევინწროება და თავისუფალი სიტყვის ჩახშობა არ უნდა  
ხდებოდეს. ჩვენ ძალიან გვაშფოთებს საქართველოში  
დემოკრატიის სარისკო მდგომარეობა. იმედს ვიტოვებთ,  
გაიაზრებთ თქვენს როლს, რათა უზრუნველყოთ, რომ  
საქართველოს მთავრობამ ბატონი ჯორჯეგაძისა და გაზეთ  
„პათუმელების“ დასაცავად საჭირო გარანტია შექმნას;  
და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ამ დაუშვებელ  
ფაქტთან დაკავშირებით“.

**MDLF-ის (საერთაშორისო მედია საინვესტიციო ფონდის)**  
**ნერილი ამერიკელ სენატორებს, ჯონ მაკეინსა და ჯოზეფ  
ლიბერმანს**

**მოქმედი****კახი ყურაძეილი**

საქართველოს კომპანიაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოების დაინტერესება მაუწყებლის მესაკუთრის ვინაობრი ბუნებრივია, მაგრამ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიებისთვის ამის გამო მესაკუთრის უფლების აკრძალვა, ვფიქრობ, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

საქართველოს კანონმდებლობა ზომიერად ისედაც ზღუდავს მედიამფლობელების გარკვეულ კატეგორიებს. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში მაუწყებლობის ლიცენზიის ფლობა შეზღუდული აქვთ: ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს/თანამშრომელს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირს, პოლიტიკურ პარტიას ან პოლიტიკურ პარტიის თანამდებობის პირს. ამ სიას რომც დაუმატოთ ოფშორული ზონები, მედიამფლობელების სრული 100%-იანი გამჭვირვალობა მაინც ვერ იქნება მიღწეული.

თუ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ საწარმოს კანონი აუკრძალავს სამაუწყებლო ლიცენზიის აღებას, ის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნებს შევილობილ კომპანიას საქართველოში, რომელიც თავის მხრივ დააფუძნებს მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ. ამ პირა-მიდაში ყველაზე ბოლოს დაფუძნებული საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი აიღებს სამაუწყებლო ლიცენზიის, კანონის სრული დაცვით. კანონი ამ ქმდებით არ დაირღვევა და საბოლოოდ სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი საქართველოში დარეგისტრირებული კომპანია იქნება.

ანუ ბუნდოვანია, უკუსვლით რამდენი ეტაპით უკან უნდა გადავიდეთ იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რომელი კომპანია არის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული, და ვინ არის რეალური მფლობელი. თუ მთავარი ის არის, ვიცოდეთ, ვინ არის სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული პირების მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობის აკრძალვა ამ მიზანს ვერ მიგვაღწევინებს.

პირის დაინტერესების შემთხვევაში, მას მაინც შეეძლება დაფაროს მისი კავშირი რომელიმე მედიასთან. ნებისმიერი შეზღუდვა კი, როგორც ცნობილია, ინვესტ ალტერნატიული გამოსავლის, ხერხის, საშუალების ძიებას.

საკოთხის ხისტად მიღვომით მოგვარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ცვლილებები შევა არა მხოლოდ მაუწყებლობის შესახებ კანონში, არამედ თუ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებს საქართველოში საქართო აუკრძალებათ ნილების ფლობა და სამეცნარებელ საქმიანობა. მაგრამ ამ შემთხვევაში, აუცილებელია აქ ზომიერების დაცვა, პროპორციულობის უზრუნველყოფა, რათა ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექნიზმების არ ხელყონ თავსსუფალი მენარმებისა და საკუთრების კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის საშუალება. პრობლემა მხოლოდ სამართლებრივი რეგლამენტაცია როდის. იმისთვის, რომ მედიაში გამჭვირვალობა 100 და მეტი პირით უკუსვლით ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს აუკრძალო, საქართველოში ყველა საწარმოს, რომელიც სააქციო საზოგადოების ფორმით იქნება ჩამოყალიბებული, უნდა აუკრძალო ფასიანი ქალალდების

**უცდა ფლობელის თუ არა მფლობელი**

ბაზარზე ვაჭრობებში მონაბილეობაც. წარმოვიდგინოთ, რომ საერთაშორისო ბირჟაზე ვილაცამ იყდა ქართული კომპანიის აქციები. სახელმწიფომ როგორ უნდა აკონტროლოს ვინ არის თითოეული აქციის მყიდველი? ამის ბერკეტი არ არსებობს. გამოიდის, რომ ყველა სააქციო საზოგადოება უნდა შემოიფარგლოს საქართველოს მასტებაბით და საერთაშორისო ბირჟებზე აქციები გასაყიდად ვერ უნდა გაიტანოს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ მომენტისთვის არც ერთი სამაუწყებლო ლიცენზია არ არის გაცემული ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ სუბიექტზე. ლიცენზიების ყველა მფლობელი საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირია. ანუ ის კომპანიები, რომლებიც ფლობენ სამაუწყებლო ლიცენზიებს საქართველოში რეგისტრირებულები არიან, მაგრამ მათი დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები. მაგალითად, სამაუწყებლო ლიცენზიას ულობს შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და არა თავად ამ შპს-ს დამფუძნებლები, 70%-ის მფლობელი „DEGSON LIMITED“, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ასევე კომპანია „DENAL UNION“ კი არ არის სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, არამედ შპს „სააქართველოა“, რომლის დამფუძნებლებიც თავის მხრივ „DENAL UNION“-ია.

პიროვნულად არ ვარ ნინააღმდეგი იმისა, რაც ჩემ იპონენტებს უნდათ. მაუწყებლის მესაკუთრის თაობაზე ინფორმაცია ლია უნდა იყოს საზოგადოებისთვის. მაგრამ გამჭვირვალობის უზრუნველყოფას არ უნდა ვანაცვალოთ სხვა ტიპის თავისუფლებებით სარგებლობის საშუალება (თავისუფლი მენარმებისა, თანასწორობა, საკუთრების უფლება). მენარმებისა და კონკურენციის განვითარება ხომ ისაა, რაც უზრუნველყოფას სარეკლამო ბაზის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მაუწყებლთა სახელმწიფოსაგან და გაურკვეველი მიზნების მქონე ოლიგორქებისაგან დამოუკიდებლობის ყველაზე ლეგალური და ლოგიკური ფინანსური საშუალებაა. **ც**



## უმ კომპანია მეცნიერებაზე განვითარების?



**მოწინააღმდეგ  
თამარ გურჩიანი**

იურისტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ოფშორული კომპანია არ უნდა იყოს მედია ორგანიზაციის მფლობელი (მფლობელი იგივეა, რაც: დამფუძნებელი, პარტნიორი, მესაკუთრე), რადგან ეს ხელს უშლის მედიის გამჭვირვალობას, სანდობასა და ანგარიშვალდებულებას.

### სამართლებრივი/ფაქტოპრივი მდგრადი რეგულირება

დასაწყისშივე დავაზუსტებ, რომ ვისაუბრებ მხოლოდ სამაუწყებლო კომპანიებზე და არა ნებისმიერ მედიასაშუალებაზე. საქართველოში მაუწყებლები, როგორც წესი, რეგისტრირდებიან მეცნიერებულებაზე (იგივე სანარმო/კომპანია) და საჭიროებენ ლიცენზიას. სწორედ რეგისტრაციის დროს წარედაგინება მარეგისტრირებულ ორგანოს კომპანიის დამფუძნებლების (პარტნიორების) შესახებ ინფორმაცია. კომპანიის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი, მათ შორის – უცხო ქვეყნის იურიდიული პირი, შესაბამისად ოფშორული კომპანიაც. თუმცა, მეორე მხრივ, მაუწყებლობა შესახებ კანონის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მიუხედავად ამ შეზღუდვისა, კანონი არ კრძალავს შუალედური რეგოლის გაჩერას. ლიცენზიის მფლობელი სამაუწყებლო კომპანიის მეპატრონები შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი, მათ შორის – ფოშორული კომპანიაც. მეგალითად, ყველასათვის ცნობილია, რომ „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ წილის მფლობელია ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე (ოფშორული ზონა) რეგისტრირებული კომპანია „DEGSON LIMITED“.

### გამართვის და მეცნიერების მდგრადი რეგულირება

საქართველოში ნებისმიერი კომპანიისა და ასევე მაუწყებლების მფლობელების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. კანონით, მარეგისტრირებულ ორგანოსთან არსე-

ბული სამეცნიერებო რეგისტრის ამონაწერი საჯაროა, თუმცა საკუთრივ ამონაწერის ფორმა არ შეიცავს მფლობელების შესახებ მონაცემს. აღნიშნული მონაცემი ფიქსირდება მხოლოდ სანარმოს მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განაცხადსა და წესდებაში (ამ უკანასკნელის წარმოდგენა დღეს სავალდებულო არ არის). კანონმდებლობა აღნიშნული დოკუმენტების საჯაროიბის თაობაზე არაფერს ამბობს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრაქტიკის თანახმად კი, მარეგისტრირებული ორგანო გასაჩინობის შემდეგაც არ გასცემს ამ ინფორმაციას. მაგალითად, საიამ 2009 წლის ოქტომბერში მოითხოვა რიგ სანარმოთა (მათ შორის, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისა და შპს „ტელემიედის“) როგორც სამეცნიერებო რეგისტრის ამონაწერები, ასევე მათ მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო განცხადებების ასლები. ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ კანონით „არ არის გათვალისწინებული სარეგისტრაციო განცხადებების ასლების გაცემა, ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერებო რეგისტრის მონაცემების გაცნობა და ამონაწერების განმცხადებლისთვის გადაცემა“.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა მაუწყებლების შემთხვევაში გამონაკლის უშვებს და მოითხოვს, რომ ლიცენზიის მფლობელებმა ყოველწლიურად გამოაქვეყნონ და კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია სანარმოს მფლობელების შესახებ. მიუხედავად ამისა, გამჭვირვალობის პრობლემა თავს იჩენს სწორედ მაშინ, როცა აღმოჩენდება, რომ მფლობელი იღმორული კომპანიაა. ამისი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით ოფშორული კომპანიის შესახებ ვერაფერს შევიტყობთ, თუ მას საქართველოში არ აქვთ ფილიალის დაფუძნების ვალიცებულება კი ამ შემთხვევაში არ არსებობს.

### სანდობა

რომ არა საზოგადოებრივი ინტერესი, მაუწყებლების საქმიანობა არ დარეგულირდებოდა კანონმდებლობით და ეთიკური სტანდარტებით კი არ დადგინდებოდა ნორმატიული აქტით. საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს სწორედ სანდო, მიუკერძოებელ და სამართლიან მაუწყებლობაზე, ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია მაუწყებლის ფინანსებისა და გადაწყვეტილებების მიმღებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხზე. ყველასათვის ნათელია, რომ ოფშორული კომპანიების მთავარი ატრიბუტი არ გახლავთ ღიანიციპი, უფრო – პირიქით.

### ანგარიშვილებულება

ოფშორული კომპანიების მონაწილეობა გაართულებს კომისიის მხრიდან მდებარებელებს მიერ კანონით დადგენილი (მაგალითად, სალიციაზიო პრობების დაცვა) მოითხოვნების შესრულებაზე კონტროლს. მაგალითად, კანონით იკრძალება მაუწყებლობის საკუთრებული მფლობელი შეიძლება აქვთ, დამოკიდებულად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების (თუ ერთი პირი პირდაპირ ან ირიბაზ ფლობს მეორე პირის აქციებს ან საწესდებო კაბინეტის წილს, არის მისი თანამდებობის პირი, ან მისთვის ან აქციონერის, პარტნიორის ან თანამდებობის პირისთვის ასრულებს რამე ანაზღაურებად სამუშაოს; აგრეთვე თუ ერთი მაუწყებელი ახორციელებს მაუწყებლობას მეორე მაუწყებლის მეშვეობით) მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის თითო მომსახურების ზონაში. კომისია ვალდებულია, კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად გარკვეულ ზომებს მიმართოს. თუმცა, თუ ოფშორული კომპანიების შესახებ ინფორმაცია სელმისაწვდომი არ არის, არც კომისიის საქმიანობის გაკონტროლობების საშუალება გვაქვს. ც.



კოლეგია

# ლიდერი, რომელიც 30 გახდა ლიდერი

ირაკლი ალასანიას გამარჯვებაში სამი ფაქტორი უშლის ხელს:

ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია, ოპოზიციის სხვა ლიდერების ამბიციები და საკუთარი პოლიტიკური სისუსტე.

---

სოფო ბუკია



■ ირაკლი ალასანიას შეხვედრა ამომრჩევლებთან ჩულურქოში, ლონდონის სკოლის, თბილისი, 12 დეკემბერი 2009

ჩუღურეთში, ლონდონის სკვერში მერობის კანდიდატთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრას 40-მდე თბილისელი ელოდებოდა. ნაწილმა მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შეამჩნია, რომ ალიანსის ლიდერი უკვე მოვიდა და შეხვედრაც დაწყებულია. ისინი ერთმანეთთან საუბარში გაერთონ, ღორის გრიპსა და ალიანსის შესახებ „რეალ ტე“-ის ეთერში გასულ სიუჟეტებზე მსჯელობდნენ.

პირველი კითხვა, რომელიც თბილისის მერობის კანდიდატს ჩუღურეთში დაუსვეს, აფხაზეთს ეხებოდა. კითხვის ავტორმა ირაკლი ალიანსის უთხრა: „როცა თქვენ გხედავთ, აფხაზეთი მასხენდება და არა თბილისი“.

რას აპირებს თბილისის მერად არჩევის შემთხვევაში; როგორ ხედავს რუსეთთან ურთიერთობას; რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას; რატომ იდგა იგი აპრილში ნინო ბურჯანაძის გვერდით; ხომ არ აჯობებდა, რომ მისი ოჯახი თბილისში ცხოვრობდეს და არა ნიუ-იორქში – მერიის იპოზიციონერ კანდიდატს ყველაზე ხშირად ამ კითხვებს უსვამდნენ.

მოქალაქეებმა ბეჭითი, დინჯი და ზრდილობანი პასუხები მიიღეს. ალიანსის ლიდერი ყველა კითხვას ერთსა და იმავე, დაბალ ტონალობაში პასუხობდა

ისე, რომ მისი ხმა მხოლოდ მათ ესმოდათ, ვინც ალიანსისთან ახლოს იდგა.

„შენ მაგაზე არ იდარდო, ამდენი ქარიზმა ამოვიდა ყელში, შვილო. ზუსტად შენნაირი განონას შემოწმებული პრეზიდენტი გვინდა. შენი იმდენ გვაქვს“, – უთხრა ჩუღურეთში შეხვედრაზე ალიანსის ერთ-ერთმა ქალბატონმა.

დიდი შანსია, ეს არჩევნები ალიანსისთვის გადამწყვეტ გამოცდად იქცეს, რადგან მას ბევრად მეტი პოლიტიკური ამბიცია აქვს, ვიდრე თბილისის მერობაა. ამ ეტაპზე კი ალიანსის ლიდერი დაბრკოლებების დაძლევის პოტენციალს ვერ ავლენს.

ჩუღურეთის ბალში მისულმა რამდენიმე ადამიანმა თქვა, რომ ინფორმაცია მათ უბანში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ მეზობლისგან შეიტყო, მეზობელმა მაღლაზის გამყიდველისგან, მან კი ალიანსის აგიტატორისგან, რომელიც ამავე უბანში ცხოვრობს.

სამი ნაციონალური ტელეარხი ინტენსურად აშექებს ალიანსის მთავარი კონკურენტის, ქალაქის მოქმედი მერის საარჩევნო კამპანიას, რომელიც ზაფხულიდან დაიწყო. ღორის გრიპის ეპიდემის დამარცხება, უურნალ „ცისკრის“ გამოცემის განხელება, მწერლებისგის „მწერალთა კავშირის“ შენობის დაბრუნება – ყველა პოპულარულ და მნიშვნელოვან საქმეს გიგი უგულავა პირადად კურირებს. ბოლო რამდენიმე თვეება, იგი მწვავე პოლიტიკურ დებატებში აღარ ერთვება, უგულავა არასოდეს საუბრობს კონკურენტზე, მათ შორის – არც ალიანსიაზე. ის ამომრჩევლისთვის მხოლოდ სასამოვნო სიახლეებთან ასოცირდება. სახელისუფლებო კანდიდატის ხელშა ძლიერი ადმინისტრაციული მექანიზმები – მერია თითქმის ყოველდღე იწყებს ახალ პროექტებს, რომელთა მეშვეობითაც, მზრუნველი მერი თითქმის ყველა თბილისელის ოჯახში შედის. „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი უფრთხილებება და მოხერხებულად ინარჩუნებს კიდეც იმ ელექტორალურ უპირატესობას, რომელიც საგაზაფხულო კრიზისის დაძლევის შემდეგ მმართველმა პარტიამ მოიპოვა.

თბილისელები ოპოზიციისან ცალსახად ითხოვენ არჩევნებში მონაწილეობას. სიცალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, იაგო კაჭკაჭიშვილი ბოლო კვლევაზე დაყრდნობით ამბობს, რომ 80%-მდე გამოკითხული მოქალაქეები არასაპარლამენტო ოპოზიციას, ქუჩის აქციების ნაცვლად, არჩევნებში ბრძოლას ურჩევს. „ამ ეტაპზე არ არსებობს არანარი საფუძველი, რომ თბილისში საპროტესტო ტალღა აგორდეს“, – ამბობს იგი.



■ გაერთიანებული ოპოზიციის მსვლელობა, თბილისი, აპრილი 2009

ამ ფონზე, ლევან გაჩერილაძის მოულოდნელი განცხადება, რომ არჩევნებს ბოიოტს უცხადებს და გაზაფხულიდან საპროტესტო აქციების მესამე ტალღას იწყებს, თოთქოს დაწების წინააღმდეგ ცურვას ჰგავს ან ამომრჩევლის დაწევის მცდელობას. თბილისელების გახლება ორ ნაწილად – ვინც არჩევნებზე მიღის, და ვინც ბოიოტს აცხადებს – მნიშვნელოვნად შეამცირებს ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველთა რაოდენობას. როგორც ჩანს, ხელისუფლებაშიც კარგად ესმით, რომ გაჩერილაძის ინიციატივა წინასაარჩევნოდ არა მმართველ პარტიის, არამედ ალასანიას დააზიანებს. სწორედ ამიტომ ცენტრა-

ლურმა ტელეარხებმა გაჩერილაძის საგანგებო პრესკონფერენციას მთავარი საინფორმაციო გამოშვებების პირველი და ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნეს.

იმავე სიუჟეტში გაჩერილაძის გეგმას მხარდაჭერა წინ ბურჯანაძემაც გამოუცხადა. „ლიბერალთან“ ინტერვიუში პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს, რომ ხალხი ქუჩაში უკვე იანვრის ბოლოსთვის გამოვა.

„მერი ვერა ფერს გააკეთებს. ცვლილებები სათავედან უნდა დაინყოს“, – აცხადებს ბურჯანაძე. „სათავედან“ ცვლილება იყო 2009 წლის აპრილის საპროტესტო აქციების მთავარი ლოზუნგიც, როცა ბურჯანაძე ავანგარდში იდგა და, სწორედ ამ აქციების უშედეგოდ დასრულების გამო, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტნგი ომამდელ ნიშნულს დაუპრუნდა.

ალიანსი საარჩევნო ბრძოლებში გამოწრთობილ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აგებს, და ვერც ოპოზიციას არწმუნებს, რომ მისი გამარჯვება საერთო გამარჯვება შეიძლებოდა გამდარიყო.

„რა შესთავაზა ალასანიამ დანარჩენ ოპოზიციას? რეალურად – არაფერი. საერთო კანდიდატზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ მან საკუთარი თავი სხვებთან შეუთანხმებლად დაასახელა – მერობის, სუბარის კანდიდატის კანდიდატურა“. ამ მათან მკაფიო გამიჯვნით ოპოზიციური ელექტორატი უნდა დაარწმუნოს, რომ ხელისუფლების დასუსტების ერთადერთი გზა არჩევნებში ალასანიას და სუბარის გამარჯვებაა. პირველი გზის არჩევაში ალიანსის საკუთარი ამბიციები შეუშლის ხელს, მეორე გზა კი ისეთ პოლიტიკურ გამშედაობას და ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელიც ალიანსს არ აქვს. □

## ■ ალიანსი საარჩევნო

**ბრძოლებში გამოწრთობილ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აგებს, და ვერც ოპოზიციას არწმუნებს, რომ მისი გამარჯვება საერთო გამარჯვება შეიძლებოდა გამხდარიყო.**

– მერობის, სუბარი კი საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად. მას დანარჩენი იპოზიციისთვის რაიმეს დათმობის გარეშე უნდა, გახდეს ერთიანი კანდიდატი. ალასანიას წესებით თამაშის შემთხვევაში, ოპოზიციური სპეცტრის უდიდესი ნაწილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა“, – წერს „ლიბერალის“ მე-14 ნომერში ლევან რამიშვილი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“.

„ჩვენ არ ვებრძვით ოპოზიციას, ჩვენ ვიცით, ვის ვებრძოლოთ“, – ამბობს სოზარ სუბარი. მაგრამ, ვიდრე საქმე ხელისუფლებასთან ბრძოლამდე მიგა, ალასანმა მტკიცე პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ირაკლი ალასანიას გუნდი დანარჩენ იპოზიციასთან ან სერიოზულ კომპრომისზე უნდა წავიდეს (მაგალითად, დათმოს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა) ან მათან მკაფიო გამიჯვნით ოპოზიციური ელექტორატი უნდა დაარწმუნოს, რომ ხელისუფლების დასუსტების ერთადერთი გზა არჩევნებში ალასანიას და სუბარის გამარჯვებაა. პირველი გზის არჩევაში ალიანსის საკუთარი ამბიციები შეუშლის ხელს, მეორე გზა კი ისეთ პოლიტიკურ გამშედაობას და ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელიც ალიანსს არ აქვს. □



■ ირაკლი ალასანიას შეხვედრა ამომრჩევლებთან ჩულერერთში, ლონდონის სკერიში, თბილისი, 12 დეკემბერი 2009

თვითმმართველობის ხარისხი აზარის ავტონომიაზი

## საჩვენებელი ავტონომია

აჭარის სუსტი ავტონომიური სტატუსის მიუხედავად, მის გაუქმებას ხელისუფლება არ აპირებს. აგვისტოს ომის შემდეგაც მთავრობაში ფიქრობენ, რომ აჭარის ავტონომია აფხაზეთისა და ოსეთისთვის საქართველოსთან გაერთიანების სამაგალითო მოდელია.

### ნესტან ცეცხლაძე

ფოტო ლევან გაგაუაშვილი



■ მეთევზები ბათუმის პორტში

შავ ზღვაში მაღლე ქაფშიის სეზონი დაიწყება და ბათუმელმა მეთევზეებმა კვლავ დედაქალაქს უნდა მიაითხონ იმისათვის, რომ გარემოს დაცვის სამინისტროსგან თევზჭერის ნებართვა მიიღონ. ის, რომ ბათუმი აჭარის ავტონომიის ადმინისტრაციული ცენტრია, 103-მილიონიანი ბიუჯეტით, რამდენიმე სამინისტროთი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარით, საკანონმდებლო ორგანოთი და გარემოს დაცვის სამმართველოთი, ამ ქალაქში მცხოვრები მეთევზების პრობლემებს ვერ ჭრის. საქართველოს კონსტიტუციით, გარემოს დაცვის საკითხები, მათ შორის თევზჭერის ნებართვების გაცემაც, ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა.

აჭარაში ავტონომიის საკითხე დისკუსია მხოლოდ საყოფაცხოვრებო პრობლემების ორგვლივ იწყება – ჩნდება კითხვა, რაში სქირდებათ აჭარელებს ავტონომიის სტატუსი, თუეკი ისეთი მარტივი საკითხების გადასაზყვეტად, როგორიც თევზჭერის ლიცენზია, მანიც თბილისში უწევთ ჩასვლა. თუ-მცა, ეს საუბრები დიდ პოლიტიკურ დისკუსიაში აღარ გადადის.

■ „მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამოუკიდებლობა და აჭარის ავტონომია, რაც უნდა მაღალი ავტონომიურობის ხარისხი ჰქონდეს მას, აფხაზებისთვის არგუმენტი აღარ არის“.

90-იანი წლების შემდეგ ბოლო დიდი მოძრაობა, აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით, 2004 წელს დაიწყო, როცა ე.წ. „მეორე ვარდების რევოლუციის“ გზით აჭარაში ასლან აბაშიძის ხელისუფლება შეიცვალა. კობა დავითაშვილმა, მაშინ „კონსერვატიული“ და ამჟამად „ხალხის პარტიის“ ლიდერმა, დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პლებისციტის ჩასატარებლად. საერთო სახლობი გამოკითხაში აჭარის მოსახლეობას უნდა ეპასუხა კითხვაზე – „გსურთუ არა ავტონომიის გაუქმება?“

დავითაშვილი იხსენებს, რომ მაშინ 70 ათასი ხელმოწერა შეაფროვა და პრეზიდენტის კანცელარიაში მიიტანა: „ხელმოწერები სანაგვეში გადაყარეს“. პლებისციტი არ ჩატარებულა.

„ხუთი წელი გავიდა, მაგრამ დღესაც ასე ფფიქრობ – ქართველებს არ სჭირდებათ ავტონომია საქართველოში. პლებისციტია: „ესაა ტიპური საბჭოთა მოვლენა, მეორე ასეთი ავტონომია არის მხოლოდ რუსეთის პროვინციაში – ებრაელების ავტონო-

კულტურული ავტონომია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს სჭირდება, რომ ეთნიკური იდენტურობა შეინარჩუნობ“, – ამბობს დავითაშვილი.

აჭარის ავტონომია, რომელიც 1921 წელს ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, ქართველი მუსლიმების უფლებების გარანტი უნდა ყოფილიყო. თუმცა, თანამედროვე სამყაროში რელიგიური ნიშნით ავტონომიერი არ იქმნება, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებში აღმსარებლობის თავისუფლება კონსტიტუციონალური გარანტიურებული. ბათუმის უწივერსიტეტის პროფესორი, აჭარაში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი მასალეკინი ამბობს, რომ ამ თვალსაზრისით, აჭარის ავტონომია უნიკალურია: „ესაა ტიპური საბჭოთა მოვლენა, მეორე ასეთი ავტონომია არის მხოლოდ რუსეთის პროვინციაში – ებრაელების ავტონო-

მია, თუმცა იქ მოსახლეობის მხოლოდ 5%-ია ებრაელი”.

თუმცა, როცა საკითხი რელიგიური პრინციპით შექმნილი ავტონომიის გაუქმებას ეხება, მასალენი მაინც სიფრთხისას მოშერება. მისი თქმით, როცა ქვეყანაში ეკლესიას აქვს ძალიან დიდი გავლენა პოლიტიკაზე, სახელმწიფოზე და ქვეყანა ფაქტობრივად არ არის სეულარული, ავტონომიის გაუქმების იდეამ შეიძლება მუსლიმები შეაშინოს. „პლებისციტი რომც ჩატარდეს, შედეგები შეიძლება არაპროგნოზირებადი იყოს. როდესაც ჩამოდის თბილისელი სტუმარი, პოლიტიკოსი, ის ხედავს ბათუმს, მაგრამ თუ შორს წავა – მაღალმთიან აჭარაში, ის უფრო მეტ მეჩეთს და მინარეთს დაინახავს“, – ამბობს გიორგი მასალენი. 2002 წელს ჩატარებული აღნერის მიხედვით, აჭარაში 115 ათასი მუსლიმი ცხოვრობს. თუმცა, ამ გრაფის შევსება ნებაყოფლობითი იყო.

ყარსის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ბერები ამ დოკუმენტს ძალადაკარგულად მიჩნევს, ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს კი ავტონომიის გაუქმების ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად სწორედ ყარსის ხელშეკრულება მიაჩნია. ის ამბობს, რომ საქართველო ცალმხრივად, თურქეთთან კონსულტაციების გარეშე, ავტონომიას ვერ გააუქმებს: „საქართველო-თურქეთის ყოვლისმომცველ ჩარჩო-ხელშეკრულებში, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიდო, როცა ორ ქვეყანას შორის მყარდებოდა მეგობრული ურთიერთობები, ყარსის ხელშეკრულება მოხსენიებულია. აქედან გამომდინარე, მისი იგნორირება არ შეიძლება“.

გეგეშიძის თქმით, საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ამ საკითხში თურქეთის პოზიცია: „ვერ გეტყვით, თურქეთი რა პრობლემას შექმნის, მაგრამ ჩვენი მეზობელი იმ პოტენციის ქვეყანაა და საქართველოზე ზემოქმედების იმდენი ბერებით აქვს, განწყობაც რომ გვაგრძინობინოს ამ მიმართებით უარყოფითი, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში“.

როცა ავტონომიის გაუქმების საკითხზე საუბრობენ, ყარსის ხელშეკრულებაზე მეტად აჭარის უმაღლეს საკონსილებლო ორგანოში აფხაზეთსა და ოსეთს ახსენებენ. შენობაში, რომლის კედლებზე სხვადასხვა ქვეყნის რეგიონული პარლამენტების ფოტოებია გამოიკვეთება, დღემდე მიაჩნიათ, რომ არნინის მოგვარების მოგვარების პროცესში აჭარის ავტონომიის თემით მანიულაცია თავიდანვე შეცდომა იყო: „როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ხელახლა დანერა საკონსტიტუციო კანონი აჭარის ავტონომიის შესახებ, მაშინ ბატონმა სააკაშვილმა ეს საქართველოს ფედერაციული მოწყობის საუკეთესო ფორმად დაასახელა. ამან ძალიან გამაღლითანებლად იმოქმედდება სოხუმზეც და ცხინვალზეც. ჩემი აზრით, ეს არასწორი მაგალითი იყო. ბატონმა სააკაშვილმა ეს შეცდომა გაიმერა პარლამენტში, როცა შემაჯამებელი გამოსვლა ჰქონდა – ნარმატებული კანონპროექტებს ჩამონათვალი მოიყვანა და ისევ ეს საკონსტიტუციო კანონი ახსენა, კიდევ ერთხელ გაიმერა, რომ ეს არის მშვინეული მაგალითი აფხაზებისთვის და ოსეთისთვის. ვფიქრობ, 2008 წლის შემდეგ საქართველო უკვე მოუგვარებელ კონფლიქტებთან გვაქვს. არ მგონა, რომ აჭარის მოსახლეობა

რის ავტონომიის გაუქმება და ამ თემაზე საუბარიც კი დაუშებელია. ისინი არ აპირებენ, მოსახლეობას ჰყითხონ, სურთ თუ არა ავტონომია, რომლის ნაკლებადეგმედითი ადმინისტრაციის შესანახად (უმაღლესი საბჭო, სამინისტროები) 30 მილიონი იხსრჯება.

„იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ დასაბრუნებელი გვაქვს ტერიტორიები – აფხაზეთი და ოსეთი, აჭარის ავტონომიის არსებობა მიზანშენონილია. მნიშვნელოვანია, საერთაშორისო მასტრაბით მოლაპარაკების წარმოების დროს, ვაჩვენოთ ჩვენ მაგალითზე, ტერიტორიული მოწყობის როგორი პრინციპი შეიძლება არსებობდეს. მიმაჩნია, რომ ავტონომია მანამდევა საჭირო, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება და შემდეგ უკვე მოსახლეობის გადასაწყვეტი იქნება“, – ამბობს დეპუტატი მმართველი პარტიიდან მურმან ბერიძე. ამავე მოსაზრებას იზიარებენ „ლიბერალთან“ საუბარში დეპუტატები გელა ცხომელიძე და ზაზა გოგოგიშვილი.

„ძნელია, ევროპელებს აუხსნა, რომ აჭარის ავტონომია სხვა არის და ამიტომ გავაუქმებო, ხოლო აფხაზეთის – სხვა. შეიძლება ამას ასეთი ინტერპრეტაცია მიეცეს: აჭარას წაართვეს ავტონომია და აფხაზეთს რა უნდა მისცენ?“ – ამბობს დეპუტატი პეტრე ზამბაძიძე „ნაციონალური მოძრაობიდან“.

კონფლიქტოლოგი და „რესპუბლიკური პარტიის“ ნებერი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესში აჭარის ავტონომიის თემით მანიულაცია თავიდანვე შეცდომა იყო: „როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ხელახლა დანერა საკონსტიტუციო კანონი აქარის ავტონომიის შესახებ, მაშინ ბატონმა სააკაშვილმა ეს საქართველოს ფედერაციული მოწყობის საუკეთესო ფორმად დაასახელა. ამან ძალიან გამაღლითანებლად იმოქმედდება სოხუმზეც და ცხინვალზეც. ჩემი აზრით, ეს არასწორი მაგალითი იყო. ბატონმა სააკაშვილმა ეს შეცდომა გაიმერა პარლამენტში, როცა შემაჯამებელი გამოსვლა ჰქონდა – ნარმატებული კანონპროექტებს ჩამონათვალი მოიყვანა და ისევ ეს საკონსტიტუციო კანონი ახსენა, კიდევ ერთხელ გაიმერა, რომ ეს არის მშვინეული მაგალითი აფხაზებისთვის და ოსეთისთვის. ვფიქრობ, 2008 წლის შემდეგ საქართველო უკვე მოუგვარებელ კონფლიქტებთან გვაქვს. არ მგონა, რომ აჭარის მოსახლეობა

ავტონომიის გაუქმებისთვის მათ მოგვარებას უნდა ელოდოს“.

ექსპერტ არჩილ გეგეშიძის თქმით, ქართული მხარე, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ცდილობდა, რომ აჭარის ავტონომიის არსებობა გამოეყენებინა კონფლიქტის მხარეებთან მოლაპარაკებში. თუმცა არც ოსური, და მით უფრო არც აფხაზური მხარე ამას სერიოზულად არასოდეს აღივაძა: „აფხაზეთი თვლიდა, რომ ეს არის ფიქცია და ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო არგუმენტი ქართული მხარის ხელში. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამუკიდებლობა და აჭარის ავტონომია, რაც უნდა მაღალი ავტონომიურობის ხარისხი ჰქონდეს მას, უკვე 10 წელია, აფხაზებისთვის არგუმენტი აღარ არის“. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიას საჩვენებელი მისა აკისრია, მისი სტატუსი „გვრდების რევოლუციის“ შემდეგ თანდათანობით სუსტდება.

საერთაშორისო ინსტიტუტები, ოპოზიცია და ექსპერტები, ავტონომიის მმართველობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს მიირჩევენ. თავმჯდომარის კანდიდატურას პირდაპირ პრეზიდენტი წარადგენს. შემდეგ მას აჭარის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს. როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასულ წელს ლევან ვარშალომიძე მეორე ვადით წარუდგინა აჭარის უმაღლეს საბჭოს, საბჭომ ის ერთხმად დაამტკიცა თავმჯდომარის პოსტზე.

აჭარის ავტონომიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ორგებრ რომ ჩაეგდო სააკაშვილის კანდიდატურა, პრეზიდენტს უფლებება ჰქონდა, დაეთხოვა აჭარის უმაღლესი საბჭო. ამ უფლებას პრეზიდენტს „აჭარის შესახებ საკონსტიტუციო კანონი“ ანიჭებს. ეს კანონი 2008 წელს მიღებულ აჭარის კონსტიტუციაზე ზემდგომი დოკუმენტია, თუმცა ავტონომიის კონსტიტუციაც სიტყვასიტყვით ამასვე იმეორებს.

2004 წელს ვენეციის კომისიამ კანონპროექტის ამ მუხლის შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის მიხედვით, პრეზიდენტის ასეთი როლი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დემოკრატიულობის ხარისხს და ავტონომიის სტატუსს. ვენეციის კომისიის ეს შენიშვნა (ისევე, როგორც ავტონომიის გასაძლიერებლად საჭირო სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები), საქართველოს ხელისუფლებამ არა გამოიიყო მისახლეობაში. **¶**

„მე მესმის, რომ არაა აუცილებელი აჭარის მოსახლეობამ აირჩიოს პირდაპირი წესით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მაგრამ, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის პრეროგატივა უმაღლეს საბჭოს? ის ხომ არჩევითი ორგანოა?“ – სვამს კითხვას გიორგი მასალევი და დასძენს, რომ ეს არის ხალხისადმი უნდობლობის გამოხატვა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე ამ სისტემაზე საუბრისას „უნდობლობის“ ნაცვლად „თავის დაზღვევას“ ახსენებს: „ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რა ფონზე ვართ მოსულები. დღესაც უნდა ვილოცოთ იმაზე, რომ სისხლი არ დაიღვარა და ისე შეიცვალა ძველი (აბაშიძის) რეჟიმი. ვიდრე ქვეყანა სტაბილური არ გახდება, ცენტრალურ ხელისუფლებას გარკვეული ბერკეტი სჭირდება“.

მიხეილ მახარაძე, რომელიც უკვე მეორედ არის აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ფილოსოფოსი და თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პრიფესიონალი. 2004 წლამდე ის ქართულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმის სანინააღმდეგო სტატიებს და აჭარაში პერსონა ნონ-გრატა იყო. სტატიებში მახარაძე ავტონომიის გაუქმებასაც ითხოვდა, თუმცა ახლა ამ საკითხზე აზრი შეიცვალა. „მაშინ ხომ ამ სავარძელში არ ვიჯექი? – იცინის და ამატებს, – საქმე ის არის, რომ არსებითი განსხვავებაა იმ საბჭოურ ავტონომიას, რომელიც, სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში 13 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და დღევანდელ ავტონომიას შორის“.

„ლიტერალთა“ 15-წლითინი ინტერვიუს დროს მახარაძე აჭარას რეგიონად მოიხსენიებს და ერთხელაც არ ახსენებს მას, როგორც ავტონომიას: „იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ჯერ ძალიან ბევრი პრიბლება გვაქვს გადასაჭრელი, ვფიქრობ, ეს მეორეხარისხოვანია, ასე ვთქვათ, ჩემთვის. ამაზე აქცენტირებით დიდი საქმე არ გავაფუქოთ“, – ამბობს იგი. თუმცა, რა არის ეს დიდი საქმე, ამის დაკონკრეტება მახარაძეს არ სურს.

საქართველოს პარლამენტი კი მაღლე იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს, რის პროექტიც აჭარის უმაღლესმა საბჭომ ცენტრალურ ხელისუფლებას 2007 წელს გაუგზავნა. თუ პარლამენტმა ცვლილებები დაამტკიცა, შესაძლოა, აჭარელ მეთევზებს ქაფშიობის მომავალ სეზონზე ნებართვის ბათუმშივე აღების უფლება მიეცეთ. **■**

## ქუთაისის მერი

# მერი მერის მოსალინში

მიუხედავად იმისა, რომ, კანონით, ქალაქის თვითმმართველობა ცენტრისგან დამოუკიდებელია, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქუთაისის მერების გათავისუფლება სწორედ ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ხდება.

## მარა მეცხვარიშვილი



■ ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ბობონიძე და ნურბარ ბერებია, ქუთაისი

## „ვარდების

### რევოლუციიდან“

დღემდე კი ქუთაისის

თვითმმართველობის

აღმასრულებელი

რგოლის ხელმძღვანელი

შვიდჯერ შეიცვალა:

სამჯერ – მერი, ოთხჯერ

– მერის მოვალეობის

შემსრულებელი.

ქუთაისის მერმა 7 დეკემბერს გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა. მეორე დღესვე მისი განცხადება ქუთაისის საკრებულოს უმრავლესობამ იოლად დააკმაყოფილა. სათათბირო ორგანოში ნაციონალური მოძრაობის მიერ ორი წლის ნინმერად დამტკიცებული ნუგზარ შამუგიას გათავისუფლებას მხოლოდ ორი მონინააღმდეგე გამოუჩნდა – „რესპუბლიკელი“ ულადიმერ ნაკაშიძე და „ლეიბორისტი“ სამსონ გუგავა.

საქმე ისაა, რომ 2006 წლის მოწვევის საკრებულო უკვე მესამე მერის გადადგომის განცხადებას აკმაყოფილებს. „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე კი ქუთაისის თვითმმართველობის აღმასრულებელი რგოლის ხელმძღვანელი შვიდჯერ შეიცვალა: სამჯერ – მერი, ოთხჯერ – მერის მოვალეობის შემსრულებელი.

„მერებს ფორმალური კონკურსის ფონზე ვამტკიცებთ და ამის შემდეგ, ისევ კითხვების გარეშე, ვათავისუფლებთ ამ ადამიანებს. ის, რაც ხდება ქუთაისში, კიდევ ერთი დასტურია

იმისა, რომ ქვეყანაში არ არსებობს თვითმმართველობა“, – აცხადებს „რესპუბლიკელი“ ვლადიმერ ნაკაშიძე.

ამის თქმის საფუძველს ნაკაში-  
ძეს ნუგზარ შამუგიას გადადგომის  
წინაპირობაც აძლევს - განცხადე-  
ბის დანერამდე ერთი კვირით ადრე  
ქუთაისის მერი იმერეთში ჩასულმა  
პრეზიდენტმა ტელეკამერების წინ გა-  
აკრიტიკა.

„ასეთი აქციებით ხელისუფლება ცდილობს, დააჯეროს მოსახლეობა, რომ ის უმსგავსობები, რაც ხდება რეგიონებში, არ იცის პირველმა პირმა. შამუგიას გათავისუფლება არის კიდევ ერთი მსხვერპლშენირვა“, – ამბობს ვლადიმერ ნაკაშიძე.

ნუგზარ შამუგია პრეზიდენტის კრი-  
ტიკის პირველი „მსხვერპლი“ არ ყო-  
ფილა. ქუთაისის საკრებულოს მიერ  
2006 წელს არჩეულმა მერმა, კომპანია  
„ელექტრომექანიკოსის“ გენერალურ-  
მა დირექტორმა, ბიქტორ ბალანჩივა-  
ძემ თანამდებობაზე მხოლოდ 2 თვე  
გაძლო — სანამ მიხეილ სააკაშვილმა  
ის ტელევიზიით, პირდაპირ ეთერში  
არ გაკიცხა, 48 ათას ლარად სამსახუ-  
რებრივი ავტომანქანის შეძენის გამო.  
ბალანჩივაძემ მეროვ დღესვე დაწე-  
რა გადადგომის შესახებ განცხადება,  
რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ  
ბალანჩივაძეს მხხას პარლამენტის  
მაშინდელი თავმჯდომარე ნინო ბურ-  
ჯანაძე უჭერდა, საკრებულომ მაშინვე  
დააკმაყოფილა. (ბალანჩივაძე ახლა  
ბურჯანაძის პარტიას ხელმძღვანე-  
ლობს ქუთაისში).

მედი ქალაქის თავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა – მეგობარი გუბერნატორის, აკაკი ბობოვისძის რეკომენდაციით, ნიკოლოზ კაჭაჭაშვილმა მერიიდან იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გადაინაცვლა, გუბერნატორის მოადგილის პოსტზე.

2003 წლის ბოლოს, იმერეთის გუ-  
დერნატორის პოსტიდან თემურ შა-  
შიაშვილის გადადგომის შემდეგ  
ქუთაისის მერია ნუგზარ ფალიანება  
ახალი გუბერნატორის, დავით მუ-  
მლაძის მითითებით, ჯერ ვიცე-მერად  
დანიშნა მუმლაძის მეგობარი გია  
გიორგაძე, ხოლო შემდეგ გადადგო-  
მის თაობაზე დაწერა განცხადება.  
2002 წლის მოწვევის საკრებულომ ეს  
განცხადება დააკმაყოფილა და მერის  
მიერალეობის შესრულება ვიცე-მერ  
გიორგაძეს დაკისრა.

გიორგაძემ ქუთაისის მერის თანამდებობაზე წელიწადი და 2 თვე იმუშავა - იმ დრომდე, ვიდრე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის პირველი პირი ისევ არ შეიცვალა. იმერეთის გუბერნატორად გია გენაძის დანიშვნის პარალელურად, შეიცვალა ქალაქის მერიც, თანაც უკვე ნაცონის სქემით: გია გიორგაძემ თავისი მემკვიდრე, ბესიკ გულორდაგა ჯერ ვიცე-მერად დანიშნა, შემდეგ კი საკრებულოს გადადგომის თაობაზე განცხადებით მიმართა. საკრებულომ ეს განცხადებაც დააკმაყოფილა და მერის მოვალეობის შესრულება გულორდაგას გადააბარა. 6 თვეში გია გენაძის გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ამავე სქემით შეიცვალა ქათაიის შემთხვევი მრავა.

„დღემდე ქუთაისს რეალური  
თვითმმართველობა არ პქნინა. გადა-  
წყვეტილებას აქ, როგორც წესი, იღე-  
ბს პრეზიდენტი, ან მისა რწმუნებული-  
და აფორმებს საკრებულო“, – ამბობს  
არასამთავრობო ორგანიზაცია „ადგი-  
ლობრივი დემოკრატიის და ეკონომი-  
კის ინსტიტუტის“ აღმასრულებელი  
მენეჯერი, კახა გვანკველაძე.

ქუთაისის 2006 წლის მოწვევის  
საკრებულომ 2 მერის და 1 მერის მო-  
ვალეობის შემსრულებლის განცხადე-

დაბის დაკმაყოფილება მოასწრო. თუ-  
მცა საკურებულოს არც ერთი მათგანის  
მიმართ პრეტეზზები არ ჰქონია და  
ყველა მათგანი მაღლობის სიტყვებით  
გააცილა, მათ შორის ნუგზარ შამუ-  
გიაც. „ბატონი ნუგზარი საქმის მკე-  
თებელი კაცი იყო. მე კიდევ ერთხელ,  
ქალაქის თვითმმართველობის სახე-  
ლით, მაღლობას ვეუბნები ბატონ ნუ-  
გზარს განეული საქმიანობისათვის“,  
— განაცხადა სხდომაზე საკრებულოს  
თავმჯდომარებ ამირან ხვადაგიანშა.

თავმჯდომარის მხრიდან ასეთ შე-  
ფასებებს არაადეკვატურს უწოდებს  
საკრებულოს „ლეიბორისტი“ წევრი  
სამსონ გუგუა: „თვითმმართველობის  
შესახებ კანონი თავმჯდომარეს ავალ-  
დებულებს არა მარტო საკრებულოს  
თავში ჯდომას, არამედ ქალაქის ბიუ-  
ჯეტის კონტროლსაც. თუ ეს სამივე  
მერი ვერ ასრულებდა უფლება-მოვა-  
ლებას, სად იყო ამ დროს საკრებუ-  
ლოს თავმჯდომარე? მე მისგან არც  
ერთხელ არ გამიგია კრიტიკა არც  
პირველი, არც მეორე, არც მესამე მე-  
რის მიმართ“.

დავით ნარმანია, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, პრობლემის სათავეს რეგიონის ცენტრზე ფინანსურ დამოკიდებულებაში ხედავს: „როცა არ არსებობს მნიშვნელოვანი საკუთარი შემოსავლები და თვითმმართველობა ცენტრზე დამოკიდებული, ყოველთვის არსებობს იმის შეანსი, რომ, სუბიექტური გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეუმცირებენ შემოსავლებს თვითმმართველობას და ის ვეღარ განახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებებს. ამდენად, მხოლოდ მერიის საარჩევნო სისტემის შეცვლა არაა საკმარისი სისტემის გაჯანსაღებისათვის. სისტემას ძირეული ცვლილებები სჭირდება“, - ამბობს ნარმანია.

საკურებულო ახალი მერის ძიებაშია, რომელიც ქუთაისისთვის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რიგით მერვე იქნება. ახალი ქალაქის თავი საქმიანობას მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა შეუდგეს და ვადა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ექნება. უკვე ცნობილია, რომ ხელისუფლების კანცილატი იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი გიგა თევდორაძეა. ქუთაისში ეჭვი არავის ეპარქება, რომ სწორედ ის გახდება ახალი მერი. **ც**



იურიდიული სამსახურის მიერთვის მიზანი

საკონსტიტუციო კომისიამ, რომელიც ქვეყნის მთავარ საპროგრამო

დოკუმენტში ყველაზე მასშტაბური ცვლილებების შესამუშავებლად შეიქმნა, სახელმწიფოს მოწყობის თვისობრივად ახალი მოდელი უნდა შემოგვთავაზოს. შეასრულებს თუ არა კომისია დაკისრებულ მისიას?

### ვახუშტი მენაბდე, სამართალმცოდნეობის ბაკალავრი

კომისიის შემართვის მიზანი:

როგორც სამართლის ექსპერტები ამ-ბობენ, კონსტიტუცია ხელშეკრულებაა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე და ამ ხელშეკრულების მართვის წესებს. ხელშეკრულებას კი ხელს საზოგადოების ყველა წევრი აწერს.

სწორედ ამ ხელშეკრულების განა-ხლების მიზნით, 2009 წლის 8 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის განკარგუ-ლებით შეიქმნა საქართველოს სახელმწი-ფო საკონსტიტუციო კომისია. კომისიის მთავარი ამოცანაა შექმნას ისეთი სის-

ტემის პროექტი, სადაც: (1) სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის უფლებებით და (2) სასამართლო, აღმასრულებელი და საკონონმდებლო ხელისუფლებები ეფე-ქტიანია და აწონასნორებენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში დღემდე 22 ცვლილება და დამატება შევიდა, რო-გორც ჩანს, საკონსტიტუციო კომისია ყველაზე მასშტაბური ცვლილებების შე-სამუშავებლად შეიქმნა, რადგან დეკა-რირებულად ამ სიახლეებმა ქვეყნის მო-წყობის თვისობრივად ახალი მოდელი უნდა შემოგვთავაზოს.

კომისიის შემადგენლობა:

კომისიის შექმნის თავდაპირველი მიზა-ნი პოლიტიკურ პროცესებში ოპოზიციის ჩართვა იყო. მაგრამ ამ მხრივ კომისიის შექმნის იდეამ ნაკლებად გაამართლა, რადგან კომისიის მუშაობაში ძირითადად საპარლამენტო პოზიციია მონაწილეობს.

კომისია შემდეგი პრინციპით შედგა: თითო წევრის კანდიდატურის წარდ-გენის უფლება მიენიჭა 20 პოლიტიკურ გაერთიანებას, 10 კონსტიტუციურ ინს-ტიტუტს კვოტირებით მიეცათ წევრე-ბის წარდგენის უფლება (პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა – 3-3 წევრი);

იუსტიციის უმაღლესი და ეროვნული უშიშროების საბჭოები, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები, კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკი და სახალხო დამცველი – 1-1 წევრი), თითო წევრის კანონიდატურის წარდგენა ეთხოვა 3 ტერიტორიულ სუბიექტსა და 9 არასამთავრობო ორგანიზაციას, კომისიის შემადგენლობაში მოიწყეს აკადემიური პერსონალის 20 წარმომადგენლი.

კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სული პროფესორი ავთანდილ დემეტრა შვილი, რომელიც ერთხელ უკვე, 1993–1995 წლებში, ხელმძღვანელობდა კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას. მართალია მაშინ კომისიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე იყო, მაგრამ კონსტიტუციის ძირითადი პროექტის შემუშავებას პროცესს დიდწილად ბატონი დემეტრა შვილი ედგა სათავეში.

კომისიის მდივნად არჩიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კვოტით და-

ლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებს იურიდიულად და პოლიტიკურად გამართული დოკუმენტი შექმნას, თუ ეს მრავალფეროვნება სწორად იქნება მიმართული.

ორთვიანი მუშაობის შემდეგ 2009 წლის 3 სექტემბერს კომისიის სხდომაზე განიხილეს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის კონცეფცია. კომისიის კენჭისყრით მოიწონა მისი მოდენიმე ნაწილი. თუ შევაჯამებთ მოსაზრებებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების, ასევე პრეზიდენტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელების მოხსენებიდან, ირკვევა, რომ კომისია ამ ეტაპზე ყველაზე რეალურად საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელებს შორის შუალედურ ვარიატს განიხილავს (თუმცა საუბარია, რომ ახალ პროექტში პარლამენტს ამჟამნდელობან შედარებით გაზრდილი უფლებამოსილებები ექნება). როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი კვერუნჩილაძემ გვითხრა: „კომისიის წევრთა ნაწილი მუ-

ნევრმა გია გენაძემ განვიმარტა, რომ „სასამართლო ხელისუფლებისა და ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფი უკვე შეთანხმდა რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხზე, რომლებიც უკვე ფაქტობრივად მზად არის კომისიის სრული შემადგრობისათვის წარსადგენად“. ამავე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა იაკობ ფუტკარაძემ „ლიბერალთან“ საუბრისას კონკრეტულად დასახელება ეს საკითხები, რომელთაგან ყველაზე არსებითა მოსამართლეთა უკადოდ დანიშნუა და საკუთრების უფლების ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც, ამ უფლებისთვის უფრო მეტი გარანტიები შეიქმნება.

„თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ – გვითხრა გიორგი კვერუნჩილაძემ, – ამ საკითხებზე მიღწეულა კომისიის წევრებს შორის ზეპირ შეთანხმება, კენჭისყრა არ ჩატარებულა არც ერთ საკითხზე არც სამუშაო ჯგუფებში და არც საკონსტიტუციო კომისიის პლენარულ სხდომაზე“. გარდა ამისა, 2009 წლის 30 ნოემბერს

## ■ კომისია ამ ეტაპზე ყველაზე რეალურად საპრეზიდენტო და საპარლამენტო

რესპუბლიკის მოდელებს შორის შუალედურ ვარიატს განიხილავს.

ნიშნული კომისიის წევრი თენგიზ შარმანაშვილი.

კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა ცხრა (კონსტიტუციის საქართველოს სამართლებრივ, საკანონმდებლო ხელისუფლების, პრეზიდენტის ინსტიტუტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო ხელისუფლებისა და ძირითადი უფლებების, ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს კონსტიტუციის გადასწრებისა და საქართველოს კონსტიტუციური მემკვიდრეობის, პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების საკითხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობის ანალიზის) სამუშაო ჯგუფი. კომისიის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, მათი სურვილისამებრ აერჩიათ იმ სამუშაო ჯგუფების რაოდენობა, რომელთა მუშაობაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას.

### არსებული გედეგები:

კომისიის წევრებს შორის მოსაზრებების პოლარიზაციის ტენდენციები რომ არსებობს, ეს სარედაქციო ჯგუფის შეხვედრებზეც ჩანს. მისი შემადგენლობის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ეს არც იყო გამორიცხული. კომისია მხო-

შაობს სამი მიმართულებით – შერეული, საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების ვარიანტების შემუშავების კუთხით. ერთ-ერთი (აღბათ შერეული) გახდება ძირითადი პროექტი და მასზე გავაგრძელებთ მუშაობას“.

ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამუშაო ჯგუფში (ხელმძღვანელი: კახი ყურაძევილი) შეთანხმებულ საკითხებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მარიგულირებელი კონსტიტუციური ნორმები ცალკე თავად ჩამოყალიბდება. პროექტში განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის დეფინიცია, მისი სოციალური ფუნქცია და დანიშნულება. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სარედაქციო ჯგუფის შეხვედრაზე განცხადა: „გამოკვეთა, რომ აფხაზეთს, აფრას, ცხინვალს და თბილის ექნებათ განსაკუთრებული, განსხვავებული სტატუსი, მაგრამ საქართველოს დანარჩენი ნაწილი არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ერთიანი უნიფიცირებული – ვ.მ] და უნდა მოხდეს მისი დაყოფა ტერიტორიულ ერთულებად“.

სასამართლო ხელისუფლების და ძირითადი უფლებების სამუშაო ჯგუფის

კომისიამ მოაზადა და საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში წარსადგენად გადასცა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანაშებ“, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს არაუგიანეს 2010 წლის 1 ივნისისა და ითვალისწინებს ქ.თბილისის მერის პრდაპირ არჩევითობის კონსტიტუციურ გარანტიას.

ავთანდილ დემეტრაშვილის განცხადებით: „ყველა ამ საკითხზე შემუშავებულია ნორმატივული ტექსტი, რომელიც განსაზღვრებულ გავა ჯერ სარედაქციო ჯგუფში, ხოლო შემდეგ, 25 დეკემბერს კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე“.

სხვა საკითხებიდან მნიშვნელოვანია იაკობ ფუტკარაძის მიერ სარედაქციო ჯგუფის სხდომაზე იმის აღნიშვნა, რომ სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობს მსჯელობა საკონსტიტუციოს სასამართლოს უფლებამოსილებების გაზრდის შესახებ, და რომ მან უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკი-

თხი. თუმცა კომისია ამ საკითხზე ვერ შეჯერდა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს სოციალური უფლებების კონსტიტუციის ტექსტში ჩაწერის პრობლემაზე. ამ თემაზე კომისია წევრებში ხანგრძლივი და მწვავე დისკუსია გამოიწვია. პოზიციები იმდენად მკვეთრი იყო, რომ აღაათ ამ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა გაჭირდება.

როდის იქნება კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტი, ძნელი სათქმელია.

როგორც გია გერაძე ამბობს: „საბოლოო ვარიანტის შემუშავება დამოკიდებულია წამყვანი პოლიტიკური ძალების შეთანხმებაზე მთელი რეგიონისა და პოლიტიკური საკითხების შესახებ. აქედან გამომდინარე, არ მოვინა, კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შემუშავება-შეთანხმება ამა წლის დეკმბრის ბოლომდე მოხსენოს“.

შედარებით ოპტიმისტურად არის განწყობილი გიორგი კვერცხჩილაძე: „კონსტიტუციური ცელილების პროე-

საძლებლობა, დაწეროს კონსტიტუციის ან მისი რომელიმე ნაწილის პროექტი და წარუდგინოს კომისიას.

ბატონი დემეტრაშვილის განცხადებით, ამჟამად კომისიაში შემდეგი პროექტებია შესული:

- პეტრე მამაძის მიერ – 1994 წელს რესპუბლიკური პარტიის მიერ შემუშავებული და იმდროინდელ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში შეტანილი პროექტი;
- ვახტანგ ხმალაძისა და იური ტაბუცაძის ხელმოწერით შემოსული კონსტიტუციის ერთი ნაწილის პროექტი;
- ლევან რამიშვილის სქელტანიანი კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების კრებული;
- პაატა იაკაშვილის მოსაზრებანი – „კონსტიტუციური რეფორმის ინსტიტუციური რეფორმის საფუძველი“.

ამათგან ყველაზე დიდ ინტერესს ლევან რამიშვილის პროექტი იწვევს, რომელიც ძირითადად ამერიკულ საპრეზიდენტოა.

## ■ მთავარი გამოწვევა, რომელიც კომისიის წინაშე დგას, ასეთია: იქნება თუ არა კომისიის მიერ დამტკიცებული პროექტი საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მოლოდინების ადეკვატური.

ქტის გარვეულ დონეზე შეთანხმებული პირველადი სამუშაო ვარიანტი 2009 წლის ბოლოს მზად იქნება. დეკემბერში გერმანელ ექსპერტებთან ერთად ამ პროექტის ძირითად მიმართულებებს განვიხილავთ.“

### სამოძალაშო საზოგადოება და კომისია

კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში საზოგადოების იმ წანილის ჩაბმის მიზნით, რომელიც არ არის კომისიის შემადგენლობაში, შეიქმნა თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც, გარდა თავმჯდომარის მიერ შერჩეული პირებისა, წარმომადგენლობა წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გერთიანებას, არასამთავრობო ორგანიზაციას, გაერთიანებულ პროფესიულ კავშირებს, უმცილეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თუმცა, როგორც კომისიაში აცხადებენ, ისინი გახსნილები არიან ინიციატივებისთვის.

კომისიის სხდომები საჯაროა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია დასწრება და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება. უფრო მეტიც, ყველა მსურველს აქვს შე-

ტო მოდელს იმეორებს და სოციალური უფლებების აღიარებაზე უარს ამბობს. ბატონი რამიშვილი კომისიის სხდომების დროს აქტურად მონაწილეობს კომისიის დისკუსიებში. შესაძლებელია მის მიერ საკუთარი პროექტის დაწერის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მან კომისიაში საკმარისი თანამოზრ ვერ იპოვა. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ კომისია ძირითადად საპრეზიდენტო და საპარლიმენტო რესპუბლიკის შერუულ მოდელს განიხილავს, ხოლო ლევან რამიშვილის პროექტი საპრეზიდენტო მმართველობაზე ინიციატივული.

1995 წლისათვის კონსტიტუციის 12 ალტერნატიული პროექტი არსებობდა. დღესაც არსებობს რამდენიმე ალტერნატიული კომისია, რომელთაგან აღმას უნდა ველოდიო ინიციატივებს.

### ლეგიტიმაცია

კომისიის გადაწყვეტილება კონსტიტუციის პროექტის საბოლოო რედაქციის შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

თუმცა ვინ ამტკიცებს მას და ვინ აძლევს ლეგიტიმაციას, ამ კოთხვაზე კონსტიტუციურ სამართალში შემდეგი სამი ყველაზე გავრცელებული პასუხია: პარლამენტი, ეროვნულ კრება და რეფერენდუმი (ან მათ სახესხვაობები).

გია გერაძეს მიაჩინა, რომ ეს საკითხი წამყვანი პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გადაწყვიტონ. პირადად იგი მხარს არ უქერს კონსტიტუციის ან სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტის რეფერენდუმზე მიღებას. უპრიანი იქნებოდა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის პროექტის მიღება, თუმცა დღეს არსებულისგან განსხვავებით, უფრო გართულებული პროცედურით.

იგივეს ფიქრობს, თუმცა სხვა ვარიანტებსაც არ გამორიცხავს გორგი კვერცხჩილაძეს. იგი ამბობს, რომ „მიღების ტექნოლოგიის საკითხი ჯერ სრულიად ლია“.

ბატონი დემეტრაშვილი ამბობს, რომ „კომისიას ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მოუღია, არსებობის უფლება აქვს ყველა [...] პროცედურას“.

კომისიის პირველივე სხდომაზე სწორედ ამ საკითხზე გაიმართა კამათი. აზრი, როგორც სხვა ხშირ შემთხვევებში, პლებისციტის მომხრეებსა და მათ მონიალამდეგებს შორის აქაც იმად გაიყო. როგორც ჩანს, ახალი კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში საბოლოოდ ბევრი საკითხი პოლიტიკურ შეთანხმებაზე იქნება დამტკიცებული და არა კონსტიტუციურ მიზანშეწონლობაზე.

თუ გავთვალისწინებთ ზემოთ მოყვანილი ინფორმაციას, არა მარტო ლეგიტიმაციის ტექნოლოგია, არამედ ჯერ სხვა ბევრი არსებითი საკითხიც ლიადაა დარჩენილი. კომისიას მთავარი სამუშაო და, შესაბამისად, შეჯერების სირთულეები წინ აქვს. ავთანდილ დემეტრაშვილმა პირველ სხდომაზე განაცხადა, რომ კონსტიტუციური რეფორმი დაწერილი კომისიის შექმნა საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მოლოდინების ადეკვატური. **█**



**რადიო „ნაცორი“ გეპატიზებათ  
კლუბი „ნაცორი“**

- მრავალი კართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა



რუსთი და მსოფლიო

# გაყიდული გზავნილები

მიუხედავად „მორალური სიმართლისა“, საქართველოს მთავრობა უძლურია პრაგმატული პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთი და დასავლეთი ურთიერთმომგებიან გარიგებებს განიხილავენ.

ნინო ჟიულიაშვილი



PAYS-BAS ნატოს მინისტროების ბრიტუსელში, 2009

დასავლეთსა და რუსეთს შორის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სტრატეგიული ურთიერთობების აღდგენის სიმბოლოდ ფრანგული სამხედრო ხომალდი „მისტრალი“ იქცა. რამდენიმე კვირის წინ დადასტურდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საფრანგეთი რუსეთისთვის ერთერთი უდიდესი და უძლიერესი სამხედრო გემის მიყიდვას გეგმავს.

სადასაწყის ავამზიდ „მისტრალის“ გეგმაზე 16 შვეულმფრენი თავსდება. 2 საზონიტო-სარაკეტო კომბინექსით, 2 ქვემეხითა და 4 ტყვიამფრქვევით აღჭურვილ ხომალდში რუსეთი 400 მილიონ ევროს გადახდის. საფრანგეთს სულ 2 მსგავსი შვეულმფრენი დი აქვს. მოლაპარაკებების თემაა „მისტრალის“ რუსეთში წარმოების ლიცენზიის შესყიდვაც.

საქართველოში შემობრენ, რომ რუსეთი ფრანგულ შვეულმფრენიზიდს შავზღვაზე, კონკრეტულად, საქართველოს

ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში განათავსებს. ამ ვარაუდის საფუძველი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ ვლადიმირ ვისოცკის სიტყვებიც არის: „საქართველოსათან შარპნდელი კონფლიქტის დროს „მისტრალის“ ტიპის ხომალდი რომ გვქონოდა, შავი ზღვის ფლოტი თავის ამოცანას 40 წუთში შეასრულებდა და არ დასკრიდებოდა 26 საათი, როგორც ეს მანი მოხდა“.

„ასეთ პირობებში ჩვენ არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ასეთი ტიპის შეიარაღების შესყიდვა რუსეთის მხრიდან . . . ამის თაობაზე ვაცნობეთ ჩვენ პარტნიორებს, მათ შორის, ფრანგულ მხარესაც. ვაცნობეთ სხვა ევროპელ პარტნიორებსაც და იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთი გაითვალისწინებს არა მხოლოდ კომერციულ ინტერესს, არამედ რეგიონში არსებულ რეალურ ვითარებას“, – ეს განცხადება პარლამენტის

თავმჯდომარებ დავით ბაქრაძემ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ, 2 დეკემბერს გაავრცელა.

თუმცა, ქართული მხარისთვის სამწუხაროდ, დეკემბრის მინისტრიალის მთავარი თემა სწორედ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად პრაგმატულ ინტერესებზე დაფუძნება აღმოჩნდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ნატო-ს კარი რუსეთის დელეგაციისთვის პირველად გაიღო და თანაც ძალიან ფართოდ.

4 დეკემბერს ნატო-რუსეთს შორის ოფიციალურ ფორმატში პირველი მოლაპარაკება შედგა. ეს მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს არ გამოუსწორება ნატო-რუსეთის საბჭოს ფირმატის შეჩერების მთავარი მიზეზი – პრეზიდენტ სარკოზის 6-პუნქტიანი გეგმის შეუსრულებლობა.

საბჭოს სხდომის შემდეგ ნატო-ს გენერალურ მდივანს ქართველმა უურნალის-

ტემბა რამდენჯერმე ჰქითხეს, ახსენა თუ არა მან სერგეი ლავროვთან შეხვედრისას საქართველო. ქართულ მხარეს, როგორც ეს ურნალისტების შეკითხვებიდან ჩანდა, ჰქონდა მოლოდინი, რომ ომის შემდეგ გამართული პირველი ოფიციალური შეხვედრისას ნატო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მაინც შეასენებდა რუსეთს. თუმცა ანდრეს ფოგ რასმუსენმა შეკითხვას საქართველოზე რამდენჯერმე წარმატებით არიდა თავი. ბოლოს კი თქვა: „საქართველოზე ჩვენ ვიმსჯელეთ გუშინ, მინისტრ ვაშაძესთან შეხვედრის დროს“.

ის, რომ დასაცელებისთვის ახლა რუსეთის ურთიერთობების გამყარების ხანა იწყება, კიდევ უფრო გარკვევით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა განაცხადა: „ამჯერად საქართველოს თემა არ არის პრიორიტეტული... კონცენტრაციაა ავლანეთზე, სადაც ჩვენ რუს მეგობრებს კარგი გამოცდილება აქვთ და რის გამოყენებასაც ნატო აპირებს“. კუშნერმა ასე ნატო-ს შტაბ-ბინაში შეკრებილი ქართველი ურნალისტების შეკითხებს უბასუხა.

ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის აღდენისა და ემთხვე აშშ-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ავლანეთში სამხედრო კონტინგენტის 30.000 სამხედრო მოსამასეურით გაზრდის შესახებ. ნატო-ს-თვის კი ამ საკითხში რუსეთის მხარდაჭერის განსაკუთრებული ფასი აქვს – იმ გამოცდილების გამო, რაც რუსეთმა ავლანეთში 20 წლის წინ მიიღო. ავლანელი ტერორისტების ხელში ამ დრომდე რჩება დიდი რაოდენობით საბჭოთა წარმოების იარაღი, რომლის საუკეთესო ექსპერტები რუსი სამხედროები არიან.

რუსეთმა უკვე შესთავაზა ნატო-ს, საქიროების შემთხვევაში, სახმელეთო ტრანზიტი. შეთანხმება იმაზეც შედგა, რომ რუსეთი ავლანეთისა და მის საზღვრებისან თვილების ტრენინგებში მიღებს მონაწილეობას.

„ჩვენ გვიდა მეტი რუსეთისგან და რუსეთს უნდა მეტის გაკეთება ჩვენთან ერთად. ახლა უფიქრობთ, როგორ მოვახერხოთ ეს“, – განმარტავს ნატო-ს გენერალური მდივნის სპიკერი ჯემის აპატურა, „ლიბერალთან“ საუბრისას. შეკითხვაზე, რამდენად გაითვალისწინებს რუსეთის ურთიერთობის დროს ნატო საქართველოს ინტერესებს, პასუხობს: „არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ნატო იგნორირებას უკეთებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ ვერ მოვახდეთ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის პარალიზებას

ყველა დანარჩენ საკითხთან დაკავშირებით. ავღანეთის თემა უნდა გადაწყდეს“.

მითითება, რომ რეგიონში სტაბილურობაზე ერთადერთი პასუხისმგებელი რუსეთი არ არის და რომ ამ პროცესში საქართველოს ინტერესებისთვის უკეთესი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, მინისტრმა ვაშაძემ პირადად ნატო-ს გენერალური მდივნისგან მიიღო.

„ყველას გვესმის, როგორ დაზარალდა თქვენი ქვეყანა გასულ წლებში. არცთუ ისე ადვილია ამ ყველაზე გადალახვა. მაგრამ რეფორმები, მოდერნიზაცია და გადაწყვეტილება, რომ გაუმჯობესდეს მეზობლებთან ურთიერთობა – ეს ის გზაა, რომელიც ქართველ ხალხს სთავაზობს უკეთეს მომავალს და მე მინდა დაგარნებულოთ, რომ ნატო განაგრძობს რეფორმებისა და თქვენი ტერიტორიული მთლიანობას მასრდაჭერას“, – განაცხადა რასმუსენმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის მისასალმებელ სიტყვაში, ნატო-რუსეთის საბჭოს შეკრებამდე ერთი დღით ადრე.

აშკარად იმდეგაც რუსული ქართული დელეგაცია ურნალისტებთან მინისტე-



ნატოს სამინისტრო მინისტრული, 2009

**„ამჯერად საქართველოს თემა არ არის პრიორიტეტული... კონცენტრაციაა ავლანეთზე, სადაც ჩვენ რუს მეგობრებს კარგი გამოცდილება აქვთ და რის გამოყენებასაც ნატო აპირებს“.**

რიალის შეფასებისას დელიკატური იყო: „მოდიდ, სხვა კუთხით შეხედეთ ამას: ნატო-ს ნორმალურ ურთიერთობა რუსეთთან ნიშნავს, რომ რუსეთი მაღლ ისნავლის ცივილიზებულ ქცევას. ესეც ხომ შედეგი იქნება? თუ არავის ექნება ურთიერთობა რუსეთთან და არ ასავლის მას ცივილიზებულ ქცევას, მაშინ ვერასოდეს მოხდება საქართველოს დეოუპაცია“, – განაცხადა მინისტრმა ვრიგოლ ვაშაძემ.

თუმცა, ვაშაძის მოადგილე, ნატო-ს მინისტრიალის მიმღინარეობის პარალელურად, რუსეთის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებით უკმაყოფილებას მეაფიოდ გამოხატავდა. „რუსეთზე ზენოლანდვილია არსებობს, და მაღლივი ვართ ყველასი, ვინც ამ პოზიციას ინარჩუნებს და აფიქსირებს, ეს პრინციპში მათი ვალდებულებაც არის, მაგრამ არ არის საქართველოს. ამის შედეგია სწორედ ის, რომ ჩვენ გვაქვს პრობლემა – საქართველოს მოქალაქების მოტაცების, დაკავშირის შემთხვევები საოუპაციო ხაზის გადაკეთებისთვის. ეს კეთდება იმისთვის, რომ ქართული საზოგადოება და სახელმწიფო იყოს მუდმივი წესების ქვეშ, იყოს პროვოკირებული“, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. საქართველოს მთავრობაში კარგად ესმით, რომ პრაგმატიული პოლიტიკა ხშირად იდეალებზე მაღლა დგას. მაგრამ მაინც, რუსეთის მხრიდან დასავლეთისთვის შეთავაზებულ მომგებიან კომერციულ წინადაღებებს ქართული მხარე ისევ მხოლოდ საკუთარ „მორალურ სიმართლეს“ უტირისპირებს.

ერთადერთი, ვინც საფრანგეთში რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვას კრიტიკულად გამოხმაურა, ცნობილი ფრანგი ანალიტიკოსი, მიხეილ საკაშვილის დიდი ხნის ნაცნობი და ლობისტი, ანდრე გლუკსმანი იყო. „ლე მონდათან“ ინტერვიუში ის საკუთარ ხელისუფლებას მიმართავს: „ვაიარადებთ პუტინს ქართულ ხელებზე, ყირიმსა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში სწრაფად მოსახვედრად, და ვეუბნებით: თქვენ იმოქმედეთ! ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით გავაპროტესტოთ“.

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, ერიკ ფურნიებ კარყოფას კრიტიკულად გამოხმაურა, ცნობილი ფრანგი ანალიტიკოსის მიხეილ საკაშვილის დიდი ხნის ნაცნობი და ლობისტი, ანდრე გლუკსმანი იყო. „ლე მონდათან“ ინტერვიუში ის საკუთარ ხელისუფლებას მიმართავს: „ვაიარადებთ პუტინს ქართულ ხელებზე, ყირიმსა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში ი სწრაფად მოსახვედრად, და ვეუბნებით: თქვენ იმოქმედეთ! ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით გავაპროტესტოთ“.

ნატო-ს მინისტრიალის დასკვნით განცხადებაში რუსეთს ერთხმად მოუწოდეს სეპარატისტული რეგიონების აღიარების გაუქმებისა და საქართველოს მთლიანობის დაცვისკენ. თუმცა, გზაგნილის აფეთქებულ ქცევას. ესეც ხომ შედეგი იქნება? თუ არავის ექნება ურთიერთობა რუსეთთან და არ ასავლის მას ცივილიზებულ ქცევას, მაშინ ვერასოდეს მოხდება საქართველოს დეოუპაცია“, – განაცხადება ეს პროცესი.



■ საარჩევნო პუნქტი, სოხუმი 2009



## კოდფლიქტის

# ბალაფშის უკირობო გამარჯვება

ბალაფში მიღოცვებს იღებს, ხაჯიმბა კი მასობრივ გაყალბებებზე საუბრობს.

## ინალ ხაშიგი, სოხუმი

უკანასკნელ წუთამდე, არჩევნების დღემდე ყველას ეგონა, რომ მეორე ტური გარდაუვალი იყო და ინტრიგა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, სამი ოპოზიციონერიდან მოქმედ პრეზიდენტ ბალაფშის მეორე ტურში კონკურენციას ვინ გაუწევდა.

ამ არჩევნებზე ბალაფშის კონკურენტები იყვნენ – ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, სახელმწიფო კომპანია „აფხაზეთის სამხედრო ნაოსნობის“ ხელმძღვანელი ზაურ არძინბა და ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი აფხაზი, აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტნიორის ლიდერი ბესლან ბუთბა.

იმ ადამიანებს, რომელიც მეორე ტურს ელოდნენ, იმედები გაუცრუვდათ. ბალაფშმა პირველ ტურში არა მარტო გაიმარჯვე, არამედ ხმათა 61% მოაგროვა.

პირველი ერთობლივი პრესკონფერენცია მოგვიას საარჩევნო უბნების დაკეტვიდან სამი საათის შემდეგ უნდა გაემართა. მზად იყო ორი სცენარი: პირველ ტურში წარმატების შემთხვევაში, ოპოზიცია გააკეთებდა და

ბას, რომ ბალაფშის წინააღმდეგ ბრძოლას მეორე ტურში ერთიანი ფრონტით გააგრძელებს; ხოლო თუ პირველივე ეტაპზე დამარცხდებოდნენ, მაშინ უნდა გამოეცხადებინათ, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდა.

მოვლენები, სულ სხვა, მესამე სცენარით განვითარდა – შედეგების გამოცხადების შემდეგ პრესკონფერენციაზე ოპოზიციის არც ერთი ლიდერი არ მისულა.

შემდეგ მოვლენები ყოველგვარი სცენარის გარეშე ვითარდებოდა. ბესლან ბუთბა პრეზიდენტს პირადად ეახლა და გამარჯვება მოულოცა. იგივე გაიმეორა მეორე ოპოზიციონერმა – ზაურ არძინბამაც, ოღონძ ის მხოლოდ სატელეფონო მიღოცვით შემოიფარგლა. ბალაფშმა განცხადებით, არძინბამ მისალოცად პირადად მისვლა აგადმყოფობის გამო ვერ შეძლო.

შედეგებს მხოლოდ ხაჯიმბა არ ეგუება და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებამ არჩევნები სერიოზულად გაყალბა. „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიის გაუქმენტის არჩევნები და

ცნებასთან შეუთავსებელი დარღვევების ფონზე ჩატარდა“, – ნათქვამია სამამულო ომის ვეტერანთა ასოციაცია „არუაას“ განცხადებაში. ეს ასოციაცია რაულ ხაჯიმბას მთავარი დასაყრდენია.

„არუააში“ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის პორტად გამოყენების შესახებაც ლაპარაკობენ. მართალია, ამ მოძრაობის წევრებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ არჩევნების შედეგებიც გაყალბა, მაგრამ „ძალისმიერი ზენოლის მექანიზმების გამოყენებას არ აპირებენ, იმის მიუხედავად, რომ ორგანიზაციაში 1000-ზე მეტი ომის ვეტერანია გაერთიანებული“.

ოპოზიციას უჭირს, წარმოადგინოს რაიმე საბუთი, რაც დაადასტურებდა, რომ ხელისუფლებამ არჩევნები სერიოზულად გაყალბა. ოპოზიციონერთა მთავარი არგუმენტი ასეთია: „დაუჯერებელია, რომ ბალაფში პირველივე ტურში გაემარჯვა“. სტატისტიკა, დემოგრაფია და სხვა ფაქტორები ეჭვებს კი ინვესტიციების მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლების „გამოჭერა“ ვერ მოხერხდა.



■ ჯარისკაცები პოგილენტობის კანდიდატების ფოტოებს ათვალიერებს, სოხუმი 2009



■ აზხაზეთის მოქალაქე ბალაფშის პლაკატის წინ, სოხუმი 2009

ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი მართლაც საეჭვოა. უცნაურია, რომ ამომრჩეველთა რაოდენობის 139 ათასამდე გაზრდა მხოლოდ არჩევნების შემდეგ გახდა ცნობილი. არჩევნების დაწყებამდე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 127 ათას 600 იყო. სხვაობა საკმაოდ დიდია, თან იმის გათვალისწინებით, რომ გალის მოსახლეობას არჩევნებში მონაბილეობა არ მიუღია, როგორც ეს ხეთი წლის წინ იყო.

2004 წელს არჩევნებში მონაწილეობა 14 ათასმა გალეომა მიიღო. წლევანდელ არჩევნებზე ხმის მიცემა მხოლოდ აფხაზური პასპორტით შეიძლებოდა. შესაბამისად, საარჩევნო ურნებთან გალის რაიონიდან მხოლოდ 2 900 ამომრჩეველი მივიდა.

ოპოზიციონერები ამომრჩეველთა მაღალ აქტივობას იმით ხსნიან, რომ საარჩევნო უბნებზე მისულებს პასპორტში სპეციალურ შტამპს ურტყამდნენ. ხალხს შეეშინდა, რომ ამ შტამპის არარსებობა მათ მომავალში პრობლემებს შეუუქმნიდა.

გარდა ამისა, საარჩევნო უბნებზე მისასვლელად ადამიანებს სხვა ფონიერიც ჰქონდათ. პენსიონერებს პენსიის შეწყვეტის შეეშინდათ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრების კი ფრთხილობრივი უნარი უფრო უფარავი იყო. თუმცა, მას გაუმართლა, რომ ოპოზიცია კიდევ უფრო უუნარო გამოდგა. პოზიციამ არათუ ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება ვერ მოახერხა, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ერთმანეთთან თავიდან დაბრკოლების გადალახვა მოახერხა.

დღეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარებმ ბათალ ტაბაღუამ საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ხაჯიმბას არჩევნების შედეგების აღიარება არ სურს, ყველაზე რაღიცალური ოპოზიციონერებიც კი ხვდებან, რომ თამაში დასრულებულია და უნდა შეეგუნო.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სუსტი ნერტილები, რასაც შეიძლებოდა ბალაფშის ტრიუმფისთვის ხელი შეეშალა, მან ყველა დაბრკოლების გადალახვა მოახერხა.

ასეთი ხელის შემსლელი ფაქტორი იყო, მაგალითად ის, რომ ბალაფში არ სურდა ქვეყანაში რეფორმების გატარება. დამაბრკოლებელ გარემოებათა შორისაა სახელმწიფო აპარატის მეტის მეტი კორუმპირებულობა, ეკონომიკის რეალურ სექტორში წარმატებების არარსებობა, ქვეყნის ბიუჯეტის დამკიდებულება რუსეთის დამხმარებაზე, რიგი სტრატეგიული ობიექტების – რეინიგზის, აეროპორტის, შავ ზღვაში ნავთობის მოპოვების უფლების – რუსული კომპანიებისთვის გადაცემა. ბალაფშის ამ გადაწყვეტილებების გამო, ბევრი უკმაყოფილო იყო. თუმცა, მას გაუმართლა, რომ ოპოზიცია კიდევ უფრო უუნარო გამოდგა. პოზიციამ არათუ ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება ვერ მოახერხა, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ერთმანეთთან დაპირისპირებასაც ვერ აარიდა თავი.

წლევანდელ არჩევნებს 2004 წლის არჩევნებისგან ისიც განასხვავებს, რომ

## ■ ოპოზიციონერთა

**მთავარი არგუმენტი ასეთია:** „დაუჯერებელია, რომ ბალაფში პირველივე ტურში გაემარჯვა“. სტატისტიკა, დემოგრაფია და სხვა ფაქტორები ეჭვებს კი იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლების „გამოჭერა“ ვერ მოხერხდა.

ამჯერად რუსეთის მხრიდან ზენოლა საერთოდ არ იგრძნობოდა. კრემლმა საკუთარი შეცდომები გაითვალისწინა და ამ არჩევნებზე საკუთარი პრეფერენციები არ დააფიქსირა. შეიძლება, შედეგები სწორედ ამან განსაზღვრა – აფხაზეთმა საკუთარი პრეზიდენტი ზედმეტი დრამატიზმის გარეშე აირჩია.

არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ სოსუმის თვით ყველაზე პოლიტიზირებულ ყავახანებშიც კი არჩევნებზე აღარისა საუბრობდა; მით უფრო, რომ სალაპარაკოდ ახალი თემა გაჩნდა – სადღაც წყნარ ოკეანეში დაკარგულმა სახელმწიფომ, ნაურუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. □

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“

## ეკონომიკა

# „ეკონომიკური თავისუფლება“ ქართულად

ინტერვიუ საერთაშორისო ორგანიზაცია NDI-ის ყოფილ დირექტორთან საქართველოში,  
მარკ მალენთან

თუ საქართველოს მთავრობას სურს გაიგოს, რა უნდათ ინვესტორებს, თავად მათ უნდა  
ჰქონოთხოს. თუმცა მზად უნდა იყოს, რომ ისეთი საკითხებიც წამოიჭრება, რომელთა  
განხილვითაც დაინტერესებული არ არის.

**რა არის „ეკონომიკური თავისუ-  
ფლების აქტის“ ძირითადი ძლიერი  
და სუსტი მხარეები, როგორც ეს ამ  
დოკუმენტშია განერილი?**

„ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ ორი მთავარი კითხვა უკავ-  
შირდება. პირველი ინსტიტუციურ ასპექტებს ეხება, რადგან ეს ცვლი-  
ლებები კონსტიტუციაში აისახება.  
რა გავლენას მოახდენს ეს საქართვე-  
ლოს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე?  
რა გავლენას იქნიებს ის ზოგადად  
კანონის უზენაესობაზე?

მეორე ასპექტი უშუალოდ იმ პა-  
ლიტიკის ავკარგიანობას ეხება, რო-  
მელიც დოკუმენტშია გატარებული.  
ზოგად რამ უდავოდ კარგია. მაგალი-  
თად, წესი, რომელიც თანხების გა-  
დამისამრთებასა და არაბიუჯეტურ  
ფონდებს კრძალავს, საქართველო-  
ურია, და თუ მისი მიღების პარალე-  
ლურად ცვლილებები სხვა კანონებ-  
შიც შევა, ამან შეიძლება ფისკალური  
პასუხისმგებლობა და ხელისუფლების  
გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად  
გააუმჯობესოს. თუმცა, ფაქტია, რომ  
დოკუმენტი ლიბერტარიანულ ფილო-  
სოფიას ეფუძნება.

არ ვარ დარწმუნებული, რომ  
საქართველოში კარგად ესმით, თუ  
რა არის ლიბერტარიანიზმი. არ  
ვიცი, მოსახლეობამ თუ იცის, რა-  
მდენად ძლიერია ეს მიმართულება  
საქართველოს მმართველ წრეებში  
და რამდენად ნაკლებად მისაღები  
დანარჩენ მსოფლიოში. მსოფლიოში  
ლიბერტარიანული პოლიტიკა არც  
ისე პოპულარულია, რადგან ბევრი  
ბოლო დროის ფინანსური კრიზისის  
მიზეზად სწორედ ამ პოლიტიკას  
მიიჩნევს. ამიტომაც, როცა საქარ-  
თველოს ხელისუფლება დერეგულა-  
ციის აუცილებლობაზე საუბრობს,  
დანარჩენი მსოფლიო უფრო ეფექტუ-  
რი რეგულაციის გზებზე ფიქრობს.  
შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება,



**■ ახლა ხელისუფლება მძიმე  
ფინანსურ მდგომარეობაშია  
და ფული სჭირდება.**

**ამიტომაც, ვიღაცამ  
უთხრა საგადასახადოს  
ინსპექტორებს, მეტი  
იმუშავონ. მათაც ყველას  
მიაკითხეს და, ხშირ  
შემთხვევაში, ზენოლასაც  
მიმართეს. ყველა უცხოელმა  
ინვესტორმა იცის ამის  
შესახებ, საუბრობს ამაზე და  
ეშინია ამის.**

თითქოს საქართველო დანარჩენ მსო-  
ფლიოს ერთი ნაბიჯით ჩამორჩება,  
იზოლირებულია.

როდესაც პრემიერ-მინისტრი გი-  
ლაური ლონდონში უცხოელ ინვეს-  
ტორებს დერეგულაციისა და ლიბერ-

ტარიანიზმის შესახებ ესაუბრებოდა,  
დარბაზში დამსწრეთა უმრავლესობა  
ცოტა გაოცებული სახეებით იყურე-  
ბოდა აქეთ-იქით.

მხოლოდ ლიბერტარიანული ბუნება  
განაპირობებს იმას, რომ უცხოელი  
ინვესტორები „ეკონომიკური თავი-  
სუფლების აქტით“ მიინცდამაინც  
მოხიბლულები არ ჩანან.

არა, ინვესტორები, რომელთაც მე  
ვესაუბრე, ამ აქტს ფილოსოფიური  
მოსაზრებების გამო კი არ ენინაალ-  
მდეგებიან, უპრალოდ მათ სხვა რამ  
სურთ და არა ის, რასაც ეს დოკუ-  
მენტი სთავაზობთ. ამ დოკუმენტის  
თანახმად, ძალიან ცოტა რეგულაცია  
და ძალიან დაბალი გადასახადები  
იქნება. ფაქტობრივად, ეს ამ აქტის  
იმპერატიული მოთხოვნაა, რომელიც  
თითქოსდა მომავალშიც შენარჩუნ-  
დება.

უცხოელი ინვესტორების უმრავ-  
ლესობას, ზოგადად, ყველა ინვეს-  
ტორს და ბიზნესმენს მოვლენათა

პროგნოზირების სიზუსტე აღელვებს. გადასახადების ან რეგულაციების რაოდენობა, ამ წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობასთან შედარებით, მეორეხარისხოვანია. თუ ბიზნესის დაგეგმვა ისეთ პირობებში მიმდინარეობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ განჭვრიტონ, რა მოხდება, ბიზნესი ყვავის. ევროპაში და განსაკუთრებით სკანდინავიაში გადასახადების განაკვეთი საკმაოდ მაღალია, მაგრამ იქ მაინც ბევრი ბიზნესი ვითარდება, რადგან ყველას შეუძლია შორეული მომავლის მოვლენები განჭვრიტონს.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე 2004 წლის 6 თებერვალს ამ მთავრობამ კონსტიტუცია ძირეულად შეცვალა. ეს ძალით ნაჩეარევად მოხდა და ვფიქრობ, რომ არალეგალურად, ეს თავის დროზე აღვნიშნე კიდევც. მთავრობამ კონსტიტუციაში ნაჩეარევი ცვლილებების შეტანის პოლიტიკა განაგრძო. სად არის გარანტია, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი მთავრობა იგივეს არ იზამს? განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებს სწორედ მომავალი ხელისუფლების ალტერნატივებისა და პოლიტიკური არჩევანის შეზღუდვის მიზნით ახორციელებს. ინვესტორებს ლოგიკურია, ეშინოდეთ, რომ მთავრობის ყოველი ცვლილება მთელი ეკონომიკის სტრუქტურის დიდ შოქს გამოიწვევს, და ეს კონსტიტუციით იქნება განპირობებული.

„ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ წარდგნიდან ცოტა ხანში მთავრობამ ფინანსური პოლიციის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო (როგორც გახსოვთ, ის 2007 წელს, მისი მეტისმეტად უხეში მეოთედების გამო, მკაცრი კრიტიკის შემდეგ გაუქმდა). რეალურად რა გზას ირჩევს ხელისუფლება? დერეგულაცია ფინანსური პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ?

ფინანსური პოლიცია შესანიშნავი მაგალითია. თეორიულად, მთავრობა ნაკლები რეგულაციის მომხრეა და ამიტომაც რეგულაციები ცოტაა. მაგრამ ახორციელება ძალიან მიმებ ფინანსური მდგომარეობაშია და ფული სჭირდება. ამიტომაც, ვიღაცამ უთხრა საგადასახადოს ინსპექტორებს, მეტი იმუშავონ. მათაც ყველას მიაკითხეს და, ხშირ შემთხვევაში, ზენოლასაც მიმართეს. ყველა უცხოელმა ინვესტორმა იცის ამის

შესახებ, საუბრობს ამაზე და ეშინია ამის. საგადასახადო ინსპექციის ეს ვიზიტები ყველა დიპლომატიური უწყების, საქართველოში ყველა ინვესტორის განხილვის მთავარი თემა გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტელევიზით საერთოდ არ გაშექებულა.

როდესაც პრემიერ-მინისტრ გილაურს ლონდონში ინვესტორებთან შეხვედრისას ჰქითხეს, თუ რატომ ხდება ეს, მან უპასუხა, რომ განაფხულზე ოპოზიციის აქციების დროს ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ გადასახადების დაფარვა შეეძლოთ და საჭირო გახდა მათი გადამოწმება. ბევრი დამსწრისოვის, რომელთაგან ბევრი საქართველოში ბიზნესს ფლობს და გადასახადებს იხდის, ეს არადამაჯერებული, უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელი ჰასუხი იყო.

თუმცა, გილაურმა იქვე განაცხადა, რომ ამიერიდან საგადასახადო ინსპექციის ვიზიტებზე ნებართვას გაცილებით უფრო მაღალი თანამდებობის პირები გასცემენ. ეს შეიძლება კარგი გამოსავალი იყოს, თუმცა ნათლად აჩვენებს, რომ მთავრობას სწორი რეგულაციის მოდელი სრულად შემუშავებული არ აქვს. მიმდინარე ცვლილებების ფონზე კი ეს ინიციატივა სადაცომ, რადგან უფრო მაღალი თანამდებობის პირების მიერ საგადასახადო ინსპექციის ვიზიტებზე რეზოლუციის დადგება თავისუფლად შეიძლება „უფრო მეტ ბიუროკრატიდან ან რეგულაციად“ ჩაითვალოს.

**რას გვეტყვით აქტში განერილი წინადაღებათა პაკეტის შესახებ?**

თუ საქართველოს მთავრობას უნდა გაიგოს, რა სურთ ინვესტორებს, საუკეთესო გამოსავალია, ამის შესახებ თავად მათ ჰქითხოს. ზოგიერთი ინიციატივა დაემთხვევა, თუმცა სხვა საკითხებიც წამოიჭრება და ეს საკითხები ზუსტად ის ინიციატივებია, რომელთა განხილვით მთავრობა ნაკლებად დაინტერესებული ჩანს.

მაგალითად, ავილოთ სასამართლოები და კანონის უზენაესობა. როდესაც პრემიერ-მინისტრს ლონდონში ჯოზეფ ქეიისა და „იმედის“ შესახებ ჰქითხეს, მან განაცხადა, რომ ეს საივახო დავაა და ხელისუფლება ვერ ჩაერევა. როდესაც

მას კომპანია Thames Steel-ის შესახებ ჰქითხეს – ამის შესახებ „უოლსტრიტ ჯურნალი“ წერდა და უცხოელ ინვესტორებს შორის ყველაზე ხშირი მსჯელობის საგანია – პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობა სასამართლო განხილვაში ვერ ჩაერევა. ეს მოხერხებული ჰასუხია, მაგრამ ამის ცოტა უცხოელ ინვესტორს თუ სჯერა.

ამავდროულად საქართველო, კონკურენციის კანონის არარსებობის თვალსაზრისით, უნიკალურია. გაურკვეველია, რა წარმოადგენს სამართლიან და არასამართლიან კონკურენციას ბიზნესებს შორის. ეს ინვესტორებისთვის ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ანტიმონოპოლიური კანონი კარგად ჩამოყალბებული, ფართოდ განხილული და მხარდაჭერილი იქნება, ეს საქართველოში ბიზნესისა და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ბევრ რამეს შეცვლის. მონოპოლიის აკრძალვა ამ კანონის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება და ვიღაცა ის სისრულეში უნდა მოიყვანოს. თუ ეს მოხდება, გაქრება შეში, რომ სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული ბიზნესები მონოპოლიასთან დაკავშირებული მნირი კანონმდებლობით კმაყოფილები არიან. თუმცა, ამის რეალურად აღსრულებისათვის ძალიან დამოუკიდებელი უწყება უნდა არსებობდეს, რომელიც სახელმწიფო კონტროლს ნაკლებად დაექვემდებარება.

უცხოელი ინვესტორები წებისმიერი ქვენის და, მათ შორის, საქართველოს მთავრობის საჯაროდ კრიტიკას ერიდებიან. საქართველოს, როგორც საინვესტიციო ქვეყნის მიმართ, დიდი დანატერესება არსებობს, განსაკუთრებით, უფრო კრიტიკობული მატება არსებობს სელექციის მიზნით და სიმართლე რომ ვთქვა, მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით რესერვის უსესებში, უცხოელ ინვესტორებთან ცუდად მოპყრობის შემთხვევების მატებაც უწყებს ხელს. რუსეთში – მისი სიდიდის გამო – ბევრ ინვესტორს ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნა, და ამ ფონზე პატარა საქართველოს სულ უფრო მიმზიდველად გამოიყორება. 

**ესაუბრა სოფო ჭავა ინგლისურიდან თარგმნა თამარ სართანიამ**



სტატია მომზადდა ეკრანულ შეინის ფინანსური დახმარებით, მრავალულ-ჯარული პრიფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSEPM პრიფესიული ფარგლებში. სტატიის მინარესზე პასუხისმგებელია ჭურაბალი „ლიბერალი“. სტატია არ ნარმალუდებენ ეკრანულ შეინის ან მრავალულ-ჯარული პრიფესიული ქსელის მიზიდას.

ახალი გიუჯარები

## 2009–2010 – გენერალური საბიუჯეტო მიმკვიდრეობა

მთავრობამ, რომელიც 2009 წლის პირველ ნახევარში არ აღიარებდა კრიზისის გავლენას, ეკონომიკის დაცემას თვალი შეცვალდა ნლის მეორე ნახევრიდან გაუსწორა.

## რევაზ საყუარიშვილი

2009 წლის ბორჯვეტი პირველი იყო პოსტტერვოლუციური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისგან, რომელიც ჯერ ზრდისკენ, შემდგა ვი უკვე კლებისკენ გადაისაწვავ. (ცვლილებების დრამიკუ საქმაოდ სარგებლივი ტენიანობის აპლიქაცია:

შპრაზან წლის ბოლოს დამტკიცებული 2009 წლის ბოუკეტის ვარიანტიდან ბოუკეტის პირველი შესწორებისას შემცირდა შემოსავ-ლები გადასახლდებდან და გაზარდებ გრძნ-ტებიდან და სხვა შემოსავლებიდან მისაღები თანხების ოდენობა; ანუ შუალედს დაგეგმი-ლი ახალი სქემით, ქვეყნას გაცილებით მეტი ფინანსური სასსჩრები პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისგან უნდა მოზიდდა და დაესარ-ჯვა.

ଦୀର୍ଘବ୍ୟାପିତୁ ମେଗର୍ ଶ୍ଵେତନ୍ରୋଧିତ କା, ରନ୍ଧର-  
ଲ୍ଲାଙ୍କ ପାରଲାମ୍ବନ୍ଦିଷ୍ଠ ନେମ୍ବିର୍ବର୍ଷ ଶ୍ଵେତିଦା ଦା  
ଏସିପିବେଳିମ ଧର୍ମତ୍ୱାବ୍ଦୀ, ଶ୍ରୀମତୀର୍ଦା ରନ୍ଧର-  
ଲ୍ଲାଙ୍କ ଗାନ୍ଧାରାଭାବିତିଦାନ, ଆସ୍ତା ଗ୍ରାନ୍ଥତ୍ୱକିଲାନ  
ମିଳାନ୍ତିବ୍ୟାପିତୁ ତାନ୍ତିକିତି ରାଜାନିର୍ଦ୍ଦୟା.

ქვეყანას, ერთი მხრივ, შეუტორიდა შიდა  
საგადამხდელო პაზა და, შესაბამისად, აქე-  
დან ასაკრეფი გადასახადები, მეორე მხრივ  
კი, ვერ მოახდინა გარე დახმარებების სა-

სურველი ღოზნობით მობილიზაცია.

ჩაგრძნოსილია საპრივატიზებო გეგმაც: ამის გათვალისწინებით, მთავრობამ ამ წყაროდან წელს დაგეგმილი 77-მილიონიანი მაჩვენებელი 30 მილიონამდე შეამცირა, 11 თვეში კი ამ წყაროდან ბიუჯეტში მხოლოდ 20 მილიონი ლარია შესული.

შედეგად, მთლიანად სახელმწიფო ბიუ-  
ჯეტის, პილო შესწორებით, შემოსავლები –  
192 მილიონი ლარით, ხარჯები კი 213 მი-  
ლიონი ლარით შეუმცირდა.  
სწორედ ამ მიზეზით აუცილებელი გახდა

შემცირებული რესურსების შიდა მხარჯვე-  
ლებს მორის ახლობერად გადანაწილება,  
რაც ასევე მნიშვნელოვნად ცვლის თავდა-  
პირველ კონფიგურაციას.

საბოლოოდ, წლევანდელი ბიუჯეტის 4 დეკემბერს დაფგნილი ვერსია ითვალისწინებს ხარჯების ზრდას მხოლოდ ორი მი-მართულებით: მეწარმებისთვის დღგ-ს და-საბრუნვებლად (35 მილიონი) და რაჭასა და კახეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების საოპერაციო (22 მილიონი).

ყველა სხვა მიმართულებით დაფინანსების კლება მოხდება. თავდაცვის სამინისტროს

კიდევ 26 მილიონი ლარი ჩამოეჭრება (ივლისში 45 მილიონი უკვე მოაკლდა), ეკონომიკის სამინისტროს – 12 მილიონი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 8 მილიონი, საგარეო საქმეთა სამინისტროს – 5 მილიონი, ფინანსთა სამინისტროს – 3 მილიონი, პარლამენტს – 3 მილიონი და ა.შ. გარდა ამისა, 5 მილიონი ლარით მცირდება საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და 63 მილიონი ლარით საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების დაზიანება.

ერთი სიტყვით, კლება ყოველმხრივ გა-  
მოქვეთილი და სერიოზულია.

საბიუჯეტო შეკვემდვა საქართველო მმიწვე მე-  
მცველი დროისას გადაცემები 2010 წლის პიუ-  
ჯეტუსაც, რომელიც უკვე ასევე დამტკიცებუ-  
ლია. კრძოლა-უკე ცნობილია, რომ საგანისა  
ბიუჯეტის ფინანსური აქტივები 437 მილიონი  
ლარით ნაკლებია წლევანდელ მაჩვენე-  
ბელზე. დღევანდელი დაგეგმვით, გაისად  
ბიუჯეტის დეფიციტი მილიარდ ლარამდე  
იქნება (უფრო ზუსტად, 935 მილიონი ლარი).  
ამასთან, 2010 წელს ინფლაციის 6%-ინი მა-  
ჩვენებელია გათვლისწინებული, რაც ორად  
ორ დაწესებულებაში (კვაბდა-ცვა-სოცუ-  
ზრუნველყოფის ბიუჯეტი 1,534 მილიარდი  
ლარიდან 1,592 მილიარდ ლარამდე იზრდე-  
ბა, განათლებისა და მეცნიერების – 519-დან  
558 მილიონამდე) დაგეგმილ უმნიშვნელო  
ზრდასაც კი, პრატეტიკულად, უფერერულს  
ხდის. სხვა მიმართულებებზე დაფინანსების  
არათუ თუნდაც ნომინალური ზრდა, არამედ  
კლიერად გათვალისწინებული.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სოცია-  
ლური ორიენტირებულობა უკვე დღესაც საკ-  
მაოდ დიდი კოსტენის ჩატარების ქვეშ დგას და  
გაისად, მოყვანების განვითარების კვალო-  
ბაზე, შესაძლოა, კიდევ უფრო რთული შესა-  
მჩნევი გახდეს. **[4]**

	2009 წლის ბიუჯეტი (30.12.2008)	2009 წლის ბიუჯეტი (11.07.2009)	2009 წლის ბიუჯეტი (13.11.2009)	სესიონები (2009 წლის 13.11.2009- 2009 წლის ბიუჯეტი 11.07.2009)	
გადასახადები	4 760 000,0	4 260 000,0	4 179 200,0	-80 800,0	-1,9%
საშემოსაცელო გადასახადი	1 123 000,0	1 098 000,0	1 072 800,0	-25 200,0	-2,3%
მოგების გადასახადი	581 000,0	498 000,0	523 600,0	25 600,0	5,1%
დღგ	2 444 000,0	2 130 000,0	2 047 300,0	-82 700,0	-3,9%
აქციზი	527 000,0	459 000,0	446 400,0	-12 600,0	-2,7%
საპაულო გადასახადი	43 000,0	35 000,0	35 000,0	0,0	0,0%
სხვა გადასახადები	42 000,0	40 000,0	54 100,0	14 100,0	35,3%
გრანტები	444 971,0	555 474,8	449 845,5	-105 629,3	-19,0%
საყრდანი. ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	322 929,0	317 681,8	246 580,2	-71 101,6	-22,4%
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან/ნარმ. მიღ. გრანტები	122 042,0	237 793,0	203 265,3	-34 527,7	-14,5%
სხვა შემოსავლები	305 190,0	322 042,0	334 554,0	12 512,0	3,9%




**WWW.LIBERALI.GE**

---

## საპროცესო მორიგებილან გარიგებამდე

საპროცესო შეთანხმების შემოღების მიზანი მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელება იყო, მაგრამ იურისტები თვლიან, რომ ამ ინსტრუმენტმა რადიკალურად განსხვავებული სახე მიიღო. სად მთავრდება სასამართლოს ძალაუფლება და იწყება პროკურატურის ინტერესი?

### ნინო გოგუა



„გაჭიანურებული სასამართლო პროცესების დაჩქარებისა და ბრალდებულთა წახალისების“ მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის თებერვალში „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიმ“ საპროცესო შეთანხმების მუხლი შეიტანა. კანონი ამ მუხლს მოდავე მხარეებს შორის მორიგებად განმარტავს.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში მხოლოდ პროკურორი და ბრალდებული მონაბილეობენ. თუ ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან, ვიდრე მოსამართლე განაჩენს გამოიტანს, პროკურატურა მას უთანხმებს იმაზე ნაკლებ სასჯელს, ვიდრე ამას მოსამართლე კანონის მიხედვით დააკისრებდა. ამ შემთხვევაში, სასამართლო გამოძიება საპროცესო შეთანხმებით სრულდება. დაზარალებული მოლაპარაკებაში არ იღებს მონაბილეობას და არც საპროცესო შეთანხმების აპელაციის უფლება აქვთ.

ქართული კანონმდებლობა ორი სახის საპროცესო შეთანხმებას იცნობს – ესაა ბრალზე და სასჯელზე შეთანხმება. პირველ შემთხვევაში, ეჭვმიტანილი აღიარებით ჩვენებას იძლევა და ამის შემდეგ ფორმდება მორიგება. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული წერილობით არ აღიარებს დანაშაულს, მაგრამ თანხმობას აცხადებს წაყენებულ სასჯელზე. ასეთი შემთხვევები, იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ძალზე იშვიათია, რასაც ვერ ვიტყვით ბრალზე საპროცესო შეთანხმებაზე. 2009 წლის 10 თვის სტატისტიკური მონაცემებით, 8084 ბრალდებულს სახელმწიფომ საპროცესო შეთანხმება გაუფირმა.

პროკურატურის მთავარი ანალიტიკური სამსართველოს უფროსის შალვა სალირაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც სასამართლო პრაქტიკაში საპროცესო შეთანხმება გაჩნდა, მნიშვნელოვნად შეიკვეცა და გამარტივდა წინასწარი გამოძიების პროცედურები (სა-

სამართლო განხილვამდე ეჭვმიტანილის დანაშაულის დადგენის (სტადია). უფრო მობილური გახდა სასამართლოს მიერ ისისხლის სამართლის განხილვის ვადები. „სასამართლო მხოლოდ იმას არკვევს, ხომ არ იქნა დარღვეული ბრალდებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებები. სასამართლო სხდომაზე აღარ ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა და მოწმეთა დაკითხვა“.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მხარე წინასწარი გამოძიების დასკვნას არ ეთანხმება, სასამართლო განხილვა მისთვის განსაუყორებით მნიშვნელოვანია. საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში კი, დაზარალებულს ელახება კანონით გარჩნტირებული უფლება – წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, რამაც შეიძლება საქმის არსებით განხილვას კალაპოტი შეუცვალოს.

12 ოქტომბერს ს სწორედ ამგვარი ფაქტის წინაშე დადგა „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის შედეგად დალუპული ნიკა გელაშვილის ოჯახი. დაზარალებულება არ იზიარებენ წინასწარი გამომიყების დასკვნას. ოჯახის ადვოკატებს, მერაბ ჩიქოვანს და გაგი მოსიაშვილს სასამართლოსთვის წარდგენილი ჰქონდათ შუამდგომლობა, რის მიხედვითაც პროცესზე უნდა დაკითხულიყონენ დამატებითი მოწმები.

ოჯახის განცხადებით, წინასწარმა  
გამოძიებამ ყველაფერი გააკეთა იმისა-  
თვის, რომ პასუხისმგებლობა აუკილე-

პროცესო შეთანხმებაზე ექსკლუზიური  
უფლება პროცესო აქვს.

საპროცესო შეთანხმებების გარშემო კითხვის ნიშნებს აჩენს ის გარემოებაც, რომ კანონი არ აკონკრეტუებს, რა იგულისხმება ტერმინში „გამოიყენას-თან თანაბმრომლობა“. კრიმინალური დაჯგუფების შესახებ ოპერატორული ინფორმაციის მიწოდებაცა და წაეყენებული ბრალის აღიარებაც ერთბაირად შეიძლება გახდეს „საპროცესო შეთანხმების“ საბაზი.

ამასთან, „სისხლის სამართლის საპროცესო კანონი“ განმარტავს, რომ ადგიარებითი ჩვენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია უტყუარი მტკიცებულება, თუ სხვა გარემოებებითაც დასტურდება. მაგრამ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, დაზარალებული ადვოკატებს არ ეძლევათ საშუალება, წარადგინონ მტკიცებულებებს, რაც ცრუ აღარებით ჩვენებაზე შეიძლება მიუთითონდეს. კანონი ასევე არ განმარტავს, რა კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულებითან უნდა გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და რა ბრალზე შეიძლება მორიგება. პროკურორი თავად წყვეტს, რა სახის თანამშრომლობა რა სასჯელის რა ზომას შეისაბამება.

დანაშაულებზე (განზრას მკვლელობა, წამება, არაადამიანური მოპყრობა, გაუპატიურება) საპროცესო შეთანხმების გამოყენებას ზღუდავს და აწესებს მკაცრ კონტროლს. გამონაკლის შემთხვევებში კი, საპროცესო შეთანხმების მიზანშეწონილობა ამ სახის დანაშაულებზე წყდება ბრალდებულის მხრიდან თანამშრომლობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხის გათვალისწინებით – როდესაც ბრალდებულის თანამშრომლობა ხელს უწყობს სხვა განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის გახსნას“.

თუმცა, სწორედ მძიმე კატეგორიათა დანაშაული - როდიონ კირაკოსიანის განზრახ მკვლელობის საქმე - მოხვდა სახალხო დამცველის სოზარ სუპარის ანგარიშში. 2001 წლის 16 სექტემბერს თბილისში როდიონ კირაკოსიანს დანით მიაყენეს რამდენიმე მძიმე ჭრილობა და თავში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი; 8 დღის შემდეგ იგი საავადყოფოში გარდაიცვლა. 2006 წლის 28 ივნისს პროკურორმა ია დარჯანიამ დანაშაულში ეჭვმიტანილებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. გარდაცვლილის ოჯახი კი დღემდე დარწმუნებულია, რომ არაკვალიიფიციური გამოძიების გამო, მკვლელები განსასჯელის სკამზე არც კი აღმოჩენილან.

ომბუდსმენის ოფიციალურ განცხა-  
დებაში ვეკთხულობთ: „საქმის შესწა-  
ვლით აშენარაა, რომ არც წინასწარი  
და არც დამატებითი გამოძიების მიერ  
არ იყო ჩატარებულია აუგილებელი სა-

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სტატისტიკა

**2006** წელი - სასამართლომ განიხილა  
4888 სისხლის სამართლის საქმე, მათგან  
1201 დასრულდა საპროცესო შეთანხმებით

2007 ნელი - 6853 /3035

2008 წელი - 7338 /3544

2009 Exam - 5534 /3126

ბინა „რუსთავი 2“-ისა და „არტ-იქსის“ სელმძღვანელი პირებისთვის, რომელთა შორისაც დავით კეზერაშვილის მეუღლე და გიგა ბოკურიას ნათესავიბი არიან.

თუმცა ბრალდებულის აღიარებით  
ჩენებაზე მოულოდნელად გაფორმე-  
ბულმა საპროცესო შეთანხმებამ და-  
ზარალებულ მხარეს ეს შესაძლებლო-  
ბა წაართვა. ფორმალურად მხარეებს  
შორის მოლაპარაკება შედგა, მაგრამ  
დაზარალებული ოჯახი ამ მორიგების  
მიღმა დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ,  
კანონით, დაზარალებული და პროკუ-  
რატურა ერთ მხარეს წარმოადგინს, სა-

გამოძიებო მოქმედებები – არ იყვნენ დადგენილი და დაკითხული შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, რომელთაც, შესაძლოა, დაწარახათ, თუ როგორ და ვის მიერ მოხდა კ.-ს მკვლელობა, არც მოწმების ადგილას მყიფელის დადგენისათვის გატარებულა რამე ქმედით ღონისძიებები. გამოძიებას ასევე არ უშსჯელია დაზარალებულის მიერ არაერთ ჩვენებაში აღნიშნულ გარემოებებზე და დანამატელის ჩადენის ანგარებიან მოტივზე, არ დაუდგენია და არ დაუკითხავს ის პირები, რომლებიც, დაზარალებულის ჩვენებების თანახმად, ჯგუფურად იღებდნენ მონაწილეობას განზრას მკვლელობაში”.

რაც შეეხება ჯგუფურ კანონდარღვევას, საპროცესო კოდექსის მიხედვით, იდენტური ბრალის მქონე ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის პროკურატურამ შეიძლება ერთან გააფორმოს შეთანხმება, მეორესთან – არა. 19 ნოემბერს მუხროვანის ამბოხის პროცესზე 28 განსასჯელიდან შეიიღა აღიარა დაუმორჩილებლობაში წაყენებული ბრალი და შეიდივე მათგანთან პროკურატურამ საპროცესო გარიგება გააფორმა. სწორედ აღიარებით ჩვენების და არა დამატებით მიღებული ინფორმაციით ახსნა პროკურორმა საპროცესო შეთანხმების გაფორმების

მოტივი. სასამართლო პროცესში კვლავ რჩება იგივე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული 21 სამშედრო მოხელე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის არქივში ინახება განსხვავებული საქმეც, როცა საი 60 ლარის ღირებულების ლითონის მოპარვაში ბრალდებულს იცავდა. ეჭვმიტანილი ბრალს აღიარებდა, მაგრამ პროკურატურამ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარი განუცხადა და სასამართლომ მას 4 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა. მოგვიანებით ბრალდებულმა სასჯელის ზომაზედგომ სასამართლოში გააპროტესტა და გაიმარჯვა.

იურისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება „42-ე მუხლის“ იურისტი არჩილ ჩიფლიკშვილი იხსენებს, რომ როცა საპროცესო შეთანხმება ახალი შემოღებული იყო, პროკურორები თრგვანიზებულ, ნარეოთიკებთან ან იარაღთან დაკავშირებულ საქმებში ეჭვმიტანილებს ზოგჯერ ატყუებდნენ კიდეც – სხვების „ჩაშეგების“ სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებას პირდებოდნენ, მაგრამ სასამართლო პროცესზე მხოლოდ რამდენიმე თვით ან წლით ნაკლებ სასჯელს უფლომებდნენ, ვიდრე მოსამართლე მსცემდათ. ჩიფლიკშვილის განცხადებით, საპროცესო შეთანხმება და პროკურორულის დამატებითი ფუნქციები ერთმანეთში დაკავშირდებოდნენ, საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება. ეს მიზანი არა მარტინ მარტინის გარემოებასა და მას მისცემის, ვიდრე საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება დაუმტკიცდეს.

საპროცესო შეთანხმება სშირად დადებულა ქართველ პიზნესმენებთანაც, რომლებსაც ჯარიმის სახით დიდი რაოდენობის თანხა გადაურიცხავთ ბიუჯეტში, ძირითადად წინასაარჩევნობდ. ამას „რესპუბლიკური პარტია“ თავის ანგარიშში „ლეგალიზებულ მექრთამებას“ უწოდებს. „რესპუბლიკურები“ ხაზს უსამენ იმ გარემოებასაც, რომ ერთი და იგივე პროკურორი ჯერ წინასაარ გამოძიებასთან ერთად მუშაობს, შემდეგ ითავსეს მოსამართლის ფუნქციას, როცა საპროცესო შეთანხმების დროს სასჯელის ზომას განსაზღვრავს, პოლოს კი იცავს ბრალდებულის ინტერესს, რადგანაც საპროცესო შეთანხმება მხოლოდ განსასჯელის მოთხოვნით დგება.

თუმცა, პოლიტიზირებულ და პროცედენტულ საქმეებს რომ ჩამომეორდეთ, პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას ეჭვეტურად იყენებს არასულებლოვნების მიერ ჩადენილ მსუბუქ (ხულინობას, სხეულის მსუბუქი დაზიანება, პროველი ჩადენილი დანაშაული) დანაშაულებზე. ასეთ შემთხვევებში, კანონი ეჭვეტურ და სამართლიან მართლმსაჯულებას განაპირობებს, თუმცა ამავე კანონით დაზარალებულთა ერთი ნაწილი სამართლიანის აღდგენას სტრასბურგის სასამართლოში ითხოვს.

## საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა

ქართულ კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების მუხლი იმ ქვეყნების საკანონმდებლო სისტემების გამოყლილებას ეყრდნობა, სადაც სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპით მუშაობს.

იტალიაში საპროცესო შეთანხმება ეფუძებულად გამოიყენება ორგანიზებულ (მაფია, ნაკრიდილები), ასევე წვრილმან დანაშაულებათან ბრძოლაში. კანონში არა დაკავრებული, რას გულისხმობას „გამოძიებასთან თანამშრომლობა“.

შეთანხმების გაფორმება პროკურორი დაზარალებულთან გადის ერთგვარ კონსულტაციას – წინასწარ ატყობინებს შეთანხმების ზოგად პირობებ-

ბს, თუმცა დაზარალებულს არ აქვს საპროცესო მორიგებისთვის სელის შეშლის, მოვციანებით პერლაციის უფლება. პროკურორის კეთილ ნებაზე დამოკიდებული, გაითვალისწინებს თუ არა დაზარალებულის პოზიციას.

საპროცესო შეთანხმების განსხვავებული მოდელი მუშაობს ამერიკის შეერთებულ შეთანხმების რამდენიმე შტატში (ჯორჯია, სამხრეთ დაკონტა), საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყებამდე, პროკურორი აუცილებლად განუმარტავს დაზარალებულს, შეთანხმების დადების აუცილებლობას. დაზარალებულს არ აღიარებს.

რუდგენს არგუმენტაციას, რატომ არის საპროცესო შეთანხმებისთვის აუცილებელ ცრუ აღარებით ჩვენებას წერენ; ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ეჭვმიტანილს გამოძიების ობიექტურობაში ეჭვი ეპარება და უშვებს ალბათობას, რომ მას მოსამართლე იმაზე მეტ სასჯელს მისცემს, ვიდრე საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება დაუმტკიცდეს.

საპროცესო შეთანხმება სშირად დადებულა ქართველ პიზნესმენებთანაც, რომლებსაც ჯარიმის სახით დიდი რაოდენობის თანხა გადაურიცხავთ ბიუჯეტში, ძირითადად წინასაარჩევნობდ. ამას „რესპუბლიკური პარტია“ თავის ანგარიშში „ლეგალიზებულ მექრთამებას“ უწოდებს. „რესპუბლიკურები“ ხაზს უსამენ იმ გარემოებასაც, რომ ერთი და იგივე პროკურორი ჯერ წინასაარ გამოძიებასთან ერთად მუშაობს, შემდეგ ითავსეს მოსამართლის ფუნქციას, როცა საპროცესო შეთანხმების დროს სასჯელის ზომას განსაზღვრავს, პოლოს კი იცავს ბრალდებულის ინტერესს, რადგანაც საპროცესო შეთანხმება მხოლოდ განსასჯელის მოთხოვნით დგება.

კითხვები ექლესისა და ხელისუფლებას

# ექლესის საპატიო ნარსული

სამოქალაქო საზოგადოებამ პირველი ნაბიჯი გადადგა. იქცევა თუ არა საჯარო მსჯელობის საგნად ის საკითხები, რომელებიც ეკლესის საპატიო ნარსულს და დღევანდელობას შეეხება?

ნინო ბექიშვილი



ფოტო ივანი სარგებლივალი

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჩევნ რეალობაში ყველაზე უფრო გავლენაზი, მდიდარი, პოპულარული, მაგრამ ამასთანვე ყველაზე მეტად დახურული ორგანიზაციაა, რომელიც ავტონომიურ რესიმში ცხოვრობს; გაურბნის საზოგადოებასთან დაალოგს და ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კრიტიკული აზრი გაუწინდება, მტრად თვლის.

სასულიერო პირებს მედიასთან ურთიერთობა აკრძალული აქვთ, მათთვის მხოლოდ საეკლესიო ან ყვითელ პრესში ქადაგება და ქრისტიანული ცხოვრების წესის პროპაგანდაა დასამვები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკლესია პოლიტიკოსების, კულტურის მოღვაწეების, სტუდენტებისა და ზოგადად საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ, როგორც თავად

ამბობენ, „ერის ერთიანობის გარანტად“ აღიქმება, რაც სეკულარულ სახელმწიფოსთან შეუთავსებელია. მედიატორის ფუნქცია, რომელიც ეკლესიამ ბოლო-დროინდელი პოლიტიკური არეულობებისას იყიდება და ხანდახან წარმატებითაც ახორციელებს (გავისხმოთ პატრიარქის მიერ ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირებისას გადადგმული ნაბიჯები), წესით, თანამედროვე სახელმწიფოში სულ სხვა დემოკრატული ინსტიტუტების პრეროგატივა უნდა იყოს და საპატრიარქო საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაზე არ უნდა ზრუნვადეს.

ბოლო დრომდე საჯარო სიცოცეში ეკლესის თემა დახურული გახლდათ, მაგრამ რამდენიმე ადამიანი მაინც ცდი-

ლობდა ეკლესიასთან დაკავშირებულ ბევრ მტკიცნეულ საკითხზე ესაუბრა. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რეგულარულად აქვეყნებდა პუბლიკაციებს, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესის მიერ ტაქუდადებულ თემებს შეეხებოდა. ეკლესის კრიტიკა ისმოდა ომბუდსმენის საპარლამენტო მოხსენებების დროს, პაინრიც პიოლის ფონდში გამართული დებატებისას და სხვ. მაგრამ მაინც, ის შეკითხვები, რომელებიც პატრიარქსა და პრეზიდენტს სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე წევრმა გაუგზავნა, ეკლესიასთან დაალოგის პირველი ხმამაღლი მცდელობაა.

იმ ფონზე, როდესაც არც მედია და არც საპატრიარქო ეკლესიაში მიმდი-

ნარე პროცესებს გახსნილად არ აშეუქებენ, შეეკითხვათა ავტორები ერთმანეთს ინტერნეტში, სოციალურ ქსელ „ფეის-ბუქში“ დაუკავშირდნენ. პრესკონფერენციაზე, რომელიც ამ ჯგუფმა კოლმეურნეობის მოედნზე, იოანე პეტრინის ძეგლთან გამართა, ბასილ კობაძიძე, ბექა მინდაშვილი, დავით ამირჯიში და თეა თუთბერიძე აქტიურობდნენ. შეეკითხვების თემატიკა მრავალფეროვანია და ეკლესიის წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების ბევრ მართლაც მტკიცნეულ საკითხს უკავშირდება. თუმცა, ეს კი-თხვები ფორმით უფრო მეტად ბრალდებების ჩამონათვალს ჰგავს და კონსტრუქციულ საუბარს ნაკლებად გულისხმობს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ეს აქცია ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა ადამიანებმაც კი იმ კამპანიის ნაწილად აღიქვეს, რომელიც ამ ერთი თვის წინ თეა თუთბერიძემ ინტერნეტიდან პატრიარქის შეურაცხმულოფელი ვიდეორგოლების ტირაურიებით დაიწყო. უმრავლესობამ თეა თუთბერიძის საქციელის უკან ხელისუფლების კვალი დანახა;

ლით გუნდრუკს უმეტეს ეკლესიას, მეორე ხელით კი – ძირს უთხრის, დანარჩენი იპოზიცია კი შეკითხვათა ავტორებს ლამის ეშმაკეულებად მოჩნდება. ხელისუფლების წარმომადგენელი დეპუტატები ცდილობენ, არც მწვადი დაწვანდ არც შამფური, მაგრამ არ გამოსდიო, ეკლესიის ყოვლისმომცველ ავტორიზეტს უფრთხოან და ხმამალა ვერ აცხადებენ, რომ შეეკითხვების დასმის უფლება საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციით გვაქვს გარანტირებული.

ამ შეეკითხვების ფორმირებაში მონაცილეობა ბასილ კობაძიძემ და ბექა მინდაშვილმაც მიიღოს. ისინი კი, უკვე წლებია, არ ერიდებიან სხვადასხვა საკითხის გამო ეკლესიის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვას. აქამდე ტელე-სივრცე მათ თითქმის არ ეთმობოდათ, ამიტომაც, პრობლემები, რომლებზედაც ისინი ამახვილებდნენ ყურადღებას, საზოგადოებამდე თითქმის ვერ აღწევდა. აგვისტოს ომის შემდეგ პატრიარქის ვიზიტებმა მოსკოვში და მისმა დაუფარავება პრორუსულმა რიტორიკამ, რომელიც

თებდნენ. ინტერნეტში გამოქვეყნებული კლერიკალების „გბ“-ს ბარათების ავთენტურობის დამტკიცება, მაშინ, როდესაც ჩვენი უშიშროების არქივის დიდი ნაწილი დამწვარია და მოსკოვის არქივზე ხელი არ მიგვიწვდება, დღეს თითქმის შეუძლებელია. მამა ანდრია (ბორიდა), რომელიც უკვე 10 წელიწადზე მეტია, ამერიკაში ერთ-ერთ ბერძნულ ეკლესიაში მოღაწეობს, თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან სამოცდა-ათწლიანი კომპრომისი ეკლესიას უკარგავს უფლებას, ქრისტეს სიტყვა იქადაგოს: „როგორ შეიძლებოდა იმ მოძალადე და უზნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა? ან იმ ძალადობაზე თვალის დახუჭვა? ამ შემთხვევაში თანამშრომლობა და თვალის დახუჭვა ერთი და იგივეა. ჩემ თავსაც და მოძღვრებსაც დავუსვი შეეკითხვა, შეიძლებოდა თუ არა დარჩენა ეკლესიაში, რომელმაც ამ წლების მანძილზე ქრისტიანობის პრინციპები ვერ შეინარჩუნა, მათ მიპასუხეს, – აბა, რა ვენაორ. მაშინ მეც დავიჯვერე. სასუხისმგებლობა არავისზე არ გადამა-

## ■ საბჭოთა წარსულის გააზრება და შეფასება, მხოლოდ ეკლესიის კი არა, მთელი დანარჩენი საზოგადოების პრობლემაა.

იმათაც კი, ვინც რადიკალურ ოპოზიციას არ უთანაგრძობს და შორსაა იმ რიტორიკისგან, რომ „ეკლესიებს გვინგრევენ“ და „მართლმადიდებლობას გვართმევენ“. პროფესორი ზურაბ კიურაძე თვლის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ სწორედ ხელისუფლებასთან ასოცირდება და ის, რომ შეიძლება მათ ხელისუფლება ხანდახან გაკრიტიკონ კიდევ, ბევრს არაფერს ცვლის: „ამაზე მახსენდება ახალგაზრდა ევგვინი ევტუშენის „პობოქრობა“, იგი საბჭოთა ხელისუფლებას მოკლე ბაზრით ჰყავდა დაბმული და გარკვეულ საზღვრამდე აძლევდა „პრიტკის“ უფლებას. ასეთები ბევრი ჰყავდათ საჩემებლად მეტროპოლიაშიც და ჩვენშიც. საბჭოეთში ნაცხოვები ადამიანი არ მოტყუფდება. მათი ამოცნობა მას არ გაუჭირდება. არც იმას დავიჯვერებ, რომ თეა თუთბერიძეს „პარტიული დავალება მისცეს“. უშუალო დავალება ასეთი პირისთვის სრულებითაც არ უნდა ყოფილიყო აუცილებელი. იგი იმდენად გამჭრიახია, რომ სიტყვის უთქმელად ხდება „ვარდების ეპოქის“ გამოწვევას“.

რესპუბლიკური პარტიის წევრები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება ცალი ხე-

ერთმორწმუნებაზე და მოძმე ეკლესიების ერთობაზე აპელირებს, ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე გააღიზიანა. ცხადია, პატრიარქი ვერავის მოუწოდებს შეულისკენ და მისი მოღვაწეობა შევიდობის, როგორც უმაღლესი ლირგულების ქადაგებას გულისხმობს, მაგრამ შეიძლებოდა, პატრიარქი რუსული ეკლესიის მიმართ ცოტა უფრო მცაცრი და კრიტიკული ყოფილიყო, და ის მანც არ ეთქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ.

საზოგადოების ნაწილს დღემდე აფიქრებს ის, რომ საქართველოში ლუსტრაციის პრიცესი არ გახსორციელდა. შეეკითხვები სწორედ ამ თემით იწყება. თანამშრომლობდა თუ არა საქართველოს ეკლესია და საბატრიარქო საბჭოთა სუკ-თან? ვინც, ასე თუ ისე, იცის საბჭოთა სისტემა, მისთვის პასუხი ნამდვილად ცალსახაა. ეკლესია საბჭოთა წლებში ამ ურთიერთობის გარეშე უბრალოდ ფიზიურად ვერ იარსებდა. საქმე ისაა, რას გულისხმობდა ეს თანამშრომლობა და კონკრეტული სასულიერო პირები საბჭოთა სისტემის დავალებით რას აკე-

ქვს, მე თვითონ დამჭირდა რაღაც დრო იმისთვის, რომ თავს მოვრეოდი. მაშინ, როდესაც ამ ყველაფერზე თვალი დავუზუჭვე, ჩემ თავში სინდისი მოვკალი და ეს დღემდე მანვალებს. ეს კომპლექსური საკითხია, სარწმუნოებრივიც და სოციალურიც. ვინ როგორ თანამშრომლობდა, რა დოზით, არ ვიცი, მაგრამ ამ თანამშრომლობის რეფლექსიებს, შედეგებს ნამდვილად გხედავდი“.

პროფესორი ზურაბ კიკანაძე თვლის, რომ ამ კითხის ეკლესიისთვის დასმა არ არის გამართლებული, ამაზე სახელმწიფომ და უშიშროების არქივებმა უნდა გაგდებოდა პასუხი. ეკლესია დოგმატებზე დგას, ამ დოგმატებს და ეკლესიის სწავლებას ვერაფერი დააკლო სამოცდაათწლიანმა რეფლექსიებს, შედეგებს ნამდვილად გხედავდი“.

პროფესორი ზურაბ კიკანაძე თვლის, რომ ამ კითხის ეკლესიისთვის დასმა არ არის გამართლებული, ამაზე სახელმწიფომ და უშიშროების არქივებმა უნდა გაგდებოდა პასუხი. ეკლესია დოგმატებზე დგას, ამ დოგმატებს და ეკლესიის სწავლებას ვერაფერი დააკლო სამოცდაათწლიანმა რეფლექსიებს, შედეგებს ნამდვილად გხედავდი“.

საბჭოთა წარსულის გააზრება და შეფასება, მხოლოდ ეკლესიის კი არა, მთელი დანარჩენი საზოგადოების პრობლემაა.

სება, მხოლოდ ეკლესიის კი არა, მთელი დანარჩენი საზოგადოების პრობლემაა, მაგრამ სულიერი წინამდლერის როლი, რომელიც ეკლესიას თავის უპირველეს ფუნქციად მაჩინია, მას გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აისრებს. უქსლესი ისტორიიდან ცნობლია შემთხვევები, როცა ეკლესიებს მოუნანიებიათ, მაგალითად, ფაშისტურ რეჟიმებთან ურთიერ-

მწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენებაში ჩამოთვლილია ყველა ის საკითხი, რაზეც შეკითხვების ავტორები საუბრობენ, ეს ეხება საკონსტიტუციო შეთანხმების დისკრიმინაციულობას, სომხური და კათოლიკური ეკლესიების ქრისტიანობის მიტაცებას, რელიგიური უმცირესობების ჩავრას, სხვა კონფესიებისთვის დისკრი-

შეკითხვათა ავტორებს საპატრიარქის პრესცენტრის ხელმძღვანელმა მამა დავით შარაშენიძემ მეორე დღესვე მოკლედ და ცინიკურად უპასუხა, – „ამ ადამიანებს საზოგადოების ნაწილად არ ვთვლით და არ ვაპირებთ პასუხების გაცემას“. დაახლოებით ასეთივე იყო ხელისუფლების პასუხიც. პრეზიდენტის ახლად დანიშნული პრესმდივანი დაგვპირდა, – სააკადვილი ყველა შეკითხვას უპასუხებს; მაგრამ პრეზიდენტმა ბათუმში ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა: „იმ პირობებში, როდესაც ყველა სხვა ჯგუფის უფლებები დაცული უნდა იყოს, კონკორდატი უნდა ამოქმედდეს ისე, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის როლია და ფუნქციას საქართველოს ისტორიაში საგანგებოდ გაესვას ხაზი“. არადა, შეკითხვების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ 2002 წელს დადგებული კონსტიტუციური შეთანხმებაა, როგორც დისკრიმინაციული და საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო დოკუმენტი.

ნაცონალურია არხებმა ეს აქცია არ გააშექეს და ამ შეკითხვებზე ღიად არ ისაუბრეს. როგორც ჩანს, იმათ, ვისაც შეკითხვები აქვთ, არა მხოლოდ საპატრიარქი და ხელისუფლება, არმედ მედიის დიდი ნაწილიც არ თვლის საზოგადოების ნევრებად. ძალიან საინტერესო იყო გიგი წერეთლის რჩევა-დარიგებანი: „არის რაღაც საკითხები, რომელთა ირგვლივაც არსებობს ტრადიციულად, საზოგადოებრივად შეთანხმებული აზრი, რომ ამას ასე არ ვაკეთებთ. ნამდვილად არ არის საჭირო ამაზე ყურადღების მიეცევა“, – უთხრა მან უურნალისტს.

იმ ვითარებაში, როცა ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის ეჯიბრება, როგორ ამოს საპატრიარქოს და მისი რეიტინგით თავად იხეიროს, ამის პარალელურად კი, დემოკრატიული ინსტიტუტები – მედია, სასამრთლო და პარლამენტი სუსტად მუშაობენ, ეკლესიისგან ნებისმიერ პრობლემურ შეკითხვაზე პასუხის მიღება ჭირს. ჯერვერობით უმცირესობაში დარჩენილ სამოქალაქო საზოგადოების გადასაცემი ზეგავლენის რეალური მექანიზმები არ გაჩინია. მართალია, დავით პაიჭაძის „დოალოგი“ და ეკა კვესტაძის „აქცენტები“, რომელებიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაიცა და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხებს დაეთმო, მთლიან სურათს ვერ ცვლის, მაგრამ შეკითხვათა ავტორებმა ეს ორი გადაცემა შეიძლება პატარა გამარჯვებად მიიჩინონ. **ც**



თობა. ალბათ არც ეს შეკითხვები არ დაისმებოდა, ეკლესიას რომ საჭიროა რეუშითან და „კებ“-სთან თანამშრომლობა თავად შეეფასებინა, ფფიციალურად მოენანიებინა და ბოლოში მოქანდა მრევლის წინაშე. სამწუხარო რეალობა კი ისაა, რომ ამბროსი ხელაია შემდეგ, ანუ მთელი 70 წლის მანილზე საქართველოს ეკლესიას სასულიერო პირების მიერ სამოქალაქო გმირობის გახმაურებული მაგალითები თითქმის არა აქვს.

შეკითხვების ავტორების მიერ განხილული ბევრი საკითხი, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო შეთანხმებისა და რელიგიური უმცირესობების თემა, უკვე რამდენიმე წელია, ხედება მობუდასმენის მოხსენებებში, მაგრამ სახელმწიფო, ამ მხრივ, ნაბიჯებს არ დგამს და კულურულად ყველაფერს ეკლესიას აბრალებს. ასე მოხდა, მაგალითად, სომხური ტაძრის, ნორაშნის საკანდალის დროს, როცა მართლმადიდებელმა მღვდელმა საფლავები შეურაცხყო და სომხებმა საკუთარი ეკლესიის დაბრუნება მოითხოვეს. ბევრი პრობლემა საქართველოს ფარგლებს გასცდა კიდეც. მაგალითად, აშშ-ს სახელ-

მინაციულ გარემოს და სხვა.

ცალკე თემაა ეკლესია და მისი ქონება. ეკლესია დიდი მინათმფლობელია, პერიოდულად მას სახელმწიფო ახალ-ახალი საჩუქრებით ანებივრებს. საზოგადოებას კი არ გააჩინია არავითარი მექანიზმი, რომ აკონტროლოს, ვინ განარგავს, ან როგორ იხარჯვება, მაგალითად, ის 25 მილიონი, რომელიც მთავრობამ საპატრიარქოს 2009 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო. რამდენადა თავისებადი ეკლესიის მისია სიმდიდრესთან და ძალაუფლებასთან, ამაზე სწორედ ეკლესიის მაღალმა ირარქებმა უნდა გაგდეონ პასუხის მით უმტეს, არსებობს ეჭვა, რომ მთლად სუფთა ბიზნესთან არ გვაქვს საქმე. ფაქტი ერთია საზოგადოება ხედავს ძვირად ღირებულ მანქანებში მსხდომ კლერიკალებს, მაგრამ ვერ ხედავს იმ სოციალურ პროგრამებს, რომლებსაც ეკლესია ახორციელებს; შეიძლება იმიტომაც, რომ ეს ინფორმაციაც დახურულია. მაგალითად, ცნობილია, რომ მონასტრებითან მოქმედებს მოუსაფარ ბაგშეთა სახლები, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, მედიისთვის დაუურულია.

## განათლების ხუთმლიდი

განათლების სამინისტროს ახალი მენეჯერი ჰყავს. დიმიტრი შაშკინი თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულია, თუმცა არც ყოფილი მინისტრები იყვნენ ნაკლებად თავდაჯერებულები.

რუსუდან ფანოზიშვილი



ფოტო ივანე საჩიახავაძე

განათლების სამინისტროს ფოიეში საქართველოს განათლების მინისტრების სტენდი გიორგი ლასხიშვილით იწყება და გიორგი ნოდიათა მთავრდება. არადა, ნოდია „შორეულ“ 2008 წელს იყო. მას მერე მინისტრობა კიდევ ორმა პოლიტიკოსმა მოასწრო და ვიდრე სტენდზე ყოფილი გენერალური პროკურორის ნიკა გვარამიას პორტრეტს ჩამოკიდებდნენ, მისი პოსტი ორი კვირის წინ უკვე სასჯელალსრულების ყოფილმა მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა დაიკავა.

განათლების ბოლო მინისტრი 7 დეკემბერს დანიშნეს და მან უკვე ისეთი გრ-

ძელვადიანი გეგმები დასახა, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში უცხოეთში სასწავლებლად წასვლას არ გვემავს. გაზეთ „24 საათათა“ ინტერვიუში მან ასეც თქვა – „მე აქ დიდი ხნით ვრჩები“. ახალი მინისტრის პირველივე განცხადება, რომ სისტემის პრიორიტეტი მასწავლებელი და მოსწავლე იქნება, ბევრად არ განსხვავდება მისი წინამორბედის რიტორიკისგან. მსვლელობა ამ მიმართულებით რეფორმამ ჯერ კიდევ შაშკანამდე დაიწყო. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებსა და პრეზიდენტ სააკაშვილის პედაგოგებთან შეხვედრას მოჰყვა

ის, რომ მალევე ამოქმედდა პედაგოგებისთვის უფასო სამედიცინო დაზღვევა, რისთვისაც სახელმწიფომ პიკჯეტიდან ერთი წლის განმავლობაში 12 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. გია ნოდიას მინისტრობის პერიოდშივე, 500-მდე საუკეთესო პედაგოგს სტიპენდიები დაენიშნა. მას შემდეგ გამორჩეულ პედაგოგებს სახელმწიფო ყოველთვიურად 200 ლარს უხდის. მასწავლებელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა ნიკა გვარამიას მინისტრობის პერიოდშიც გაგრძელდა. სწორედ მაშინ შემოიღეს, მაგალითად, ვეტერან პედაგოგთა დაჯილდოების სქემაც.

ნიშნავს თუ არა შაშქინის განცხადება  
ცალსახად ამ ინტერციის გაგრძელებას?  
იმის გათვალისწინებით, რომ მაისში არ-  
ჩევნება, სავარაუდოდ, პედაგოგების  
ელექტრორატის კეთილდღეობაზე ხელი-  
სუფლება კვლავაც იზრუნებს. შაშქინი  
„24 საათთან“ ინტერვიუში ამბობს: „ყვე-  
ლაფერი უნდა გავაკეთოთ იმსთვის,  
რომ მასნავლებლებს ჰქონდეთ სურვი-  
ლი, ასწავლონ. ჩევნი მთავრობა აკეთე-  
ბს ყველაფერს, რომ მასნავლებლების  
შრომა დაფასდეს“.

თუმცა, შაშვინს სავარაუდოდ მოუწევს მასნავლებელთა სერტიფიცირების ჩატარება, რომელიც უკვე ორჯერ გადაიდო. 4 დეკემბერს, ანუ თანამდებობის დატოვებამდე ნიკა გვარამიამ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, მასნავლებელთა სერტიფიცირება 2010 წლის ივლისში უნდა ჩატარდეს. შაშვინი აცხადებს, რომ სასერტიფიკაციო გამოყენები აღარ გადაიდება. თუმცა, ჩატარების შემთხვევაშიც, ის ყველა საგნის მასნავლებელს მარც არ შეეხება და არც სავალდებულო იქნება. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ პედაგოგების დიდმა ნანილმა მასში მონაწილეობა არ მიიღოს.

ମାସନ୍ତାଙ୍ଗଲେବେଳିତା ନାଶାଶାଳୀଲୋକେବଳାଦ  
ରାମିର୍ ମେହିନୀଠମିଳିଲୁ ମନ୍ତ୍ରିକାର୍ଯ୍ୟବାଦ ସାଫ୍ଟି-  
ରାମ. ସାଲ୍‌ଏର୍କିପିଓଫିକାଫିଲ ଫ୍ରେନ୍‌ଟ୍ରାଈଲ୍‌ସ ବେଳ-  
ମଦଳବାନ୍‌ବେଳିଲୋକ ସମ୍ମାନ ଗର୍ବଗନ୍ଧିଳୁ ତଜିମିତ,  
ଆସିଲେବେଲିଲା, ଡାନ୍‌ବେଲ୍‌ଡ୍ରେସ ଏର୍କିପିଓଫିଲ-  
ରାମବୁଲି ମାସନ୍ତାଙ୍ଗଲେବେଳିଲିତାକିମିଳିଲୁ  
ରାମାପ୍ରାଣ ଗାନ୍ଧିବାନ୍‌ବେଳିବା. ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠାଳା ବେଳିତାକିମିଳିଲୁ  
ମନ୍ତ୍ରିକାର୍ଯ୍ୟବାଦ ନିମ୍ନଲିଖିତ ପାଇଁ ଉପରେ ଲାଗିଥାଏଇଲା.

შაშქინის სამინისტროს სულ რამდენი-  
მე თვე რჩება კომპლექსური პრობლემე-  
ბის გადასაწყვეტად.

ამ ეტაზზე უცნობია, იქნება თუ არა  
შაშვინი ის მინისტრი, რომელიც ბოლოს  
და ბოლოს ჩაატარებს ასევე გადადე-  
ბულ დირექტორების არჩევნებს და მო-  
აგვარებს სკოლების აკრძალისაცაც. კ-  
ეს იმაზეა დამოკიდებული, უღირს თუ  
არა ხელისუფლებას ქველი მტკიცნეული  
თემების ხელახლა წამოწევა.

ამ საკითხებისადმი შეშეკინის დამოკიდებულება გამოიჩინს სწორედ, რეფორმატორი მინისტრია ის, თუ მხოლოდ პრეზიდენტის აზრების გამბოვანებელი, მისი რამდენიმე წინამორბედის მსაჯვასაც.

მისი ერთ-ერთი ახალი იდეაა სკოლის როლის გაძლიერება, რისთვისაც მინისტრი გეგმავს, სკოლის გამოსაშვები გამოცდები დანიშნოს, უმაღლესმა სასწავლებლებმა კი კონკრეტული ფაქულტეტების მიხედვით აირჩიონ აბი-

## ცვლილებები განვთლაშის სისტემაზე

პრიული: 2004-2007 წლები  
მინისტრი: ალექსანდრე ლომავა






პაროლი: ლოგინი 2007 - თებერვალი 2008  
მინისტრი: გაია მინისტრი



- 
  - საქართველოს სკოლების უმრავ-ლესონაში დამონ-ტაჟდა გათბობის ახალი სისტემები, შეეკთდა ძველი და მწყობრიდან გამოსული გათბობის სისტემები.
  - შემუშავდა ინიციატივა სკოლებში ვაუჩერულ დაფინანსებაში ცვლილების

უზრუნველყოფა, რეგულირება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ევალება.

- დარსდა რესურსცენტრები – განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლებსაც ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობა დაევალათ.

- ქვეყნის 1.166 საჯარო სკოლაში ლოგოტი-ტრონის პრინციპით პირველად ჩატარდა დირექტორების არჩევნები. 2007 წელს დირექტორები მხოლოდ სკოლების 53-მა პროცენტმა აირჩია და შემძეგი ეტაპი 2008 წლისათვის დაიგეგმა, თუმცა არ-ჩევნები არც 2008, არც 2009 წელს აღარ ჩატარებულა.

- უმაღლესი განათლება ჩაეტანის პროცესში (2005) – ევროპულ საუნივერსიტო სიტყვო სივრცეში.

- დაინერგა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

- პირველად ჩატარდა უმაღლესი სასწავლებელის აკრედიტაცია. შემოწმდა უმაღლესი სასწავლებელის სწავლის სასწავლებლებისა სწავლებელისა

ଶେଷତାନିବୁ ତାଙ୍କାଥୀଁ ଉପଲିଲେବୁ ଯତ୍ତାଳ୍-  
ଲିସନ୍ଦିନ୍ଦିବ୍ରଦ୍ଧା, ମଳ୍ଲିଶାଙ୍ଗେତା ରାଖିଦ୍ଵାରାନ୍ତିରିବୁ  
ମିଥେଦେଇବୁ ହାରିପାଇସ୍ତାନ୍ତିରିବୁ ଯାହାର୍ଗେବ୍ରଦ୍ଧାନ୍  
ଏରାଜାର୍ଦ୍ଦ, କ୍ଷେତ୍ରବ୍ରଦ୍ଧାନ୍ତିରିବୁ ଦେଇମାଲ୍ଲିବ୍ରଦ୍ଧାନ୍  
ଶେଷିବ୍ରଦ୍ଧାନ୍ ମାତାପା ସାକ୍ଷିର୍କେବ୍ରଦ୍ଧାନ୍ତିରିବୁ ଶେଷାବାଧିବ୍ରଦ୍ଧା-  
ନ୍ତିରିବୁ. ତୁମ୍ହାରା ମିଠିନିର୍ମିଲିଲିମା ଅଥ ଉପଲିଲେବ୍ରଦ୍ଧାନ୍ତିରିବୁ  
ସାମତାର୍କାନ୍ତିରିବୁ କ୍ଷେତ୍ରବ୍ରଦ୍ଧାନ୍ତିରିବୁ ଗାନ୍ଦିଶାଖିଲ୍ଲିବ୍ରଦ୍ଧାନ୍ତିରିବୁ  
ଗାନ୍ଧିନ୍ଦା ବୈର ମିଳାଶର୍କର, ବୈଦର୍ଜ ମିଳିଲିତ୍ତରୀ  
ନ୍ତିରିବୁ. ମିଳା ମିଳିଶାଙ୍ଗର୍କାନ୍ତିରିବୁ ଶେଷଦ୍ଵାରା ମେଲାଗ୍ରାନ୍ତିରିବୁ  
ନିଜିପାଇସ୍ତାନ୍ତିରିବୁ ପରାକ୍ରିପାଶା ଏକ ଅଥ ଦାନ୍ତରିଗ୍ରିଲା.

სცლილებები ჩანათლების სისტემაზი  
პროექტი: 2008 წლი  
მინისტრი: გია ლომაძე



- პედაგოგებისთვის ამოქმედდა უფასო სამედიკონ დაზღვევა. 85 ათასი მასწავლებლის ჯანმრთელობის დაზღვევაზე ზოგადი დაუკეტიდან ერთი წლის განმავლობაში 12 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.
- 500-მდე საუკეთესო პედაგოგს რვა-თვიანი ვადით დაენიშნა 200-ლარიანი სტიკერი.
- სააკადემიის ინიციატივით შემოილეს მოსწავლეთა ოქროს და ვერცხლის მედლების სისტემა, როთაც საბჭოთა პერიოდში არსებული შეფასების სისტემის ტრადიცია გაგრძელდა.
- პირველად, ეროვნული უმცირესობებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდა ზოგად უნარებში მათვის მშობლიურ ენებზე ჩატარდა.
- შეიქმნა პროფესია „ცოდნის კარ“ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტთა დაფინანსებაში დასახმარებლად.

პროექტი: 2008 – 2009 წლები  
მინისტრი: გია გვარაშვილი



- სამურავეო საბჭოებს ერთ-ერთ წევრად განათლების სამინისტროს წარმომადგენერალი დაემატა თათბირის მოწვევის უფლებით, ამით სკოლების ავტონომიას საფრთხე დაემუქრდა.
- 2008 წლის 14 ივნისს ჩატარდა სამურავეო საბჭოების არჩევნები საჯარო სკოლებში.
- ერთიან ეროვნულ გამოცდებს მეოთხე სავალდებულო გამოცდა დაემატა.
- ეროვნულ უმცირესობებს ერთან ეროვნულ გამოცდებში ქართულის გამოცდა მოუხსნეს. მათ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება მხოლოდ საკუთარ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტით შეუძლიათ.
- უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად ეროვნულ უმცირესობებისთვის დაწესდა კვოტები.
- შეიქმნა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია და სამხლიანი სამოქმედო გეგმა.
- პირველად რეფორმის განმავლობაში ჩატარდა საერთო სამაგისტრო გამოცდები. გამოცდის ფარგლებში, უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებმა ერთან ტესტირება გაიარეს.

ტურიენტების ნიშნები მათთვის პრიორიტეტულ საგნებმი. შაშვინის გეგმების მიხედვით, 2011 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრას აბიტურიენტები მხოლოდ სასკოლო, და არა ერთიანი ეროვნული გამოცდებით შეძლებენ.

ზუსტად იგივე ინიციატივა ზუსტად იმავე თარიღით შპკინამდე საზოგადოებას პრეზიდენტმა სააკადემიმა წარუდგინა. 6 ნოემბერს ილია სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე სააკადემიმა განაცხადა, რომ სკოლის დამთავრება ავტომატური აღარ უნდა იყოს. „რაღაც ფორმით“ სკოლის გამოსაშვები გამოცდის დაბრუნებასაც აპირებენ. ამაზე ლაპარკი უნდა დავინუყოთ ახლა, რადან შეიძლება ორ წელიწადში უმაღლესში ჩაბარება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ ვინ როგორ სწავლობს მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე კლასში.

პირადად შპკინის იდეებიდან კი ყველაზე ორიგინალური იყო სკოლების „პრეზიდიზაციის“ იდეა. ესეც სკოლის როლის გაძლიერებასა და მათ შორის კონკურენციის გაზრდას უკავშირდება. მინისტრი გეგმას, ყოველწლიურად გამოავლინონ დედაქალაქისა და რიონების საუკეთესო სკოლება. შპკინი არ გამორიცხავს, რომ შეფასება დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭოს ანდა აუდიტორულ კომპანიას დაეკისროს. ის აცხადებს, რომ ამ გზით სკოლებს მუდმივად ეწენებათ განვითარების სურვილი და სიახლეებისკენ სწრაფა. თუმცა, ჯერჯერობით ამ ინიციატივის დეტალური გაანალიზება შეუძლებელია, რადგან ჯერ კიდევ უცნობია, თუნდაც როგორი შეფასების სისტემას შემოიღებს სამინისტრო, ანდა როგორ დარეგულირდება ამ სკოლებში შესვლის მსურველ მოსწავლეთა რაოდენობა.

შპკინის განათლების სფეროში არა-ნაირი გამოცდილება არ აქვს, თუმცა თავის დიდ პლუსად მართვის ხანგრძლივ გამოცდილებას მიზნებს. რევოლუციის შემდეგ განათლების ყოფილი მინისტრებიდან ამ სფეროში გამოცდილებით მხოლოდ ორი მათგანი – მათი მიმინოშვილი და გია ნოდია გამოირჩეონენ. თუმცა, მინისტრების მოღვაწეობის შედეგებს უფრო მათი მუშაობის ხანგრძლივობის გადები განსაზღვრავდა, ვიდრე გამოცდილება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეფორმის შეფარხებას მინისტრების სწრაფმა ცვლამაც შეუწყო ხელი. ბოლო ხუთ წელიწადში გამოცდილი მინისტრები თუ ეფექტურად ვერ ატა-

რებდნენ ცვლილებებს, ეს იმის ბრალიცა, რომ მათ მომავალი წლის პიუვეუტი უკვე დაგეგმილი ხვდებოდათ. სამინისტროს ბიუჯეტი დეკემბერში მტკიცდება, მინისტრების უმრავლესობა კი წლის შუაში იწყებდა საქმიანობას.

გია ნოდია იხსენებს, რომ როცა მისი გამინისტრების შემდეგ არჩევნებმა ჩაარა, ომი დამთავრდა და, როგორც განათლების მინისტრს, სტრატეგიის გაგრძელების გარკვეული ხედვა ჩამოყალიბდა, იგი სხვა მინისტრით ჩაანაცვლეს. მთავრობაში ჩათვალეს, რომ განათლებაში ახალი ხედვა იყო საჭირო. ამის პოტენციალი გვარამიაში დაინახეს, რომლის მინისტრობის პერიოდშიც სისტემა კიდევ უფრო ხისტი და პოლიტიზებული გახდა.

რეფორმის ავტორი კახა ლომაია ამბობს, რომ ამ ეტაპზე, ანუ რეფორმის დაწყებიდან 5 წლის შემდეგ, სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს სისტემის საკანძო ელემენტების შეფასება და მის საფუძველზე ახალი ხედვების ჩამოყალიბება. „მხოლოდ უწყვეტი განახლება, რომელიც საბაზისო ლირებულებს ეფუძნება, აძლევს მოქალაქეს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ეფექტს“, – აცხადებს ლომაია. მისი აზრით, მოკლევადიან პერსპექტივაში ახალი მინისტრის მთავარი პრიორიტეტი საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლთა გადამზადება უნდა გახდეს.

ერთადერთი მინისტრი, რომელსაც ხელისუფლებისგან მხარდაჭერა ჰქონდა და არა ზეგავლენა, ლომაია იყო. პროფესორ სიმონ ჯანაშვილის თქმით, ლომაია, ხალხის უკავიყოფილების მიუხედავად, მთავრობის მხარდაჭერით რეფორმებს თავდაჯერებულად ატარებდა, ახლა კი მინისტრები ადამიანებს არჩმუნებენ, რომ მათი რეფორმები სწორედ საზოგადოების აზრის გათვალისწინებით ტარდება, რაც ლომაიას მიზანი არასდროს ყოფილა.

შპკინის სპეციალისტები გამოცდილებაც აქვს და რამდენიმე სწორი და საჭირო პრიორიტეტიც. თუმცა, მას ერთ-ერთ ყველაზე რთული სამინისტროს ხელმძღვანელობა არჩევნების წინ ჩაბარებს. ამიტომ ახალ მინისტრს გულწრფელადაც რომ სურდეს რეფორმის პრიორიტეტის აღდევენა, შესაძლოა, მისთვის ეს უფრო რთული აღდრება, ვიდრე გამოცდილება. მინისტრების აღდევენაში უკავშირდება არა უმცირესობის უნარის გამოცდილების შეფარხებას მინისტრების სწრაფმა ცვლამაც შეუწყო ხელი. ბოლო ხუთ წელიწადში გამოცდილი მინისტრები თუ ეფექტურად ვერ ატა-

კონფერენციის კლიმატის ცვლილების კონფერენცია

## „14 დღე, რომელის შემთხვევაც ისტორია ჩვენ თაობას შეაფასებს“

ეს საერთო სარედაქციო წერილი 9 დეკემბერს მსოფლიოს 45 ქვეყანაში 56-მა გაზეთმა გამოაქვეყნა, რისთვისაც წერილი 20 ენაზე ითარგმნა. წერილის დაბეჭდვა მსოფლიო მედიის მხრიდან იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, ერთი ხმით მიემართათ მკითხველისთვის და ერთი და იგივე სარედაქციო წერილი დაებეჭდათ. ეს გაკეთდა იმ მნიშვნელოვანი საერთო საფრთხის გამო, რომლის წინაშეც მთელი კაცობრიობა დგას.

თარგმანი: თამარ ბაბუაძე



ვიდრე არ გავერთიანდებით გადა-  
მცვეტი მოქმედებისთვის, კლიმატის  
ცვლილება ჩვენს პლანეტას გაანად-  
გურებს, მასთან ერთად კი ბოლო მო-  
ედება ჩვენს კეთილდღეობასა და უსა-  
ფრთხოების განცდასაც. უკვე მთელი

თაობაა, საფრთხე დღითი დღე გარ-  
დაუვალი ხდება. ამაზე მეტყველებს  
ფაქტებიც: ბოლო 11 წლიწადი ყვე-  
ლაზე თბილი იყო. არქტიკის ყინულის  
საფარი დნება და შარშან ნავთობსა  
და საკვებზე კატასტროფულად მომა-

ტებული ფასებიც სიღატაკის პროგნო-  
ზირებისთვის დამატებითი წინაპირო-  
ბა ხდება. სამეცნიერო უკრნალებში  
ახლა უკვე იმაზე კი აღარ დავობენ,  
არის თუ არა ამ ყველაფერში ადამია-  
ნი დამნაშავე, არამედ მსჯელობენ,

რამდენი დრო გვრჩება ზიანის შესაჩერებლად. მიუხედავად ამისა, დღემდე მსოფლიო შესაძლო საფრთხეზე ყოველთვის ცალყბად და სანახევრო გულგრილობით რეაგირებდა.

კონიმატის ცვლილება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარებდა, მის შედეგებს კი მოვიმკით მომავალში, კარგა ხნის მანძილზე. რა შეგვიძლია გავაკეთოთ დღეს ამის შესაჩერებლად, სწორედ ამ 14 დღეში გამოჩნდება. ჩვენ მოვუწოდებთ კოპენჰაგენში შეერებილ 192 ქვეყნის წარმომადგენელს, დრო არ დახარჯონ ყოყმანსა და დავაზე, ურთიერთბრალდებებზე, არამედ ისარგებლონ მომენტით, და რაღაც შედეგი მაინც მიიღონ ახლა პოლიტიკის უდიდესი მარცხისგან. ეს არ უნდა იყოს ბრძოლა მდიდარ და ღარიბ სამყაროებს შორის, ანდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. კონიმატის ცვლილება მოქმედებს ყველაზე და მის გადაჭრაზეც ყველამ უნდა იზრუნოს.

მეცნიერება კომპლექსურ ანალიზს გვთავაზობს, მაგრამ ფაქტები ხომ უფრო მარტივად აღსაქმელია. მსოფლიომ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა შეამციროს ტემპერატურის მატება 2 ცელსიუსმდე. ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, გამონაბილების ზრდა მსოფლიოს მასშტაბით დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს და მომდევნო 5-10 წელიწადში კლებაც დაიწყოს. თუკი არაფერს მოვიმოქმედებთ, ტემპერატურა, ყველაზე პრატიკული გათვლებით, 3-4 გრადუსით მაინც გაიზრდება, ეს კი გააუდაბნებს ნაყოფიერ სახნავ მინებს, გაახრიოკებს კონტინენტებს. გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან სხვადასხვა ბიოლოგიური სახეობები, მილიონობით ადამიანს მოუწეს საცხოვრებელი ადგილიდან აყრა, ადიდებული წყლები გაანადგურებს მთელ ერებს.

მხოლოდ ერთეულებს თუ სჯერათ, რომ კოპენჰაგენში კიდევ შეძლებენ

სრულყოფილი ხელშეკრულების გაფორმებას; ამის იმედს მხოლოდ პრეზიდენტი ობამას თეთრ სახლში მოსვლა და წლების განმავლობაში ფესვგადგმული ამერიკული ობსტრუქციონისტული პოლიტიკის შემობრუნება იძლევა. ახლაც კი მსოფლიო ამერიკის საშინაო პოლიტიკის წყალობაზეა დამოკიდებული და ეს იმიტომ, რომ პრეზიდენტი კოპენჰაგენის პროცესში ბოლომდე ვერ ჩაერთვება, ვიდრე კონგრესიც იმავეს არ იზამს.

თუმცა, კოპენჰაგენში შეერებილი პოლიტიკოსები უნდა შეთანხმდნენ იმ ძირითად, არსებით ელემენტებზე, რაც სამართლიანი და ეფექტური შეთანხმების გასაფორმებლადაა საჭირო. და, რაც უმნიშვნელოვანესია, უნდა შეთანხმდნენ მტკიცედ განერილ გრაფიკზე, რომელიც შეთანხმებას ხელშეკრულებად გადააქცევს. 2010 წლის ივნისში ბონში დაგემოლი კლიმატის შესახებ გაერო-ს შეხვედრა მათვეის საბოლოო ვადა უნდა იყოს. როგორც მოლაპარაკებების ერთ-ერთმა მონაცილემ თქვა: „შეგვიძლია დამატებითი დრო როგორლაც გამოვნახოთ, მაგრამ ყველაფრის ხელახლა დაწყების ფუფუნება აღარ გვაქვს“.

შეთანხმების უმთავრესი ელემენტი უნდა იყოს პოზიციების გარკვევა მდიდარ და განვითარებად მსოფლიოს შორის, თუ ვინ როგორ ჩაერთვება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში და როგორ გავინაწილებთ ახალ ძირფას რესურსს: ტრილიონ ტონამდე ნახშირორჟანგს, რომლის გამოყოფაც შეგვიძლია, ვიდრე მერკური არ მიაღწევდეს სახიფათო დონეს.

მდიდარი ქვეყნები ხშირად აპელირებენ ხელმე არითმეტიკული ჭეშმარიტებით, რომ გამოსავალს ვერ ვიპოვთ, ვიდრე განვითარებადი გიგანტი ქვეყნები, როგორიცაა მაგალითად ჩინეთი, უფრო რადიკალურ ზომებს არ მიიღებენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. თუმცა, ფაქტია, რომ სწორედ მდიდარი სამყაროა პასუხისმგებელი ატმოსფეროში დაგროვებული ნახშირორჟანგის უდიდეს ნაწილზე, უფრო ზუსტად კი – 1850 წლის შემდეგ გამოყოფილი ნახშირორჟანგის სამ მეოთხედზე. ამიტომ მდიდარმა ქვეყნებმა ახლა წამყვანი პოზიცია უნდა დაიკავონ. პარალელურად კი, თითოეულმა განვითარებადმა ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ნახშირორჟანგის

**■ ვიდრე არ  
გავერთიანდებით  
გადამწყვეტი  
მოქმედებისთვის,  
კლიმატის ცვლილება  
ჩვენს პლანეტას  
გაანადგურებს,  
მასთან ერთად კი  
ბოლო მოეღება ჩვენს  
კეთილდღეობასა  
და უსაფრთხოების  
განცდასაც.**



გამოყოფა 1990 წლის მაჩვენებელზე კიდევ უფრო მეტად შეამციროს.

განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ პრობლემის დიდი წილი მათ არ გამოუწვევიათ, ასე-ვე შეუძლიათ, აღნიშნონ, რომ მსოფლიოს ყველაზე ღატაკ რეგიონებს ყველაზე მეტი საფრთხე შეექმნებათ. თუმცა, გლობალურ დათბობას ისინი ეტაპობრივად მაინც შეუწყობენ ხელს, ამიტომ აუცილებლად უნდა დადონ პირობა, რომ თვითონაც გადადგამენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ გაამართლა იმედები, მსოფლიოს ყველაზე დიდი დამაბინძურებლების – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის შეთანხმება, რომ დაიწყებენ გამონაბოლების შემცირებას, აშკარად სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო.

სოციალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ ინდუსტრიულმა მსოფლიომ კარგად მოიჩრიებოს ჯიბები და დაეხმაროს ლარიბ ქვეყნებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, უზრუნველყოს ისინი სუფთა ტექნოლოგიებით, რაც ამ ქვეყნებს ეკონომიკურ ზრდის საშუალებას გამონაბოლების მომატების გარეშე მისცემს. უნდა დაიდოს მომავალი ხელშეკრულების ჩრდილი ც – აგრესიული მრავალმხრივი მონიტორინგით, სამართლიანად გადანაწილებული თანხებით ტყის საფარის დასაცავად და სანდო შეფასებით „ექსპორტირებული გამონაბოლების“ შესახებ – ეს უკანასკნელი ჰუნეტი საშუალებას მოგცემს, ტვირთი უფრო სამართლიანად გადანაწილდეს იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ანარმოებენ გამონაბოლების მქონე პროდუქციას და რომლებიც მოიხმარენ მათ. სამართლიანობა მოითხოვს იმასაც, რომ თითოეულ განვითარებულ ქვეყნაზე დაკისრებული ტვირთი ლოგიკურად გადანაწილდეს – მაგალითად, ევროკავშირის ახალი წევრები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, „ძველ ევროპელებზე“ უფრო ღარიბები არიან, თავიანთ მდიდარ პატიორებზე მეტად არ დაზარალდნენ.

ტრანსფორმაციის პროცესი ხარჯიანი იქნება, მაგრამ გაცილებით უფრო ძვირი დაგვიჯდება ის შედეგები, რასაც უქმად ჯდომით მოვიკით.

ბევრ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, ცხოვრების სტილის შეცვლა მოუწევს. დრო, როცა

თვითმფრინავით მგზავრობა ხშირად აერობორტამდე ტაქსით მისვლაზე იაფი გვიჯდებოდა, დასრულდება. საყიდლებზე სიარულიც, კვებაც და მოგზაურობაც უფრო გონიერულად მოგვიწევს. მოგვიწევს, უფრო მეტი გადავისაბოთ ჩვენ მიერ დახარჯულ ენერგიაში და უფრო შეზღუდულად ვხარჯოთ ის.

თუმცა, ეს ცვლილება გულისხმობს იმის პერსპექტივასაც, რომ გაჩნდება უფრო მეტი შესაძლებლობები, ვიდრე მსსვერპლშენირვა და კომპრომისია. ზოგმა ქვეყანამ უკვე გაიაზრა, რომ ეს ცვლილება მოიტანს ზრდას, მეტ სამუშაო ადგილს და უკეთესა ხარისხის საცხოვრებელ პირობებს. კაპიტალის გადანაწილების მხრივაც ცვლილებები: მაგალითად, შარშან პირველად ჩაიდო უფრო მეტი ინვესტიცია განახლებადი ენერგიის წყაროებში, ვიდრე წილისულ საწავში.

გაბედულად რომ შევუტიოთ ჩვენ „კაბონ“ ჩვეულებას მომავალი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საჭიროა სათანადო ინიციერია და ინოვაციები დავგეგმოთ. შუღლისა და კონკურენციის გამო, ადამიანი მთვარეზე გაფრინდა, ატომი კი დაიშალა, ხოლო იმისთვის, რომ დედამიწა გადარჩეს, მსოფლიომ ერთობლივი ძალისხმევით უნდა დაიწყოს ნახშირორუანგის შემცირებაზე ზრუნვა.

კლიმატის ცვლილების დაძლევით იმედი უიმედობას დაამარცხებს, შორის მატკრეტელობა – ახლომხედველობას. საბოლოოდ კი გაიმარჯვებს ის, რასაც აძრაამ ლინკოლნ „ადამიანური ბუნების სიკერელეს“ უნიდებდა.

სწორედ ამ მოტივაციით გაერთიანდა ამ სარედაქციო წერილის გარშემო 56 გაზითი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. თუ ჩვენ – განსხვავებული ეროვნებისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, შევძლით შეთანხმება, რასაკვირველია, ეს ჩვენ ლიდერებსაც შეუძლიათ.

კოპენჰაენში შევრებილ პოლიტიკოსებს აქვთ ბერკეტი, თვითონ განსაზღვრონ, როგორ შეაფასებს ისტორია ჩვენ თაობას. შეფასება კი დაახლოებით ასეთი შეძლება იყოს: ერთმა თვალი გაუსწორა გამოწვევას და წინ ალუდგა საფრთხეს, მეორე ისეთი ბრიყვი აღმოჩნდა, ხედავდა მომავალ უბედურებას, მაგრამ არაფერი გააკეთა მის შესაჩირებლად ჩვენ ერთხმად ვთხოვთ ლიდერებს, დაუყოვნებლივ მიღინონ სწორი გადაწყვეტილება. ■

## კლიმატის ცვლილება

### უიმედობა

### კოპენჰაენი

გლობალური დათბობის

შესაჩირებლად გეგმა კვლავ არ არსებობს.

### თემო ბარძიმაშვილი



Let's turn Copenhagen into Copenhagen – ვაქციოთ კოპენჰაენი „იმედპაგნად“ – რამდენიმე თვის წინ ასეთი მოწოდებით დაიწყო ერთ-ერთი ინტერნეტ-კაბპანია, რომლის მიზანიც კოპენჰაენში 7-18 დეკემბერს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მხარდაჭერის გაზრდა იყო. თუმცა, მსაგასი კამპანიები ქვეყნებს შორის გლობალურ დათბობაზე ერთიანი აზრის მისაღწევად საკმარისი არ აღმიჩნდა.

2009 წლის 7 დეკემბერს კოპენჰაენში გაერო-ს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის (UNFCCC) მე-15 კონფერენციაზე 192 ქვეყნის ნარმომადგენლები ჩავიდნენ. მათ უნდა გადაწყვეტით, როგორ შეეჩერებინათ კლიმატის ცვლილება 2012 წლის შემდეგ. კოტოს იქმის მიხედვით, სწორედ 2012-სთვის ბევრმა განვითარებულმა ქვეყნამ აიღო დაბულებულება, შეამციროს სათბურის აირების გამონაბოლების მქონე ბერკეტი. თვითონ კი კოტოს ოქმის მიხედვით, სწორედ 2012-სთვის ბევრმა განვითარებულმა ქვეყნამ აიღო დაბულებულება, შეამციროს სათბურის აირების გამონაბოლების მქონე ბერკეტი. კოტოს მიზანიც კი კოპენჰაენში შევრებილ პოლიტიკოსებს აქვთ ბერკეტი, თვითონ განსაზღვრონ, როგორ შეაფასებს ისტორია ჩვენ თაობას. შეფასება კი დაახლოებით ასეთი შეძლება იყოს: ერთმა თვალი გაუსწორა გამოწვევას და წინ ალუდგა საფრთხეს, მეორე ისეთი ბრიყვი აღმოჩნდა, ხედავდა მომავალ უბედურებას, მაგრამ არაფერი გააკეთა მის შესაჩირებლად ჩვენ ერთხმად ვთხოვთ ლიდერებს, დაუყოვნებლივ მიღინონ სწორი გადაწყვეტილება. ■

**გამოიცერათ შურნალი  
„ლიბერალი“  
და მიიღეთ იგი  
გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე თქმებასთავს)  
თქვენთვის სასურველ  
მისამართზე**



## ციბის აკადემია

6 წლის (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 წლის (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 წლის (1 თვე) 70 ლარი

შურნალის გამოსაცერად  
დაგვიპავშირებით ფელეფონებზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვაცნელეთ თქვენი საკონტაქტო  
ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ნებს არ ევალებათ გამონაბოლქვის შემცირება, ვიდრე განვითარებული ქვეყნები მათ შესაბამის დახმარებას არ გაუწევენ.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე განვითარება ქვეყნების მიერ ემისიების შემცირება ნებაყოფლობითი იყო, გასულ კონფერენციაზე დავა „დანართგარეშე“ ქვეყნების მიერ გამონაბოლქვის შემცირების აუცილებლობის ირგვლივ გაიმართა. მდიდარი ქვეყნები უკავიათ გამოთქვამდებარება, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ჩინეთი და ინდოეთი, მათი სტატუსის გამო, გამონაბოლქვის შემცირება არ ევალებათ. ეს ქვეყნები არც ერთ დანართში არ შედის, თუმცა მათი წელილი საერთო გამონაბოლქვში საგრძნობა. თავის მხრივ, განვითარებადი, ძირითადად კი აფრიკის ქვეყნები, უკავიათ გამოთქვამდებარება იმის გამო, რომ განვითარებული ქვეყნები მათ ხარჯზე ცდილობენ გლობალურ დათბობასთან ბრძოლას და ამით კიოტოს ოქმის „მოკვლას“.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ თავმჯდომარის, მანანა ქოჩლაძის თქმით, სათბური გაზებს ემისიების შემცირება, დიდი ხანა, პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად იქცა. „ეს არის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ორთაბრძოლის არენა: რამდენად კიდევ უფრო განვითარდება ერთი და რამდენად განუვითარებელი დარჩება მეორე“.

ამ დაპირისპირების ფონზე საქართველო საქამაოდ თავშეეკებულია. კოპენჰაეგენი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩაიტანა ვალდებულებათა სის, რომელიც მოიცავს ტყეების გადარჩენას, სათბური გაზების ნაკლებ გამოყიფი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის სისტემის შემუშავებას და თანხების მოზიდვას ადგილობრივ დონეზე მავნე ემისიების შემცირებისთვის.

თუმცა, ეს ვალდებულებები საკმაოდ ზოგადად არის ჩამოყალიბებული. დოკუმენტში არ არის დაკონკრეტული, თუ რა რაოდენობით ვარაუდობს საქართველო სათბური გაზების გამოყოფის შემცირებას, და რა მექანიზმებითა და თანმიმდევრობით პირებს ყველა ჩამოთვლილი ვალდებულების მიღწევას. ფაქტობრივად, საქართველო არ აპირებს თავის თავზე იმაზე მეტი ვალდებულებების აღებას, რაც ეს აქ-

მდე კიოტოს ოქმით იყო გათვალისწინებული.

გარემოს დაცვის სამინისტროს პი-დრომეტეოლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს უფროსი, გრიგოლ ლაზრიევი მიიჩნევს, რომ საქართველომ არც უნდა აიღოს თავის თავზე ახალი ვალდებულებები. „ჩვენ ახლა რომ მივუთითოთ, რომ ვაპირებთ, ვთქვათ, 25%-ით ემისიებს შემცირებას [1990 წელთან შედარებით], მაშინ ავტომატურად ოქმის დანართ 2-ში მოვცვდებით, და ამ დანართის მიხედვით მოგვინებს მერე განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების გადახდა“. მისი თქმით, ეს ვალდებულება ისედაც არის შესრულებული, რადგან საქართველოში, 1990 წელთან შედარებით, ინდუსტრიასთან ერთად გამონაბოლქვიც მნიშვნელოვნად შემცირდა. ახლა დამატებითი ვალდებულებები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუძლის ხელს.

არასამთავრობოები ამ მოსაზრებას მხოლოდ ნანილობრივ იზიარებენ. მანანა ქოჩლაძე ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეალურად საქართველოში ემისიების რაოდენობა მნირია და მისი შემცირება არ არის საჭირო, ამის ქაღალდზე დაფიქსირება სსვა ქვეყნების დასანახად მაინც სასურველი იქნებოდა. „ევროკავშირი დაინახავდა, რომ ჩვენ მართლაც ცდილობოთ საერთო საქმეში ჩვენი წელილის შეტანას“.

კონფერენცია გარკვეული შედეგით დასრულდა. შეერთებულმა შტატებმა გამოთქვა მზადყოფნა, განვითარებად ქვეყნებს 100 მილიარდი დოლარის დახმარება გამოყოფს, ხოლო ჩინეთი დათანხმდა, მისი ემისიები საერთოშორისო მონიტორინგმა აკონტროლობს. მიუხედავად ამისა, კოპენჰაეგენში მიღწეულ შეთანხმებებს უფრო განზრახვების სახე აქვთ, ვიდრე კონკრეტული გეგმის.

შეთანხმება მხოლოდ ზოგადად მოისენიებს მსოფლიოში საშუალო ტემპერატურის ზრდის შეჩერებას და 2050 წლისთვის ემისიების განახევრებას. კონკრეტული ნაბიჯები, როგორიცაა ერთი წლის განმავლობაში საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავება, საბოლოო ვერსიიდან ამოღებული იყო.


ჩნდება ეჭვი, თუ რამდენად მზად არიან განვითარებული ქვეყნები, გადადგან რეალური ნაბიჯები გლობალური დათბობის შესაჩერებლად. საბოლოოდ ეკონომიკური სარგებლის გარემოს დაცვაზე მაღლა დაყენება შეიძლება ისევ ამ ქვეყნებს დაუჯდეს ძეირად. **ც**

ახალი ტექნოლოგიები

# ინტერნეტ-ომი

პროვაიდერებს შორის გაუთავებელი დავა ინტერნეტის ხარისხს ვწეს, მომხმარებელს კი ხელს უშლის ტექნოლოგიური ნოვაციებით ისარგებლოს.

ნათია ახალაშვილი



მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ინტერნეტ-მომხმარებელთა რიცხვი, წინა წლებთან შედარებით, წელს კიდევ უფრო გაიზარდა, ეს მაჩვენებელი მაინც დაპალია. 2005 წელს საქართველოში 200 ათასზე მეტი ინტერნეტ-მომხმარებელი იყო, 2007 წელს – ორნახევარჯერ მეტი, 2008-ში 903 ათასი აბონენტი სარგებლობდა ინტერნეტით. 2009 წლის ბოლოსთვის კი ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, მილიონს ასცდება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, თბილისის ინტერნეტ ბაზარზე „კავკასუს ონლაინი“ ლიდერობს 53,6 პროცენტით, მეორე მსხვილი პროვაიდერი „გაერთიანებული ტელეკომია“ – 36,7%; შემდეგია „ახტელი“ – 5,3%, მას მოსდევს „ახალი ქსელები“ – 3,3%, და დანარჩენი 8 პროვაიდერის წილები 0,01-დან 0,4 პროცენტამდე მერყეობს.

**■ პროვაიდერების მთავარი პრობლემა სერვისის ხარისხის არასტაბილურობაა. იმის ნაცვლად, რომ ამ ბაზარზე მოქმედმა კომპანიებმა ერთობლივად განავითარონ ეს სფერო, კონკურენტები ერთმანეთს არაჯანსაღი და არაცივილიზებული მეთოდებით ებრძვიან.**

პაზრის მოთავაზვები

საქართველოში მომხმარებელი ორი სახის სადენიან ინტერნეტს იღებს – ე.ნ. DSL ტექნოლოგიით (სპილენძის სატელეფონო ხაზით მიწოდებული ინტერნეტი) და ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხებით. თბილისისა და რუსთავში ინტერნეტ-

ბაზრის ლიდერი „კავკასუს ონლაინია“, დანარჩენ რეგიონებში კი „გაერთიანებული ტელეკომი“. რეგიონებში საკმაოდ ძვრი აპონენტი ჰყავს „ეგრისსაც“, რომელიც რამდენიმე კომპანიას აერთიანებს, მათ შორის – „ახალ ქსელებს“, „ახტელს“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კომპანიას“. ბათუმისა და ქობულეთის ძირითადი პროვაიდერი „აჭარის ელექტროკავშირია“.

„გაერთიანებული ტელეკომის“ პოპულარობა რეგიონებში მის მემკვიდრეობას უკავშირდება. „ტელეკომი“ იმ ნაციონალური სატელეფონო ოპერატორის მემკვიდრეა, რომელიც საქართველოში 1893 წლიდან არსებობდა. შემდეგ გაიყიდა და, ამ გარიგების სანაცვლოდ, დღევანდველ „ტელეკომს“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ძირითადი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ერგო მემკვიდრეობით (ატს-ები, მინისქემა საკომუნიკაციო ქსელები და ა.შ.). DSL ტექნოლოგიის ინტერნეტი „ტელეკომბა“ 2007 წლიდან შესთავაზა თავის აბონენტებს.

„კავკასუს ონლაინი“ სხვადასხვა დროს რამდენიმე პროვაიდერის („კავკასუს ნეტორქი“, „ჯორჯია ონლაინი“, „სანეტი“, „დელტანეტი“, „ტელენეტი“) გაერთიანების შედეგად შეიქმნა. კომპანია ორი სახის სადენიან ინტერნეტს სთავაზობს მომხმარებელს – DSL ტექნოლოგიის და ოპტიკურ-ბოჭკოვანს.

კომპანიას საკუთარი დამოუკიდებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემა აქვს – „ჯელინკი“. მათსავე საკუთრებაშია შავ ზღვაში ჩადებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი 1400-კილომეტრანი მაგისტრალი ვარნა-ცოთი, რომლის მეშვეობითაც ქართველი ინტერნეტ-მომხმარებელი ევროპულ ინტერნეტს იღებენ. მაგისტრალის გამტარუნარიანობა წამში 1,3 ტერაბიტია, რაც 100-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველო მოხმარს. „ვარნა-ფოთის პროექტის განხორციელებამდე საქართველო



## რეგიონში ინტერნეტ-მომხარევ-ბლობის რაოდენობა

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და სააგენტოსა (AED) კვლევის მიხედვით, რომელიც 2009 წელს ზაფხულში გამოქვეყნდა, ინტერნეტს საქართველოში მოსახლეობის 8,9 პროცენტი იყენებს, სომხეთში – 5,8%, აზერბაიჯანში – 12,7%, ირანში – 34,9%, თურქეთში კი – 36,9%. წარმოდგენილი მაჩვენებლისაგან განსხვავდება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემები, რომლის თანახმადაც, ინტერნეტის მომხმარეველთა რიცხვმა 2008 წელს ვე გადააჭარბა 903 ათასს. თუ ამ ციფრს დავეყრდნობით, გამოდის, რომ ინტერნეტს მოსახლეობის 21 პროცენტი მოიმსარს. ინტერნეტ მომსახურება უფრო მეტად საჭართველოს დიდ ქალაქებშია განვითარებული.

თარი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია და მუდმივად სხვაზეა დამოკიდებული, თბილისის მომხმარებელი არაერთხელ დარჩენილა თვეზე მეტ ხანს ინტერნეტის გარეშე.

## ინტერნეტ-ომები

პირველი პრობლემები ორ მსხვილ პროგრამული შორის ვარნა-ფოთის მაგისტრალის ამოქმედებამდე გაჩნდა. 2008 წელს „ტელეკომს“ ინტერნეტ მომსახურება ჯერ ახალი დაწყებული ჰქონდა და აბონენტებიც ცოტა ჰყავდა. „კავკასუსი“ კი მანამდე ბაზრის 78 პროცენტს აკონტროლებდა. მომხმარებელი პირველად შარშან შემოდგომაზე გახდა მასტრაბური არაჯანსაღი კონკურენციის მსხვერპლი. „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ „კავკასუს“ ჯერ 3 მილიონი ლარის გადახდა მოსთხოვა, მერე კი ამის გამო კომპანიის DSL სისტემის მომხმარებლები გათიშა. შემდეგ საქმეში მერიის ზედამხედველობის სამსახურიც ჩაერთო, რომელმაც ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში „კელინკის“ ქსელის დემონტაჟი სულ რამდენიმე დღეში მოახერხა და თბილისებრები კიდევ ერთხელ დარჩინდა. ზედამხედველობის სამსახურმა ამის

მიზეზად თბილისის სხვადასხვა უბნი-დან შეკრებილი მოქალაქეთა ჯგუფის საჩივარი დაასახელა, რომლითაც ისინი ინტერნეტ-პროგრამერის მიერ საცხოვრებელ კორპუსებში „ჯელინკის“ ქსელის უკანონი დამონტაჟებას პროტესტებდნენ. მოქალაქეთა ინტერესებს ერთ-ერთი იურიდიული კომპანიაც კი იცავდა. ზედამხედველობის სამსახურმა მათი საჩივარი სრულად დაკმაყოფილა, ოპერატორის დაინყო ქსელის დემონტაჟი და რამდენიმე დღეში 1000-მდე საცხოვრებელი კორპუსი „ჯელინკის“ გარეშე დატოვა.

ამ დროს გააქტიურდა „გაერთიანებული ტელეკომი“. კომპანიის წარმომადგენლები სახლში ურკავდნენ აპონენტებს და თავიანთ ინტერნეტზე გადასვლას სთავაზობდნენ. იგივე შეთავაზება ოპერატორი მისულ მაყურებელს სკამზეც ხვდებოდა.

„კავკასუს ონლაინში“ აცხადებენ, რომ მაშინაც ბევრი აბონენტი დაკარგეს და წელსაც. „ქუჩებსა და სადარბაზოებში უამრავი სადენია გამოყიდებული, რატომ შეანუხა მოსახლეობა მაინცდამანც „ჯელინკის“ კაბელებმა, გაურკვეველია. როდესაც დავამტკიცეთ, რომ ამ კაბელების სადარბაზოებში განთავსების უფლება გვკონდა, ზედამხედველობის სამსახურმა ახალი

რუსეთსა და თურქეთზე იყო დამოკიდებული. სწორედ ეს ქვეყნები აკონტროლებდნენ ჩევრონ რეგიონს კავშირგაბმულობის სფეროში. ორივე ქვეყანა ფასებზეც შეთანხმებული იყო, საკმაოდ ძვირის გვახდევინებდა და ინფორმაციის დინებასაც აკონტროლებდა“, – ამბობს კომპანიის დირექტორი და 75%-იანი წილის მეპატრონე, მამია სანადირაძე.

„კავკასუს“ უკვე დაწყებული აქვს ინტერნეტის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი). მამია სანადირაძე ფიქრობს, რომ საქართველოს შეუძლია ინფორმაციული „გეითვე“ გახდეს, რადგან ახლა საქართველოს გავლით ევროპასთან მიერთების შესაძლებლობა მთელ კავკასიას, შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთსაც აქვს.

„კავკასუს ონლაინი“, ერთი მხრივ, საკუთარი ბაზრის გაფართოებაზე ფიქრობს, მეორე მხრივ კი, ბოლომდევრ უმკლავდება პრობლემებს შიდა ბაზარზე. იმის გამო, რომ „კავკასუს“ DSL ტექნოლოგიისთვის საჭირო საკუ-

## ფასები და გავრცელების ზონა

ინტერნეტის ფასი საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე იაფია. 1 მგბ/წნ სიჩქარის ინტერნეტის ყოველთვიური ფასი ჩევრანი მინიმუმ 10 დოლარია.

სომხეთში იგივე სიჩქარის ინტერნეტის მინიმუმი 80 აშშ დოლარი ღირს, აზერბაიჯანში – 40, თურქეთში კი – 28. საქართველოში 1 თვის უწყვეტი ინტერნეტის საფასური 10 დოლარიდან კი ინყება, მაგრამ ძვირანი პაკეტებია, რომლებიც მომხმარებელს 1-დან 5 მგბ/წნ-მდე სიჩქარეს

სთავაზობენ. მართალია, კასულ წელთან შედარებით, ახლა ქვეყნის უფრო მეტ რაობის საფასური 10 ლარის, ყველაზე სწრაფი ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა მიერთება, მაგრამ კაბელებიც არ არის მაგალით, თავიანთ შედარებით, ახლა ქვეყნის უფრო მეტ რაობის საფასური 10 ლარის, ყველაზე სწრაფი ინტერნეტით სარგებლობა, მაგრამ კაბელებიც არ არის მასშტაბური.



20 მგბ/წამში. თუმცა ასეთი მომსახურება შესაბამისად საკმაოდ ძირიც ღირს – 120 ლარი. ამიტომ ყველაზე გავრცელებული უფრო იაფა პაკეტებია, რომლებიც მომხმარებელს 1-დან 5 მგბ/წნ-მდე სიჩქარეს

სთავაზობენ. მართალია, კასულ წელთან შედარებით, ახლა ქვეყნის უფრო მეტ რაობის საფასური 10 ლარის, ყველაზე სწრაფი ინტერნეტით სარგებლობა, მაგრამ კაბელებიც არ არის მასშტაბური.

დაფარული. თუმცა, ბევრი ისეთ რაიონში, სადაც სადენიანი ინტერნეტი არ არის, 2008 წლიდან „მაგარიფის“ აპონენტებს უსადენი ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. მსგავს სერვისს „ჯეოსელი“ უფრო ადრე სთავაზობდა მომხმარებლებს, მაგრამ ეს პროდუქტი, არასათანად დაფარულოვანი ზონისა და ტექნიკური ხარვეზების გამო, პოპულარული ვერგახდა. საქართველოში მომხმარებელებს უსადენი ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. მსგავს სერვისს „ჯეოსელი“ უფრო ადრე სთავაზობდა მომხმარებლებს, მაგრამ ეს პროდუქტი, არასათანად დაფარულოვანი ზონისა და ტექნიკური ხარვეზების გამო, პოპულარული ვერგახდა. საქართველოში მომხმარებელებს უსადენი ინტერნეტის კიდევ რამდენიმე კომპანია სთავაზობს („აი-მაქსი“, „მაქსიმალი“, „სერვისლაინი“), თუმცა, არც მათი დაფარული იყო მაშტაბური.

მოთხოვნები დაგვიწესა. საპოლოოდ შევთანხმდით, რომ ჩვენ კაბელებს მინისქვეშა ინფრასტრუქტურაში ჩავდებდით, იმას კი, რაც სადარბაზოებში უკვე გვქონდა გაყვანილი, აღარ შეეხებოდნენ“.

თუმცა, მინისქვეშა საკომუნიკაციო არხების მფლობელები თბილისში „გაერთიანებული ტელეკომი“, „ახალი ქსელები“ და „ახტელი“ არიან. მათ კი კონკურენტ კომპანიას ოპტიკურ-ბოჭკვივანი ქსელის გასაყვანად თავიანთი ინფრასტრუქტურის გამოყენების ნება არ მისცეს. ამიტომ იყო, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში „ჯელინკის“ ქსელის გაფართოება შეუძლებელი გახდა.

„კავკასუსის“ DSL სისტემის მომხმარებელი 10 ათასი თბილისელი წელს ოქტომბერში კიდევ ერთხელ დარჩა უინტერნეტოდ. მიზეზი ისევ „გაერთიანებული ტელეკომის“ სანქცია იყო. „ტელეკომმა“ დენის წყარო გაუთიშა საკუთარ ატს-ებში განთავსებულ „კავკასუსის“ DSL სისტემის აპარატურას და ამის მიზეზად ხელშეკრულების ვადის ამონტურვა და დაგროვებული ვალი დაასახელა.

პარალელურად, დაიწყო ვანდალიზმის ფაქტები „ჯელინკის“ ქსელზეც. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „კავკასუსის“ თანამშრომელთა თანდასწრებით რამდენიმე ადამიანი დააკავეს ჩაჭრილ სადენებთან, ჯერჯერობით ეს საქმეები გაუსწოლია. ის ადამიანები კი იმავე დღეს გაათავისუფლეს. „კავკასუსის“ მესვეურებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯაროდ მიმართეს და დაცვა სოხოვეს. ამის შემდეგ ვანდალიზმის ფაქტები შეწყდა, მაგრამ დაახლოებით 10 დღის წინ ახალი მეთოდებით დაიწყეს კომპანიის ოპტიკურ-ბოჭკვივან ინფრასტრუქტურის განადგურება. აქამდე თუ სადარბაზოებში მხოლოდ ერთ ძირითად სადენს ჭრიდნენ, ახლა უკვე ინდივიდუალური კაბელების ჩაჭრაც დაიწყეს. ასეთი შემთხვევები თითქმის ყოველდღე ხდება.

ნოემბრის დასაწყისში „კავკასუსა“ და „ტელეკომს“ შორის მორიგი ზავი გაფორმდა. კომპანიებმა ხელი მოხვერეს 3 ხელშეკრულებას, რომელიც კაბელების, წესით, მათი ურთიერთობა უნდა დარეგულიროს. თუმცა, იმის დასაჯერებლად, რომ ეს შეთანხმებაც არ გაიზიარებს წინა, იმავე ოდენობისა და შინარსის „ჩაგარდნილი“ შეთანხმებების ბედს, მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს. როგორც „გაერთიანებულ ტელეკომში“

ამბობენ, კომპანიის მენეჯმენტი შეიცვალა.

საბოლოო ჯამში ამ გაუთავებელი გაურკვევლობებით ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლები და ბაზარი ზიან-დება. „კავკასუსში“ ამბობენ, რომ სანგრძლივი დროით ათი ათასი აბონენტის გათიშვა და ინფრასტრუქტურის დაზიანება, კომპანიას სერიოზულ ზარალს აყენებს და სარისხის გაუმჯობესებასა და სფეროს სხვა მხრივ განვითარებას ხელს უმლის. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, აბონენტები ამდენი წყვეტით იმდენად დაიღალნენ, რომ ურჩევნიათ, უარესი ხარისხის ინტერნეტი ჰქონდეთ სხვა პროვაიდერებისგან, ოღონდ უწყვეტად.

„ყველა პროვაიდერის მთავარი პრობლემა სერვისის ხარისხის არასტაბილურობაა. იმის ნაცვლად, რომ ამ ბაზარზე მოქმედმა კომპანიებმა ერთობლივად განავითარონ ეს სფერო, კონკურენტები ერთმანეთს არაჯანსალი და არაცივილიზებული მეთოდებით ეპრძევან. ეს ბრძოლა „ტელეკომმა“ წამოიწყო. მისი შედეგები კი საბოლოოდ მომხმარებელზე უარყოფითად აისახება“, – ამბობს ვებ-დეველოპერი და „ომედის სტუდიის“ დირექტორი, ნოდარ დავითური.

ქართველი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ პროვაიდერთა გაუთავებელი დავების მიუხედავად, სფერო მაინც ვითარდება. ამას ხელს ის უწყობს, რომ ახალი ტექნოლოგიის ტესტირება პატარა ქვეყნებში უფრო სწრაფი და იოლია. „ამიტომ ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიღებთ ტექნოლოგიურ სიახლეებს. დაახლოებით 5 წლის წინ რომ ეთქვა ვინმეს, – ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი ამდენ აპონენტს ექნებაო, – ძნელი დასაჯერებელი იყო“, – აცხადებს დავითური და დასძენს, რომ საქართველოში ინტერნეტის მთავარ პრობლემად კვლავ ხარისხი რჩება.

პროვაიდერების დავები, წესით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უნდა დაარეგულიროს და მომხმარებელი სწორედ მათი ჩარევის შედეგად აღარ უნდა დაზარალდეს. თუმცა ეს დავა, უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება, კომისიამ კი, მოუხედავად იმისა, რომ რეგულარულად განიხილავს დაპირისებული პროვაიდერების საქმეებს, ერთხელაც ვერ მოახერხა დავის ისე გადაჭრა, რომ საქართველოში ინტერნეტის განვითარება გაგრძელდეს და არც მომხმარებელი დაზარალდეს. **ც.**

## ინტერნეტის ისტორია საქართველოში

ინტერნეტის განვითარების პირველი ეტაპი საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისი დაწყებული პროექტებით გველა პროვაიდერს რუსეთთან ჰქონდა კავშირი. ინტერნეტის პიონერი საქართველოში კომპანია „ხეთა“ ([www.kheta.ge](http://www.kheta.ge)) და „გუდევილკომი“ იყვნენ. სააბონენტო გადასახადი თვეში 300 აშშ დოლარი იყო, ხოლო ინტერნეტის ერთი საათით მოხმარების საფასური – 3 დოლარი. შემდეგ გამოჩნდა „სანეტი“, „კავკასუს ნეოვორქი“ და, კონკურენციის გამო, ფასებმაც იკლო. სააბონენტო 20 აშშ დოლარი გახდა, სარგებლობა კი საათში – 2 დოლარი. პროვაიდერები თანამგზავრულ და საკაბელო შეღწევას იყენებდნენ. გადაცემის სიჩქარე პირდაპირ არხში შეადგენდა 64 კბ/ს/ზმ ფარგლებში, რაც დღევანდელი გადასახედიდან მაჩვენდებელია.

შემდეგ ეტაპზე ქვეყანაში პოტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალების ქსელი გაჩნდა: ტრანსაზიანერობის ქსელი, საქართველოს რკინიგზის მიერ სარკინიგზზო ხაზის გასწვრივ დამონტაჟულული ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალები, რადიოსარელეო ხაზი თურქეთის რესპუბლიკასთან და ა.შ. ამ ყველაფრის მეშვეობით საქართველოს შესაძლებლობა მიეცა, ევროპულ ინტერნეტს მიერთებოდა. ინტერნეტი გამოჩნდა ქვეწის სხვა ქალაქებშიც: ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ა.შ. 2003 წლის აგვისტოდან თბილისში აბონენტებისათვის დაიწყო ADSL ტექნოლოგიების ჩართვა. ამ ეტაპზე მომხმარებლებს ამ ტექნოლოგიას 10-ზე მეტი ინტერნეტის მთავარ პრობლემად კვლავ ხარისხი რჩება. ამ ტერიტორიაზე კომისიამ უნდა დაარეგულიროს და მომხმარებელი სწორედ მათი ჩარევის შედეგად დავა, უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება, კომისიამ კი, მოუხედავად იმისა, რომ რეგულარულად განიხილავს დაპირისებული პროვაიდერების საქმეებს, ერთხელაც ვერ მოახერხა დავის ისე გადაჭრა, რომ საქართველოში ინტერნეტის განვითარება გაგრძელდეს და არც მომხმარებელი დაზარალდეს. სამართლებრივი გადასახედიდან მაჩვენდა 64 კბ/ს/ზმ ფარგლებშიც: ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ა.შ. 2003 წლის აგვისტოდან თბილისში აბონენტებისათვის დაიწყო ADSL ტექნოლოგიების ჩართვა. ამ ტერიტორიაზე კომისიამ უნდა დაარეგულიროს და მომხმარებელი სწორების შემცირდა, სიჩქარე კი შედარებით გაიზარდა. იმ დროს პროვაიდერების 80% მაინც თანამგზავრულ არხებს იყენებდა.

ჯადობვა

# „ზოვანს გამოლია“ ლარჩენილები

სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას სახელმწიფო ზედაპირული მიდგომით ცდილობს, რის გამოც ინვალიდობის მქონე ბავშვების ნაწილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობას ართმევს.

## ეკა ჭითანავა

13 წლის ინგა ავალიშვილი ფერადი ფანქრებით ნაძვის ხესა და ფიფქებს ხატავს. იგი ერთ-ერთია იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთაგან, რომლებიც დროის დიდ ნაწილს დღის ცენტრში ატარებენ.

ინგას დედა ამავე ცენტრში მზარეულად მუშაობს. თუმცა სწორედ ამ სამსახურის გამო, შესაძლებელია, მან სილარიბის ზღვარს მიღმა მყოფის სტატუსი, მისმა შვილმა კი, დღის ცენტრში სიარულის შესაძლებლობა დაკარგოს.

შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს ახალი გადაწყვეტილებით, იანვრიდან დღის ცენტრებში მხოლოდ სილარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვებს მიღებენ. თუმცა, მათი რიცხვი 700-ს არ უნდა აღმატებოდეს, რადგან სახელმწიფოს მეტი დაფინანსების საშუალება არ აქვს. გამოდის, რომ საქართველოს მასშტაბით აღრიცხული შვილი ათასი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის უმრავლესობას აღარ ექნება შანსი, იმ უნარ-ჩვევების სწავლა შეძლოს, რომლებიც საზოგადოებაში ჩართვისთვისა საჭირო.

საქართველოში სულ ოცდარვა დღის ცენტრია. ცვლილება ყველა მათგანს შეეხება. ამის შესახებ სამინისტრომ ცენტრების ხელმძღვანელებს მხოლოდ ათი დღით ადრე შეატყობინა და მრავალი თხოვნის მიუხედავად, გადაწყვეტილებას არ ცვლის.

ახალი სისტემის მიხედვით, ის, ვინც სილარიბის სტატუსის დასადგენად საჭირო 100 000 ქულაზე ნაკლებს მოაგროვებს, გადასახადს დღის ცენტრში სრულად აუნაზღაურებენ. ასი ათასი-დან ას ოც ათასამდე ქულის მქონე ბავშვები სამოცდაათპროცენტიან თანადაფინანსებას მიღებენ, დანარჩენებს კი, ვისაც სილარიბის ზღვარს მიღმა მყოფის სტატუსი არ ექნება, ყოველ-თვიურად 220 ლარის გადახდა მოუწე-



დღის ცენტრი, თბილისი, 18 დეკემბერი 2009

**„თუ ეს ბავშვები უკან, სახლებში დაპრუნდებიან, ის, რასაც აქამდე წვალებით მივალნიეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვაშენეთ, ერთი ხელისმოსმით დაინგრევა“.**

„თუკი ასე უნდა ყოფილიყო, ნეტა სულ არ მიმეყვანა“, – ამბობს დედა, ნანა ძაბიხაძე.

„ზოგი ბავშვი, რომელიც ცენტრში დადის, გარეთ საერთოდ პირველად გავიდა, ცენტრი მათთვის უკვდავების წყალიღითაა. ამ გარემოს თუ მოვწყვეტ, ეს მათთვის დიდი ტრავმა იქნება“, – აცხადებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანიკას“ ერთერთი პედაგოგი ეკა ამბოკაძე.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის გია კაკაჩიას თქმით, დღის ცენტრებზე გამოყოფილი თანხა შეზღუდულია, მსურველი კი – ბევრი, ამიტომ მომსახურებას უფასოდ მიიღებს ის, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს.

ცენტრების ხელმძღვანელები კი მიიჩნევენ, რომ ეს ზღვარი მეტისმეტად მყიფეა იმისთვის, რომ ზუსტად

განისაზღვროს, ვის ერგება სახელმწიფოს დამარცხა და ვის – არა. ზოგიერთმა მშობელმა, რომელიც აქამდე ვერ მუშაობდა, მას შემდეგ, რაც ბავშვი დღის ცენტრში მიიყვანა, სამსახურიც იპოვა და ეკონომიკური მდგომარეობაც შედარებით გაუზღვდეს.

„მაგრამ თუ ვინმეტ მაცივარი ან ტელევიზორი შეიძინა, ეს არ ნიშნავს, რომ მდიდარია“, – ამბობს „ანიკას“ დირექტორი ირინა ინასარიძე, რომლის 18 წლის ცერებრული დამბლის მქონე ბავშვიც შეიძლება დღის ცენტრის გარეთ დარჩეს.

ინვალიდთა ლიგის პრეზიდენტი გიორგი ძელაძე სახელმწიფოს გამოსავლის მოქების აღმტერნატიულ გზას სთავაზობს:

„დარჩენ ისინი, ვინც არიან დღის ცენტრებში, დავამატოთ 100-მდე ადგილი და მიღება გამოვაცხადოთ მხოლოდ მათთვის, ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმაა, ვნახოთ, დადგება რიგი? მგონი, ჯერ ცდა საჭირო და არა ერთი ხელის მოსმით ხალხის გაყრა დღის ცენტრებიდან“, – აცხადებს ძელაძე.

დღის ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის არა მარტო გართობის, არამედ რეაბილიტაციის საშუალებაცაა.

„მშობელთა ხიდი“ ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც 33-მდე სხვადასხვა გონიერი თუ ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოზარდს უნარებს უვითარებენ მათი შესაძლებლობების მიხედვით. არტ-თერაპია მკურნალობის განუყოფელი ნაწილია – ბავშვები მღერიან, ძერნავენ, უკრავენ და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში თავისებურად გამოხატავენ ემოციებს. ლობიოს ლებნებით, გოგრის მარცვლებითა და მზესუმზირებით გაკეთებული სურათები შემდეგ გამოფენებზეც გააქვთ.

„თუ ეს ბავშვები უკან, სახლებში დაბრუნდებიან, ის, რასაც აქამდე წვალებით მივალნეთ და ნაპიჯნაბიჯ ვაშენეთ, ერთი ხელისმოსმით დაინგრევა“, – ამბობს „მშობელთა ხიდის“ ექიმი-პედიატრი, თამრიკო ჯანელიძე.

თუმცა, სახელმწიფო დღის ცენტრების ახალი პრინციპით დაკომპლექტების გადაწყვეტილება უკვე მიიღო და, დირექტორებისა და ინვალიდობის მქონე ადამიანთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მის შეცვლას არ აპირებს. **[**

## პარალელური გენერაცია

# სამოქალაქო გენერაციის გარეშე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ხელისუფლება მომავალი წლიდან იმ პირობების გაუმჯობესებას ჰქილდება, რომლის კონტურებიც კერჯერობით არ ჩანს.

## ეკა ჭითანავა

2009 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ განიხილა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამსლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, სხვა საკითხებთან ერთად, ამ ადამიანებისთვის სტატუსის მინიჭების წესი უნდა შეიცვალოს.

ამ წესის მიხედვით, ადამიანის ინვალიდობა არა მისი დაავადების, არამედ ფუნქციური დარღვევებისა და მრომისუნარიანობის მიხედვით განისაზღვრება.

ცვლილება შეიძლება გახდეს პირველი მნიშვნელოვანი გარღვევა საკანონმდებლო სივრცეში, რადგან აქამდე თითქმის არც ერთ სამთავრობო ინციდენტის ინვალიდობის მქონე ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

მაგალითად, პირველ ასეთ ცვლილებას 2007 წელს ათასობით ადამიანის უკამყოფილება მოჰყვა. მაშინ ჯანდაცვის სამინისტრომ იმ ადამიანთა რაოდენობის შესამცირებლად, ვისთვისაც ფულადი კომპენსაცია უნდა გადახეადა, სიიდან ამოღლო ზოგიერთი დაავადება, მათ შორის – დიაბეტი. იმავე წელს ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფების ნაცვლად, შემოღეს მკეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული კატეგორიები, და კიდევ ერთი – „უმნიშვნელოდ გამოხატული“, რომელიც ფულად დახმარებას საერთოდ გამორიცხავდა.

ნაჩერევი ინციდენტი, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უამრავ ადამიანს საარსებო წყარო მოუსპო, სამინისტრომ ნაჩერევადვე, 2008 წელს „გამოასწორა“. მასობრივი უკამყოფილების თავიდნ არიდების მიზნით, დაავადებების ნაწილი სიაში სასწრაფოდ დააბრუნებული და ინვალიდობის მქონე ადამიანთა წარმომაც შევებით ამოისუნთქა. თუმცა სიის მიღმა დარჩა ზოგიერთი დაავადება, მაგალითად, პერსონოლოგიური ამოილებები. ამ დროს ადამიანები სოციუმში ადაპტაციას ვერ ახერხებენ.



კორუფციასთან ბრძოლის მიზეზით, სტატუსის მიმიჭებელი სოციალური ექსპერტიზის ბიუროები გაუქმდა. დაავადების დიაგნოსტირება და, შესაბამისად, ინვალიდობის სტატუსის განსაზღვრაც პოლიკლინიკის ექიმებს დაევალათ. ექსპერტიზის ბიუროები, ინვალიდობის სტატუსის მიმიჭების ფასად, მართლაც ქრთამით სულდგმულობდნენ. თუმცა, ცვლილების შემდეგ კორუფცია კი არ მიისპო, არამედ მან ერთი სისტემიდან მეორეში გადაინაცვლა.

„პარალელური სიტუაცია შეიქმნა, – აცხადებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის იურისტი სანდრო დარახველიძე, – ექმი პაციენტს მკურნალობს, რომ იგი თავს კარგად გრძნობდეს, პაციენტი კი მკურნალობაზე უარს ამბობს იმისათვის, რომ დაავადების მწვავე ფორმა დაუდასტურდეს“. დარახველიძის თქმით, ცვლილებებმა ისეთი ქაოსი გამოიწვია,

**გამოიცერათ ჟურნალი  
„ლიბერალი“  
და მიიღოთ იგი  
გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე ოთხშეპათს)  
თქვენთვის სასურველ  
მისამართზე**



6 წლის (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 წლის (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 წლის (1 თვე) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაცერად  
დაგვიკავშირდით ფეისებრებზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვაცილეთ თქვენი საკონტაქტო  
ინფორმაცია  
ელ-ფოსტი: info@liberali.ge

რომ დაპწეული ადამიანები დახმარების მისალებად სახალხო დამცველის ოფისსაც კი აკითხავდნენ.

მიღებული სტანდარტების მიხედვით, მკურნალ უქმდს ინვალიდობის სტატუსის დადგენა არ უნდა ევალებოდეს.

„ექიმმა უნდა უკურნალოს და სამედიცინო სოციალურმა ექსპერტმა კი ექსპერტიზა ჩატაროს. ეს ორი რამ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს“, – აცხადებენ ფსიქიატრები.

სამწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო ცონტრების დაარსებაც, თუმცა, სამეცნიერო-სოციალური ექსპერტიზის დარგის მცოდნე ექიმები საქართველოში მხოლოდ ერთეულებია.

ჯერვერობით არც ის არის დაზუსტებული, თუ როგორ და როდიდნა აპრებს სახელმწიფო ინვალიდობის სტატუსის განსაზღვრას მისი შრომისუნარიანობის მიხედვით ისე, როგორც ეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია. იქ ინვალიდობის სტატუსის მინიჭებისას „აისიერით“, ანუ ფუნქციათა საერთაშორისო კლასიფიკაციით (International Classification of Functioning, ICF) ხელმძღვანელობენ. ევროპაში „აისიერით“ ცხოვრების წესია. იგი არა მარტო ინვალიდობის მქონე ადამიანთა საჭიროებების განსაზღვრავს, არამედ თითოეული მიქალაქის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს ინდივიდუალურად ადგენს.

ჩვენთან კი, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ადამიანთა რაოდენობაც კი არაა ზუსტად დათვლილი, მათი საჭიროებები და უნარები არასადროს შესწავლილა. 140 000-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს საქართველოში უპრალოდ „ბრეფიციარს“ უწოდებენ, რადგან სტატისტიკის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი პენსიის მიმღებთა რაოდენობასა და სხვა არაფერი.

„ბოთლის რომ შევდავთ, შევიძლიათ თქვათ, რომ ის ან ნახევრად ცარიელია, ან ნახევრად საცავე. ჩვენ უნდა ვიღაპარაკოთ იმაზე, თუ რა შესაძლებლობები აქვს ადამიანს, რომელთა განვითარებაც შეიძლება, და არა – პირიქით! „აისიერით“ სწორედ ამას გულისხმობს“, – ამბობს „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრიბისათვეს“ გამგეობის თავმჯდომარე გორგი ძელაძე.

ამჟამად არსებული სისტემა კი თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებსაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. მკეთრად გამოხატული დაავადების მქონე პირებს პენსიის სახით 75 დოლარს აძლევენ, „მნიშვნე-

ლოგნად გამოხატულ“ კატეგორიას – 65 ლარს, სხვები კი სულაც პენსიის გარეშე რჩებიან.

56 წლის მანანა გარუჩავა ფულად დახმარებას იმის გამო ვერ იღებს, რომ შიზოფრენიის მხოლოდ მსუბუქი ფორმა აქვს. არადა, ეს დახმარება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ნივთიერებათა ცვლის დარღვევაც ანუხებს და მკურნალობის ხარჯებს დამოუკიდებლად ვერ ფარავს.

დავადებაზე საუბრისას მანანა ფორიაქს ინყებს: „წამლებს რეგულარულად ვიღებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კარგად ვარ. მწვავე ფორმა არ მაქვს, რადგან ჩემი შეიოლი აკონტროლებს, რომ ყოველი აბითავის დროზე დავლიო“.

ადამიანთა უფლებების დამცველები ამშობენ, რომ ინვალიდობისთვის პენსია დამატებილებიც კა. „ფულად დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს სახელმწიფო აძლევს იმიტომ, რომ განვითარებისათვის თანაბარ გარემოს ვერ უქმნის“, – აცხადებს „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მენეჯერი რატი იონათამიშვილი.

გამოდის, რომ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებზეც ექსპერტები საუბრობენ, შედეგს ვერ გამოიდებს, თუ ამ ადამიანებს საკუთარი შეალიზაციისთვის საჭირო პირობებს ვერ შესთავმებებს.

სახელმწიფო პროგრამები არა დაფინანსებაზე, არამედ ამ ადამიანთა დასაქმებაზე უნდა იყოს ორიგინტებული, რადგან პენსია „ნარკოტიკია“, რომელიც მათ უმოქმედობას აჩვევს. ინვალიდობის მქონე ადამიანს საკუთარი შემოსავალი უნდა პქანდეს, რომ სახელმწიფოს მიერ გაღებულ შემწეობას არ ელოდოს.

ამჟამად არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმებას ხელს შეუწყობდა. ამ მხრივ, საქველმოქმედო ინიციატივას მხოლოდ ცალკეული კომპანიები იჩენენ.

სამწლიანი გეგმის ამოქმედებამდე სახელმწიფო ფიზიკური გარემოს ადაპტაციაზეც უარს ამბობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებრივი ტრანსპორტით დღემდე ვერ სარგებლობებს. სახელმწიფო კი, რომელიც აქამდე მხოლოდ დაპირებების მიცემით იყო დაკავებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის სრულყოფილი გარემოს შექმნას „გრძელვადიან“ გეგმას უწოდებს და კონკრეტული ნაბიჯები ვერ არ გადაუდგამს.

# ცოტა რამ საქართველოს შესახებ

ინტერვიუ რეჟისორ  
ნინო კირთაძესთან

ჩემი ამოცანა იყო, მეჩვენებინა, რა დიდი უბედურება დაემართა პატარა ქვეყანას, რომელსაც ამავე დროს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა აქვს.

ნინო, როდის და როგორ დაიბადა დღიუმენტური ფილმის „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“ გადაღების იდეა?

ძალიან უწავაური ისტორია აქვს ამ ფილმს. მოლაპარაკებები 2007 წელს დავიწყე, პირველი გადაღება კი 2008-ში, ახალ წელს, კოდორის ხეობაში გვქონდა. პროექტს „ჯორჯია“ ერქვა.

მაშინ საქართველოში ბევრი რაღაც იცვლებოდა, დიდი ენერგეტიკული მუხტი არსებობდა. იყვნენ ქმაყოფილები და „უკავყოფილოები. დრამატულად საინტერესო იყო საპრეზიდენტო არჩევნები. არავინ იცოდა, ვინ მოიგებდა. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როცა ზუსტად არ ვიცოდით, რა მოხდებოდა არჩევნების შემდეგ.

მე ჩავთვალე, რომ შეიძლებოდა საინტერესო ფილმი გამოსულიყო იმაზე, თუ როგორ შენდება პოსტ-საბჭოთა სივრცეში ახალი ქვეყანა თავისი შეცდომებთ, ნელ-ნელა როგორ ყალიბდება დემოკრატია. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, გვევრნა, რომ რადგან ეს სისტემა აღარ იარსებდა, ყველაფერი ზღაპრულად იქნებოდა. მერე მივხვდით, რას ნიშნავს თავისუფლება და დამოუკიდებლობა თანამედროვე სამყაროში. ამ ყველაფერის მოყოლა ძალიან საინტერესოდ შეიძლებოდა საქართველოს მაგალითზე.

**რა გახდა ფილმის მთავარი იდეის ცვლილების მიზეზი?**

ომი. ამ ფილმის ისტორიას თავისი უწავაური დრამატურგია პერნდა: ცხოვრებასავით იყო, მუდმივ ტრანსფორმაციაში. ომის პირველივე დღეებში ჩამოვედი, შეუძლებელი იყო ჯვეუფის ჩამოყვანა და მე თვითონ ვიღებდი, რაც არასდროს მომხდარა მანამდე, რადგან გადაღება არ ვიცი. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, მერე ეს ყველაფერი გაქრებოდა.



© საქართველოს ფილმის ფესტივალი

**■ როცა ვიწყებდით ფილმის გადაღებას, არ მეგონა, რომ მექნებოდა შესაძლებლობა, პრეზიდენტი ადამიანური კუთხით მეჩვენებინა. მე ვფიქრობ, რომ მისი ასეთი კუთხით ჩვენება საკმაოდ მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ქართველი მაყურებლისთვისაც კი.**

ერთ-ერთ კადრში, როდესაც პრეზიდენტი მანქანიდან დაბომბილ გორს უყურებს, თვალზე ცრემლი ადგება. რამდენად დამაჯერებელია ეს სცენა, რამდენად ბუნებრივია პრეზიდენტი, რომელმაც იცის, რომ მის წინ ჩართული კამერაა?

ეს ჩემი ბრალია. როდესაც დანგრეულ გორში ჩავედით, ვკითხე: რას

გრძნობთ როგორც ქვეყნის პრეზიდენტი? აქედან დაიწყო ყველაფერი.

მე ცრემლი მხოლოდ მონტაჟის დროს შევამჩნიე. იმიტომ, რომ გადაღებისას არ მიმიქცევია ყურადღება მისითვის, თუ რა მოსდის პრეზიდენტს. ასე მოხვდა ეს კადრი ფილმში. მიყვარს, როცა ადამიანი ჩიტად არის და ობსერვაციული კადრია, მაგრამ ცრემლი პრეზიდენტის სახეზე მოგვიანებით აღმოვაჩინეთ.

ვისთვის არის ეს ფილმი გათვლილი? და არის თუ არა მათ შორის ქართველი მაყურებელიც, რომელმაც კარგად იცის, რა ხდება მისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

„ცოტა რამ საქართველოს შესახებ“ პირველ რიგში ევროპელებისთვის გადავიდე. ეს არ არის ქართული შიდაპოლიტიკური ცხოვრების ანალიზი და არასდროს ყოფილა ასეთად ჩაფიქრებული. მინდოდა მათ, ვინც არ არის ქართველი, ეგრძნო, რამდენად დამანგრეველი იყო ეს ხუთდღიანი

ომი, წარმოედგინა, რა მოხდა სინამდგოლები. ჩემი ამოცანა იყო, მეჩვენებინა, რა დიდი უძედურება დაემართა პატარა ქვეყანას, რომელსაც ამავე დროს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა აქვს. როცა საერთაშორისო საზოგადოება ერთვება ხოლმე რაიმე კონფლიქტში, საქართველოა ეს, ბალკანით თუ ჩეჩენით, მერე მარტივად ეთიშება, და იქ რა ხდება, აღარავის აინტერესების. ეს ჩართვა უფრო და უფრო „ფეშნ შოუს“ ჰგავს, ვიდრე რაღაცის გამოსწორების მცდელობას.

ვინ აღარ ჩამოვიდა იმ დღეებში საქართველოში. როგორც ბერძნულ თეატრში – დღისით, საღამოს, შუადღეს, სცენაზე ერთი და იგივე განცხადებები ისმოდა; რომ ის, რაც ხდება, დაუშვებელია, რუსები უნდა გავიდნენ, მაგრამ არავინ არსაფ წასული.

როცა საქართველომ ცხადად თქვა, რომ პროევროპული ქვეყანაა, მის ამ სწრაფვას მთელი საერთაშორისო საზოგადოება აგულინებდა. როდესაც ამას მოჰყვა ის, რაც მოჰყვა, მაშინ დაიწყო ევროპამ იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთს საბჭოთა კავშირი დაუნეგრით, გაღიზიანებულია და მოდით, მეტად ნულარ გავარაზებთო.

ფილმი მთავრდება კითხვით: დადებს თუ არა ევროპა და ამერიკა სასწრაზე თავის უსაფრთხოებას და რუსეთან ურთიერთობას, ძალიან პატარა საქართველოს გამო. მინდოდა, რომ ფილმში ეს კითხვა საკმაოდ მწვავედ დასმულიყო. მე მხოლოდ ამის გაკეთება შემეძლო. არ მქონია ილუზია, რომ ეს ფილმი პოლიტიკურ რეალობას შეცვლიდა.

განსაკუთრებით მიყვარს ის სცენა, სადაც სოფელ ნიქოში ევროპულ დამკვირვებლებს ადგილობრივი მოსახლეობა ესაუბრება. რასაც ადგილობრივი ჰყებიან, დამკვირვებლებს არ ესმით. ზუსტად ასეა – ევროპას ვერ წარმოუდგენია, რა შეიძლება მოხდეს, ვიდრე ეს არ მომზდარა, მერე კი ძალიან გვიან არის ხოლმე.

**პრემიერის შემდეგ მაყურებლთა ნაწილმა ფილმში სახელი შეუცვალა და „ცოტა რამ მიშას შესახებ“ დაარქვა.**

ეს არ მიკვირს. ვიცი, რომ საქართველოში რაღაც ნაწილს ალერგია აქვს ამ ადამიანზე. ეკრაზე მისი დანახვა ალბათ გაღიზიანებას იწვევს. ეს მე თავიდანვე ვიცოდი. ისე, მართალი რომ ვთქვათ, ფილმში ოპოზიციაც

საკმაოდ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება მიშას, ფილმში ის არ ჩანს იმ ადამიანად, რომელიც თავის დალაგებულ „სფიქტებს“ ისე ისვრის, როგორც ჭეშმარტებას. მე ასეთ რაღაცებს ვერ ვხედავ. მე ვფექტოს, რომ მისი ასეთი კუთხით ჩვენება საკმაოდ მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ქართველი მაყურებლისთვისაც კი. როცა ვინყებდით ფილმის გადაღებას, არ მეგონა, რომ მექნებოდა შესაძლებლობა, პრეზიდენტი ადამიანური კუთხით მეჩვენებინა.

**ასეთი კრიტიკა იმის გამო ხომ არ გაჩნდა, რომ მთავარი გმირი მოქმედი პოლიტიკოსია? გიფიქტიათ თუ არა იმაზე, რომ ამის გამო ფილმი შეიძლება პიარად და პროპაგანდად ქცეულიყო?**

ვიღაცას თუ უნდა პიარის დანახვა, დაინახოს, მაგრამ მე აქ ამას ვერ ვხედავ. ეს არც პროპაგანდაა. ის, რაც გადავიღოთ, აბსოლუტურად ნატურალურია. გადაღებების დროს ჩვენი არსებობა იქ თითოების არ იგრძნობოდა. თითქოს უჩინარები ვიყავით. მე პირადად გადაღების პროცესში მინიმალურად ვერეოდი. ვისაც ამის დანახვა უნდა, დაინახავს, თუ ვინმეს უნდა, რომ სხვა რამე დაინახოს, ესეც მისი ნებაა.

**როგორ დაითანხმეთ პრეზიდენტი?**

ადამიანი ადამიანს ენდობა და ამ დროს ალბათ ალექსი მუშაობს. ან ინყება რაღაც თამაში, ნინასარი მომზადება, ასეთ დროს ჯობს, ფილმი საერთოდ არ გადაიღო. ეს რისკი დოკუმენტური კინოს გადაღებისას ყოველთვის არსებობს. როცა ავტესენი, რისი გადაღება მინდოდა, დამთანხმდა. თუმცა, რაღაცები გამოვიდა, რაღაცები – არა.

**მიხეილ სააკაშვილი არ არის პირველი პრეზიდენტი, ვისთანაც თქვენ იმუშავეთ. დაახლოებით ათი წლის წინ ფილმი გადაიღეთ ედუარდ შევარდნაძეზეც, მისი პრეზიდენტობის პერიოდში. რა პარალელ გაავლებდით ამ ფილმებსა და მათ მთავარ გმირებს შორის?**

ფილმს ყოფილი პრეზიდენტის შესახებ ჰქვია „ედუარდ შევარდნაძის სამი ცხოვრება“ და ეხება ადამიანს, რომელიც სამ სხვადასხვა რეუიმს ემსახურებოდა. ამ ფილმში პირველ პლანზე ადამიანი და მისი ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის მთელ მანძილზე. თვითონ შევარდნაძემ ძალიან

კარგად იცოდა, რომ ეს ჩემი პირველი ფილმი იყო და კაცმა არ იცოდა, რა გამოვიდოდა.

შევარდნაძეს აფხაზეთის ომის შემდეგ ვიღებდით, მაშინ, როცა საქართველოში უამრავი ლტოლვოლი გაჩნდა, როცა რუსული თვითმჯრინავები გვპომბავდნენ, მაგრამ საერთაშორისო რეაცია ამაზე იყო ნული. მიუხედავად უველავრისა, შევარდნაძე ცდილობდა, ურთიერთობა მოეგვარებინა რუსეთთანაც და დასავლეთთანაც.

მიშას პერიოდი ჰგავს იმ პერიოდს, იმიტომ რომ საომარი მოქმედებები ახალი დამთავრებულია. მიუხედავად ბევრი დაპირებისა, საერთაშორისო საზოგადოება იმდენად დაბწეულია, რომ მაინც არანარი კონკრეტული გეგმა არ აქვს რუსეთან ურთიერთობის ასაწყობად. ამიტომ საბოლოოდ ჩვენ ისევ ჩვენს უბედურებას ვართ შეტოვებულები.

ძირითადი სხვაობა კი ისაა, რომ ეს ორი პრეზიდენტი ეკუთვნის სხვადასხვა თაობას: შევარდნაძე იყო უფრო ფრთხილი და საბოლოოდ ამ სიფრთხილეს საყვედურობდნენ, მიშა უფრო სწრაფია და ჩქარა უნდა, რომ წინ წავიდეს და მას ამ სისწრაფეს საყვედურობენ.

**რით განასხვავებთ „ზოგი რამ საქართველოს შესახებ“ სხვა ნამუშევრებისგან?**

ეს საემაოდ პოლიტიკური ფილმია. ეს იყო თხრობის ახალი მანერა ჩემთვის. მეორე მხრივ, საკმაოდ რთული ამოცანა მქონდა: ფილმის სათქმელი გააგებინო მაგალითად იაპონელს, რომელმაც თითქმის არაფერი იცის საქართველოს შესახებ.

**როდის შეფასებს ფილმს ევროპელი მაყურებელი?**

ალბათ იანვრის დასაწყისში. შემდეგი ეტაპი ფესტივალები. მინდა, რომ რაც შეიძლება მეტ ფილმის გადაღების არაფერი იცის კი პრეზიდენტის შესახებ.

**მომავალში რის გადაღებას გეგმავთ?**

ვფიქრობ, რომ დოკუმენტურ ფილმში ამოვწურე საკუთარი თავი. ახლა მხატვრული ფილმის გადაღებას ვგეგმავ და მაქვს სამი სცენარი, რომელებსაც ჯერ არ ვახმაურებ. ვნახოთ, რომელს ავირჩევ. ■

ესაუბრა ეკა ქადაგიშვილი

რეაცია ნინო კირთაძის ფილმზე „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“

## „ცოტა რამ მიმას შესახებ“

ნინო კირთაძის ფილმი გულწრფელი მცდელობაა, გაუმკლავდეს ჩვენ განსაკუთრებულ უბედურებაზე ფიქრს, მაგრამ მან ის დიდი ლოდი ვერ ან არ შეამჩნია, რომელზეც ქართული საზოგადოება და ქართული პოლიტიკა სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ წაბორძიკდა.

ზაზა რუსაძე



■ კაფრი ნინო კირთაძის ფილმიდან „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“

ფილმი, რომლის პრემიერაც 12 დეკემბერს, თბილისის მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში შედგა, სამონტაჟოდან პირდაპირ კინოთეატრ „ამირანის“ ეკრანზე მოხვდა და მას თავად ავტორმა „ახლად გამომცხვარი“ უწოდა. საინტერესოა, შეიტყო „ცოტა რამ“ საკუთარი ქვეყნის შესახებ სახელგანთქმული დოკუმენტალისტის-გან, რომელიც ევროპული კინოაკადემიის და პრესტიული საერთაშორისო ფესტივალების პრიზების მფლობელია. მრავალრიცხოვანი საფესტივალო თუ სატელევიზიო აუდიტორია, ამ პრიზების გამო, ფილმს უკვე დასრულებამდე ჰყავდა გარანტირებული.

„ცოტა რამ საქართველოს შესახებ“

ლევ ტოლსტიოს ცნობილი ციტატით იწყება – „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი კი თავისებურად უბედურია“. ნინო კირთაძესაც ჩვენ განსაკუთრებულ უბედურებაზე სურს საუბარი და მისი ახალი ფილმი რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მოგვითხრობს. ფილმის დიდი ნაწილი საინფორმაციო სააგენტოების საარქივო მასალების კოლაჟს ეთმობა; ეს აგვისტოს ომის ამსახველი კადრებია; ბევრჯერ ნანახი და ბევრჯერ მოსმენილი. ლამაზი და ემოციურია თბილისური ბინების შუშაბანდები და ფანჯრებს მიღმა მოციმციმე ტელევიზიონერების ეკრანები. გზარაგს ბომბების ვარდნისა და უცხოელი კომენტატორების ციტატებისას ამ „ძველი“ ახალი აბების გამოირება მოსაწყენი ხდება და საარქივო მასალის ხანგრძლივობასთან ერთად კლებულობს მისი ემოციური ზემოქმედებაც. თუმცა ეს მონოგრაფიურობა მოლოდინს და ზოგადი კონტექსტის ამონცობის სურვილს უფრო აღვივებს. ბეჯითად იმეორებ ისტორიის ამ გაუწყვეტელ ჯაჭვს, ფაქტები კი არა და არ ჯამდება.

ფილმი დრამატურგიულად და სტილისტურად ეკლექტურია. ეკრანზე ერთმანეთს საარქივო მასალა, დოკუმენტური კადრები და დადგმული სცენები ენაცვლება. დოკუმენტური მასალა უფრო მთამბეჭდავია, ვიდრე ლიანდაგზე მოსაი-

რულე კამერის მიერ ნაჩვენები დაბომბილი სახლების პარორამები. დოკუმენტაციისტური თვალსაზრისით, უდავოდ საანტერესოა ფილმის ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტის, საქართველოს პრეზიდენტის მანქანში გადატებული სცენები. აქ ქვეყნის პრეზიდენტი კი არ ჩანს, არამედ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. მის მიმართ სიმპათია-ანტეპათიის თუ პოზიცია-ოპოზიციონერობის მოუხედავად, საშუალება გეძლევა, დააკირდე, როგორ იზეპირებს საჯარო გამოსვლებისათვის განკუთვნილ ტესტებს ადამიანი, რომელიც ამაყად გადაჰყურებს მტკვრის კლდიან სანაპიროს და საარჩევნოდ მოგონილი აღმშენებლობის პროპაგანდა სინამდვილედ ეჩვენება.

სამწუხაროა, რომ მაყურებლის ერთმანიშემა პრეზიდენტის ფილმში გამოჩენა პირდაპირ პროპაგანდისტულ ქვეტექსტად აღიქვა. თუმცა ფილმის აეტორმა ასეთი ეჭვების გაჩენას თავადვე მისცა საბაბი, პირველ რიგში – სწორედ დრამატურგიული ეკლექტურობის გამო.

## ■ მაყურებლის ერთმა ნაწილმა პრეზიდენტის ფილმში გამოჩენა პირდაპირ

პროპაგანდისტულ ქვეტექსტად აღიქვა. თუმცა ფილმის ავტორმა ასეთი ეჭვების გაჩენას თავადვე მისცა საბაბი.

ფილმის ტიტრები არაფერს იუწყება იმის შესახებ, დაიხარვა თუ არა მის შექმნაზე სახსრები საქართველოს ბიუჯეტიდან. ალბათ დასაძრახი არც იქნებოდა, თუ სახელმწიფო ფინანსურად მხარს დაუჭრდა სახელგანთქმულ რეჟისორს და პატივს სცენდა მის თავისუფლებას, მომლოდნენ საერთაშორისო აუდიტორიისათვის თავადვე ეამბო „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“.

კრიტიკა დოკუმენტური კინოს პირდაპირი ფუნქცია არ არის. ზოგადი კონტექსტის ფონზე ფაქტების მოწესრიგებული ერთობლიობა მაყურებელს გარკვეულ დისკურსში მონაწილეობის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. კრიტიკული მიდგომა მხოლოდ ამ წესრიგის დაცვის შემთხვევაში შეიძლება დაიბადოს. დარღვეული წონასწორბის დაბალნებებს კი ფილმის ავტორი პოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიმართ თითქოს მხოლოდ ვალის მოხდით ცდილობს. ალბათ პოზიციის ლიდერების მანქანში გადატებული მსხვილი კადრები ასევე საინტერესო იქნებოდა მაყურებლისთვის. ამ კადრებში ისინი ალბათ თავიანთ პროპაგანდას.

გაასალებდნენ სინამდვილედ და ჩვენი „განსაკუთრებულად უბედური ოჯახის“ სურათს ფინალურ შტრიხებს შესძენდნენ, სადაც ყველა ტყუის და ყველა მართალია. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტების მოკლე და ზედაპირული მიმოხილვა, როგორიც 2007 წლის 7 ნოემბერი და მას შემდეგ განვითარებული მოვლენებია, კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ნინო კირთაძის დოკუმენტური ნამუშევრის მიმართ კრიტიკულად გამსჭვალული აუდიტორიის აზრს, რომელმაც ფილმს სუმრობით იმავე სადამოს „ცოტა რამ მიშას შესახებ“ შეარქვა.

დრამატურგიულ ერთიანობას ფილმი მხოლოდ მისი დასასრულის სკენი, ფინალური ტიტრების ამონათებისა აღნევს. საბეჭდი მანქანის კაკუნის თანხლებით შავ ეკრანზე ფაქტების ცივი შეჯამება ემოციურია და მაყურებელი მას, ბუნებრივია, მტკიცნეულად აღიქვამს. თუმცა ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა კავშირი აქვს ფილმში ნანახსა და ომის, ასე ვთქვათ, ამ ჯამურ სტატიის ტიკას ერთ-

ავლებს, სადაც, უკვე რამდენიმე წელია, ცხოვრობს და წარმატებული შემოქმედია – ევროპაში. ფილმის ბოლო ნაწილში საკმაოდ დიდი დრო ეთმობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საქართველოში. ლურჯ სამოსში გამოწყობილი დამკვირვებლების საქმიანობა კი სასაცილოდ გამოიყერება, ისევე, როგორც არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ჩვენი საზოგადოების ძველი თუ ახალი პოლიტიკური იმედები. ევროპელები გატეხილი რუსულით საუბრობენ და ქართველებისგან დეტალების გარკვევას ცდილობენ. უცხოენაზე ცუდად მოსაუბრე ადამიანის აზროვნებაში ეჭვის შეტანა საკმაოდ იოლია. ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას დიდი მჭერმეტყველებით აღბათ არც ავდანეთში წარგზავნილი ჩვენი ქართველი ჯარისკაცები გამოიჩნდნენ თავს.

თუმცა ეკრანზე დამკვირვებლების გაშარებას ნინო კირთაძის ფილმში სულ სხვა დატვირთვა აქვს. დარბა-

მანეთთან? რა აკაშირებს შავ ეკრანზე თეთრად ნაბეჭდსა და იმ მოვლენებსა თუ ადამიანებს, რომლებზეც ფილმი მოგვითხრობდა?

რასაკვირველია, პასუხი ამ კითხვაზე მარტივი გასაცემი არ არის. უპასუხობას ან მრავალპასუხიანობას კი, როგორც წესი, თავს ვარიდებით ხოლმე და ფილმის ავტორიც დასკვნას ისეთ სივრცეში ეძებს, სადაც ფიქრის სამყაროს კარი ჯერ კიდევ ჩარაზულია და როცა ინფანტილურობის გამო, ჯერ კიდევ სხვას პარალებ ყველაფერს. ასეთი შემართებით კი დამანაშავის პონა ძალიან ადვილია. ის შეიძლება შემთხვევითი გამვლელიც აღმოჩნდეს. პარალელია, რომ ნინო კირთაძის ფილმი „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“ ზუსტად ირეკლამს ქართული საზოგადოების მდგომარეობას, სადაც არა მხოლოდ ვიწრო ქართული, არამედ ზოგადად ადამიანობის ტრაგიზმი ჩას. ადამიანი თავისი უბედურების მიზეზს არა საკუთარ თავში, არამედ მის საზღვრებს გარეთ ეძებს. ეს სივრცე ხანდახან მეტაფიზიკურია, ხან კი გეოგრაფიულ-პოლიტიკური.

ფილმის ავტორი ამ საზღვარს იქ-

ზიც მათი შემხვედვარე ფრთხილად იცინოდა, ერთი-ორმა ხმამაღლაც კი გადაიხარხა. ამ კადრების ნახვამ კი მაყურებლების ნაწილს საკუთარი თავის მიმართ გულჩილი სიბრალული განაცდევინა და კიდევ რაღაც იმ გრძნობის მაგარი, რომ სიმართლე მაინც მათთანა და არა იმ ლურჯად ჩაცმულ დამკვირვებლებთან, ვისმა მთავრობებაც ასე მზადებულად მიგვატვვეს.

როდესაც ქვს ფეხს წამოკრავ, და პირდაპირ სისლანებული მტკრიან მიწას მისჩრებისარ, სწორედ მაშინ შეიძლება მიხვდე, რომ სამყაროს ამოცნობის პროცესი მართალ-მტყუანის ან განატევების ვაცის ძიება კი არ არის, არამედ საკუთარ თავში ჩაღრმავებაა. სწორედ ამ ნიშნულიდან იწყება სივრცე, სადაც ფიქრის შესაძლებლები. ეჭვგარეშეა, რომ ნინო კირთაძის ფილმი გულჩილი მცდელობასა და უბედურების შემთხვევითი გამვლელიც აღმოჩნდეს. პარალელია, რომ სივრცეში მართალ-მტყუანის განატევების ვაცის ძიება კი არ არის, არამედ საკუთარ თავში ჩაღრმავებაა. სწორედ ადამიანი ის დიდი ლოდი ვერ ან არ შეამჩნია, რომელზეც ქართული საზოგადოება და ქართული პოლიტიკა სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ ნაბორ-ძიება. ■

## საუბრები ლიბერალიზაცია

# ვამპობთ ლიბერალს, ვგულისხმობთ ნომინაცის



საქართველოს ხელისუფლების ლიბერალიზმი ეკონომიკურ ნეოლიბერალიზმად იქცა.

„ლიბერალიზმის“ სხვა ფუნდამენტური პრინციპების გაზიარება ნეოლიბერალიზაციას შეეწირა.

### მიხეილ სვანიძე

2003 წელს შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლების სიმყაყემ „ვარდების რევოლუციას“ არახელი სახალხო მხარდაჭერა მოუტანა. საზოგადოების რევოლუციურმა „კოლეგიურმა აღტკინებაშ“ რევოლუციურ ხელისუფლებას ლეგიტიმიაციის მაღალი ხარისხი მისცა. პოსტრევოლუციური პერიოდის საწყის ეტაპზე როგორც სოციალური წნევი, ისე მოთხოვები ხელისუფლების მიმართ მინიმალური იყო – შევარდნაძეს ყველაფერი ჯობდა.

რეფორმატორულ ტალღაზე მომართულმა ხელისუფლებამ ძირეული რეფორმების ჩატარება გადაწყვიტა – უნდა განახლებულიყო განათლების სისტემი, სასამართლო, პოლიცია, ჯარი. სახელმწიფო სექტორის ყველა საფეხურზე გამეფებული კორუფცია რადგიალურად უნდა „ამოეძირევათ“. საქართველოს მოსახლეობის მიერ გადატანილი მრავალი ჭირი – საბჭოთა ოკუპაცია და სასკრ-ს 70 წელი; ზეიად გამსახურდიას ეთნონაციონალისტური შეძახილები,

სამოქალაქო ომი და შემდგომი ანარქია; შევარდნაძის ლეთარგიული კლეპტოკრატიული სისტემა – სააკაშვილი ამ ყველაფერის საწინააღმდეგოს განასახიერებდა. შენდებოდა ახალი საქართველო.

მიხეილ სააკაშვილის 96%-ით პრეზიდენტად არჩევისას ერთი მკაფიო პრობლემა უკვე არსებობდა – ამომრჩეველთა მცირე ნაწილმა თუ იცოდა მისი კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმა და ეკონომიკური პროგრამა. საზოგადოებამ პირველ რიგში ხმა „დასავლეთში განათლებამილებულ ენერგიულ ლიბერალსა“ და „ანტიშევარდნაძეს“ მისცა. თუმცა, მალევე გაირკვა – სააკაშვილის მმართველობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბაზა უკიდურესი ეკონომიკური ლიბერტარიანიზმი, ან ნეოლიბერალიზმი იქნებოდა.

ნეოლიბერალიზმმა, როგორც ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფილოსოფიამ, მსოფლიოს უმძლავრესი სახელმწიფოების პოლიტიკური სფეროს პერიფერიიდან ცენტრში 70-იანი წლე-

ბის ბოლოს და 80-იანების დასაწყისში გადაინაცვლა. ამ თეორიის იდეოლოგები მცირე სახელმწიფოს, მაქსიმალურ პრივატიზაციას და კონსერვატიულ მონეტარულ პოლიტიკას, თავისუფალი ბაზის ყოვლისშემძლებლისა ქადაგებდნენ. ის, ლიბერტარიანიზმისგან განსხვავებით, ვინორ ცნება და კონკრეტულ ეკონომიკურ რეფორმებთან ასოცირდება. ნეოლიბერალური პრაქტიკის პირველი ექსპერიმენტი ბრუტალური იყო – ის ჩილეში აუგუსტო პინოჩეტის დიქტატურის პირობებში ხარიბდა, თუმცა ბრიტანეთსა და აშშ-ში თეტჩერის და რეიგანის მოსვლის შემდეგ ის გლობალური ჩრდილოეთის დომინანტურ იდეოლოგიად იქცა.

ნეოლიბერალიზმი წინააღმდეგობრივია. პირველ ყოვლისა, ის ეკონომიკური ზრდისთვის კონტრპროდუქტიულად მიიჩნევს სოციალური სოლიდარობის ნებისმიერ ფორმას. როგორც ერთხელ მარგარეტ თეტჩერმა განაცხადა, – „არ არსებობს ისეთი რამ, რასაც საზოგადოება ჰქვია. ქალები, კაცები და ოჯახები ინდივიდუალურად არსებობენ. ხალხის გარეშე, ვერც ერთი მთავრობა ვერაფერს გახდება და პირველ რიგში ამ ხალხმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარ თავზე“. შესაბამისად, სოციალური სოლიდარობის ფორმები შეიზღუდა ბრიტანეთშიც და აშშ-შიც; მეორეც, ნეოლიბერალური ეკონომიკები ხშირად „საპნის ბუშტის“ პრინციპის მიხედვით იზრდებიან, რასაც კრიზისი მოსდევს. ასე იყო ჩილეშიც, მოგვიანებით, აშშ-ში. თავად ნეოლიბერალები კრიზისებს „არასწორი ან არასრული“ ნეოლიბერალიზაციით ხსნიან (მსგავსი რიტორიკა ხშირად ისმის საქართველოშიც), როცა ხელისუფლება დასრულებელ და შეჩრებულ რეფორმებზე ლაპარაკობს). დაბილოს, ნეოლიბერალური განვითარების თანმდევი ფაქტორია სოციალური უთანასწორობის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს აშშ-ს მოსახლეობის უმდიდრესი 0.1%-ის შემოსავალი, ქვეყნის მთელი ეროვნული შემოსავლის 2% იყო, ეს მაჩვენებელი თანდათანობით გაიზარდა და 90-იანების ბოლოს 6% გახდა.

ნეოლიბერალიზმი კრიტიკული ტერმინია; თავად ნეოლიბერალები მის გამოყენებას ერიდებიან, მას იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კლიშედ თვლიან და იმავე ფენიმენის აღსანერად იყენებენ ტერმინებს „ინდივიდუალური თავისუფლება“, „პირადი პასუხისმგებლობა“, „ბაზრის თავისუფლება“.

პარადოქსულად, „ლიბერალიზმის“ განმტკიცებაში ხელისუფლება ტერმინოლოგიურ დივერსიას მიმართავდა – სახელისუფლებო „ლიბერალიზმი“ ნეოლიბერალიზმად იქცა. შესაბამისად, საზოგადოებისთვის ხელისუფლება მაინც „ლიბერალურ ძალად“ აღიმება, მიუხედავად ადამიანის უფლებების, პიროვნული და არჩევანის თავისუფლების ხშირი შეზღუდვისა. დამატებით, მსგავსი „არადემოკრატიული“ ნაბიჯების ლეგიტიმაცია „სახელმწიფოს მშენებლობის“ ხარჯზე ხდება. პრობლემურია ასევე პოლიტიკური ოპოზიციის კრიტიკის მიმართულებაც – ხელისუფლებაზე მთავარ დარტყმას

პრემიერ-მინისტრად მემარცხენეთა პირველი მტრის, ოლიგარქ პიძინა ივანიშვილის დანიშვნის დაპირება გახდა.

ნეოლიბერალიზმით ასეთი დაინტერესება, ერთი მხრივ, ბუნებრივად შეერწყა სახელისუფლებო წრეებთან დახსლებული არასამთავრობო სექტორის მჭიდრო კავშირებს ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან, მეორე მხრივ კი, თავად ხელისუფლების პარტნიორულ, ხშირად კი მეგობრულ ურთიერთობას ბუშის ადმინისტრაციის სხვადასხვა ლიდერთან. მმართველი პოლიტიკოსები იდეოლოგიურად შემზადებული იყვნენ; მათ არ გასჩენიათ ეჭვი, როდესაც ნეოლიბერალურ რეფორმებს უყრიდნენ საფუძველს.

აუცილებელი არ გახადა. საკმარისი იყო მსუბუქი ავტორიტარული რეჟიმი – სახელმწიფო იძულებითი მექანიზმების და სახელისუფლებო პროპაგანდის გაძლიერება ხელისუფლების განკარგულებაში არსებული მედიასაშუალებებით.

შემდეგ, 2009 წლის ოქტომბერში დაიბადა ჯერაც დაუსრულებელი „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, რომელიც მიზნად საქართველოს „ახალ დებათ და სინგაპურად“ ცეცხას ისახავდა. აქტის იმპლემენტაციის შემთხვევაში, გადასახადის აწევას ან ახალი გადასახადის დაწესებას რეფერენდუმი დასტირდება, არავითარი ახალი ლიცენზიები და უფლებები აღარ იქნება შემოღებული.

## ■ „ლიბერალიზმის“ განმტკიცებაში ხელისუფლებამ ტერმინოლოგიურ დივერსიას მიმართა – სახელისუფლებო „ლიბერალიზმი“ ნეოლიბერალიზმად იქცა.

ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ძალა ტრადიციონალისტური გზით ცდილობს: „ხელისუფლება ანგრევს ეკლესიებს, გვახვევს თავს უცხო ჩვეულებებს“, და ა.შ. განჩე რჩება სოციალური საკითხები; მაშინაც კი, როდესაც ოპოზიცია ამ თემებზე საუბრობს, ჭარბობს ლირიკა და არა პროტესტი კონკრეტული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

ხელისუფლების სლოვანის მიხედვით, შეიძლებოდა გაყიდულყოფ ყველაფრი, „სინდისის გარდა“. ამ პროცესების სოციალური ლეგიტიმაცია, პოლიტიკურ წრეებში ამ საკითხზე ბჭობის თუ კონფრონტაციის არარსებობის პირობებში, საჭიროა დროის „საჯარო“ საკუთრების, ბიუროკრატიული აპარატის გაუმართობა იყო. ნებისმიერი მცირე შეკითხვა პრივატიზაციის შესახებ კრიტიკისა და დაცინვის აბიექტი ხდებოდა. ამას ხელს უწყობდა ყველაზე ხმამაღლო, დეკლარირებულად მემარცხენე პარტიის – შალვა ნათელაშვილის „ლეიბორისტების“ მოუწენელობა. „ლეიბორისტები“ მემარცხენე დისკურსთან შეუთავსებელი ტრადიციონალისტური მოწოდებებით (მაგალითად, ხელისუფლების გადაწყვეტილებების მართლმადიდებლური ეკლესის სინოდთან შეთანხმება) ცდილობდნენ აპელირებას. ზოგჯერ კი ისინი პოლიტიკური კურსის საპირისპირო განცადებებს აკეთებდნენ. ასეთებს შორის ყველაზე სასაცილო, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში,

თუმცა, არჩევნებში ობამას გამარჯვებამ ქართული მმართველი ელიტა ცოტა შეაფიქრა. ობამაც, სააკაშვილის დარად, წინა ხელისუფლის საშინელ არაპოპულორობის ფონზე მოვალე ხელისუფლებებში.

ნეოლიბერალიზმი დემოკრატიას ეჭვის თვალით უყურებს. ნეოლიბერალები ხალხის მმართველობას „ექსპერტების და ელიტების მმართველობას“ ამჯობინებენ. როგორც წესი, ნეოლიბერალები თვლიან, რომ უკეთ იციან, რა სჭირდება ხალხს და, შესაბამისად, სჭირდებათ ყველა ის ბერეგტიც, რაც მათ რადიკალური რეფორმების გატარებაში დაეხმარება. აქედან მოდის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ძალაუფლების თავმოყრა საპარლამენტო სისტემის საპირნონედ. სწორედ ასეთი მიდგომები ახასიათებს საქართველოს მთავრობასაც: ორივე პოსტრევოლუციური პარლამენტი გადაწყვეტილების მიღებაში ბევრად უფრო მცირე როლს თამაშობდა, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება და მათთან დაახლოებული ელიტები.

ნეოლიბერალურ მმართველს ყოველთვის სჭირდება აღმასრულებელი ძალა, რათა რადიკალური პრივატიზაცია და სხვა ბუნებრივად არაპოპულარული ზომები ეფექტურად გაატაროს. ხშირად, როგორც ეს ჩილესა და არგენტინაში მოხდა, ამისთვის პირდაპირი სამხედრო დიქტატურა საჭირო, თუმცა საქართველოში ანტიშევარდნაძისტულმა სენტიმენტებმა ასეთი რადიკალური ზომები

ჯერაც გაურკვეველია, რა იქნება ამ აქტის საბოლოო ვარიანტი თუ შედეგები, თუმცა ერთი რამ ნათელია – ის სოციალური თანასწორობის მხრივ კარგს არაფერს მოიტანს.

ერთადერთი დიდი პრობლემა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება წააწყდა ნეოლიბერალური რეფორმების გატარებისას, ევროკაშვირი იყო. მართალია, „ნაციონალური მორჩაობა“ „ევროპის ხალხთა პარტიის“ დამკარგებელი გახდა, იქაც კი ასეთი რადიკალური ნეოლიბერალიზაციის მიმართ ნელთბილი დამოკიდებულება აქვთ, ხოლო სოციალდემოკრატებს – სულაც ნეგატიური. ამ კონტექსტში, საინტერესო, როგორ აისახება კანონმდებლობაში „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, იმს გათვალისწინებით, რომ აქტის გამოცხადების შემდეგ დუბაის ეკონომიკური ბუშტიც გასცადა. ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიას, Dubai World-ის ჩაფლავებამ ამ თავისუფლადი ეკონომიკური ზონის პროექტს ძირი მოლინად გამოიუთხარა.

ობამას არჩევის შემდეგ აშშ-ც მარცხნივ გადაიხარა. შესაბამისად, გლობალურ ჩრდილოეთში თითზე ჩამოსათვლელი დარჩა ის სახელმწიფოებრივი, სადაც რადიკალური ლიბერტარიანიზმი სახელმწიფოს დომინანტური იდეოლოგია. ამ კონტექსტში, საინტერესო, როგორ აისახება კანონმდებლობაში „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, იმს გათვალისწინებით, რომ აქტის გამოცხადების შემდეგ დუბაის ეკონომიკური ბუშტიც გასცადა. ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიას, Dubai World-ის ჩაფლავებამ ამ თავისუფლადი ეკონომიკური ზონის პროექტს ძირი მოლინად გამოიუთხარა. შესაბამისად გლობალურ ჩრდილოეთში თავისუფლების აქტის საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური გადაწყვეტილებები და „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ იმავე არაფერს მოიტანს.

# ესტონეთი მოგაბ! fm 101.9 რედაცია





# რეიმ პეოვჩების ეკვიქი სიციუმიზისანა.

ნებისმიერი აუდიტორია იშახურებს იმას, რომ მხოლოდ საკუთხევო მუსკას მოქამინოს. ამიტომ, კვლეული რაც მუშაობენ ხარისხოვანია, წერილისაც მოუღებელია. მე კინჩევ American Express®-ს, ეს იყო, კონტაქტური საკუთხევოს, ის ზუსტად გეგმავ ჩემს მოგზაურობას, მთავაზობს სრულ სერვისს, დაწევებული აფა რეისებისან და სასტუმროებისან, ფართავებული ავტომილის ჭირაობითა და მსოფლიო კრეიტის მოწყობითა.

ჩემი ცხოვრება ხელოვნებაა.  
ჩემი საკრეატიულო პარამო  
ჩინი სრულყოფის საშუალებაა.

იქნებით უკეთესად, აიღოთ პარათი.  
დარგეთ ნომერი: 444 300 ან ეწიეთ  
ვებ-გვერდს: [www.americanexpress.ge](http://www.americanexpress.ge)



American Express®-ის ექსკლუზიური ჭირობაშია დაგენერილი.

